ემირ ეთერია
EMIR ETERIA

გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა

GLOBALIZATION AND NATIONAL ECONOMY: THEORY AND POLICY

ემირ ეთერია
EMIR ETERIA

გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა

GLOBALIZATION AND NATIONAL ECONOMY: THEORY AND POLICY

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №GNSF/PRES07/2-139). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის ეკონომიკურ-პოლიტიკური კონცეფციები და განზომილებები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლები, გლობალიზაციის განვითარების მიმართულებები და გლობალური მართვის პერსპექტივები, გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის ურთიერთმიმართების საკითხები და ა.შ. ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესზე და ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციონირების თავისებურებებზე გლობალიზაციის ზეგავლენის ანალიზს.

ნაშრომი სათანადო დახმარებას გაუწევს გლობალიზაციის, ინტეგრაციისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესზე გლობალიზაციის ზეგავლენის აქტუალური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორიას.

რედაქტორი: რევაზ გოგოხია — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: დემნა კვარაცხელია — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ეკა სეფაშვილი — ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

© ე. ეთერია, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-390-0

შინაარსი

შესავალი 7
1. მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: ზოგადი მიმოხილვა 11
2. გლობალიზაციის თანამედროვე კონცეფციები: თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები 18
3. გლობალიზაცია და ანტიგლობალისტური მოძრაობა 31
4. გლობალიზაციის არსი 47
5. გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება 64
6. ეკონომიკის ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია 83
7. საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის თანამედროვე ტენდენციები 92
8. გლობალიზაცია და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა 108
9. გლობალიზაციის სოციალური განზომილება 129
10. გლობალიზაციის პოლიტიკური განზომილება 141
11. გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფო 153
12. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ევოლუცია: ძირითადი დეტერმინანტები 172
13. გლობალური მართვის თეორიულ-ინსტიტუციური ასპექტები 179
14. რეგიონული ინტეგრაციის კონცეფციების შედარებითი ანალიზი 188
15. გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაცია: ერთიანობა და წინააღმდეგობრივი ხასიათი ... 198

16. გლობალური ეკონომიკა, როგორც განვითარებადი სისტემა 212
17. ეკონომიკური დიპლომატიის არსი და მიზნები გლობალიზაციის პირობებში 227
18. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია 234

დაბოლოს, ვაჟა-ფშაველა "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" 266
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 270
ლიტერატურა 289

შესავალი

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში, მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ზოგადად, კაცობრიობა განვითარების უპრეცენდენტოდ ახალ, ეპოქალური მნიშვნელობის ეტაპზე გადავიდა, რომელმაც გლობალიზაციის სახელწოდება მიიღო.

საბჭოთა კავშირის დაშლით, ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ლიკვიდაციით დასრულდა "ცივი ომის" კონცეფციაზე დაფუძნებული ორპოლუსიანი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგი. პოსტსოციალისტური ქვეყნების სწრაფვა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობაში, კარდინალურად ცვლის მსოფლიოს გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ არქიტექტურას და შესაბამისად, მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგი თვისობრივ ტრანსფორმაციას განიცდის.

XX საუკუნის დასასრულს, როცა კაცობრიობის უმრავლესობამ (ზოგიერთი სახელმწიფოს გარდა) გააცნობიერა, რომ ბირთვული ომი მსოფლიო ცივილიზაციის განადგურებით დამთავრდება, ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობები შედარებით მშვიდობიან ხასიათს ღებულობს.

ორ ანტაგონისტურ სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სისტემას შორის წინააღმდეგობის მოსპობის შემდეგ, განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებიც ამ წინააღმდეგობიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ, გადადგეს ნაბიჯი თანამშრომლობისაკენ. უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების, სიღარიბის დაძლევის, სამხედრო წინააღმდეგობების შენელების, ადამიანის უფლებების დაცვის, კულტურის და კულტურებს შორის ურთიერთო-

ბების განვითარების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და გლობალური სისტემის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

სოციალისტური სისტემის დაშლის, პოსტსოციალისტური ქვეყნების მიერ საბაზრო ურთიერთობების, შერეული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისკენ ორიენტირების შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა გახდა ერთიანი სისტემა, რომლის შემდგომი განვითარების ძირითად დეტერმინანტებს ღია ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის პრინციპები წარმოადგენს.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაცია ძირითადად, რეგიონალიზმის მეშვეობით ხორციელდება ანუ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის პროცესები. გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა კონკურენციის გამწვავება ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ სფეროში, რომელიც თავის მხრივ პოლიტიკური კონკურენციის საფუძველს წარმოადგენს და იძენს სხვა განზომილებას მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაციის ფონზე.

ნათელია, რომ გლობალიზაცია უშუალო ზემოქმედებას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება წარმოუდგენელია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, რაც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს, ისე გარკვეულ საფრთხეებს.

ამდენად, გლობალურ ეკონომიკაში ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების დონეზე, რაც

განსაკუთრებით ნიშანდობლივია გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისათვის.

გლობალიზაცია და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, გლობალურ ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის სრულყოფილი, სრულფასოვანი ინტეგრირება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული პროცესებია, რომელიც ასახავს ცალკეული კომპანიების, ეკონომიკის დარგების, ქვეყნებისა და რეგიონების ინტერესებს შორის წინააღმდეგობრივ ურთიერთობებს.

გლობალიზაციასთან დაკავშირებით მსოფლიოს აკადემიურ წრეებში მიმდინარე დისკუსიებში განხილული საკითხებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია შემდეგი:

- რა არის გლობალიზაცია?
- როდის დაიწყო გლობალიზაციის პროცესი?
- რა საერთო და განმასხვავებელი თავისებურებებით ხასიათდება ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები?
- გლობალიზაცია არის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფენომენი?
- როგორი ურთიერთმიმართებაა გლობალიზაციასა და რეგიონულ ინტეგრაციას შორის?
- როგორია გლობალიზაციის შედეგები განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის?

ნათელია, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ზეგავლენის კვლევა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს საქართველოსათვის, რომელიც ცდილობს აქტიურად ჩაერთოს გლობალურ და რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში,

დაიკავოს კუთვნილი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში და ღირსეული წვლილი შეიტანოს პლანეტარული ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომი, რა თქმა უნდა არ იძლევა ყოვლისმომცველ და ამომწურავ პასუხს ყველა ზემოთაღნიშნულ საკითხზე. ნაშრომი მხოლოდ პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენს და მიზნად ისახავს გლობალიზაციის თეორიული კონცეფციების, ეროვნულ ეკონომიკაზე, ეროვნულ სახელმწიფოზე როგორც ინსტიტუტზე გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენის ანალიზს და გლობალიზაციის უპირატესად პოზიტიურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას.

1. მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: ზოგადი მიმოხილვა

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა რთული, ერთიანი ორგანიზმია, განვითარების საერთო კანონზომიერებებით, თვითრეგულირებისა და რეგულირების ერთიანი მექანიზმით. მსოფლიო ეკონომიკაში ცალკეული ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირებას საერთაშორისო, ანუ სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობები უზრუნველყოფს. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მისი შემდგომი განვითარების უმთავრეს დეტერმინანტს.

ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკა ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე და წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი (საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების მეშვეობით) ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობებით ურთიერთდაკავშირებულ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობას. მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტი ეროვნული ეკონომიკა, ხოლო ძირითადი სუბიექტი ეროვნული სახელმწიფოა.

ზოგადად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ასახავს შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელიც დაფუძნებულია ცალკეული ქვეყნის სპეციალიზაციაზე, ქვეყნის გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის უალტერნატივობაზე და მსოფლიო განვითარების პროცესში გეოეკონომიკური ფაქტორის მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე გვევლინება ცალკეული ქვეყნის საგარეო-პოლი-

ტიკური სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორად.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები სცილდება მარტო ეკონომიკურ განზომილებას და ის გაცილებით მეტია, ვიდრე ქვეყნებს შორის მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში კონცენტრირებულად ვლინდება ქვეყნის განვითარების დონე, შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მისი წონა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში, მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში, ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონე და პოტენციალი, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური კადრებით უზრუნველყოფის დონე და ზოგადად, განათლების სისტემის ეფექტიანობა და განვითარების პოტენციალი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავს ცალკეულ ქვეყნებს, რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებს, ცალკეულ კომპანიებს შორის არსებულ მრავალფეროვან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ეტაპებს შორის გამოსაყოფია:

1. 1945-1957 წლები – საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების წარმოქმნა, ევროგაერთიანების ფორმირება;
2. 1957-1971 წლები – მსოფლიო ეკონომიკაში ჩნდება კრიზისის ნიშნები, ტრანსფორმაციას განიცდის ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემა;
3. 1972-1979 წლები – მსოფლიო ეკონომიკაში ძლიერდება კრიზისის ნიშნები ორი სანავთობო შოკის გათვალისწინებით, ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემა მცურავი სავალუტო კურსებით იცვლება;

4. 1980-1989 წლები – განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი) ტარდება ნეოკონსერვატიული რეფორმები.
5. 1989 წლიდან დღემდე – სოციალისტური სისტემის დაშლა, გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება, ევროკავშირის ერთიანი ფულადი ერთეულის – "ევრო"-ს შემოღება, რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაცია, ბიპოლარული მსოფლიო ეკონომიკის ერთპოლუსიან ეკონომიკურ სისტემად ტრანსფორმაცია.

XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების, რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) როლი მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო პოლიტიკაში, ხოლო XX საუკუნის 70-იან წლებში, მსოფლიო ეკონომიკაში არსებულმა ტენდენციებმა, ასევე აშშ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადმა დეტერმინანტებმა საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე მსოფლიო ეკონომიკის თაობაზე არსებულ კონცეფციებში ძირითადად განიხილებოდა ე.წ. კაპიტალისტური სისტემა ანუ კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა. სოციალისტური სისტემის მეცნიერების კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენდა სოციალისტური ქვეყნების შიდა ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი და სოციალისტური ქვეყნების საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებები.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე, მსოფლიო ეკონომიკა არ წარმოადგენდა ერთიან სისტემას, როგორც თეორიული კვლევის, ისე პრაქტიკული ურთიერთობების თვალსაზრისით. შესაბამისად, ორ სოცია-

ლურ-ეკონომიკურ სისტემას (სოციალისტური და კაპიტალისტური) შორის არსებული წინააღმდეგობის მოსპობამდე, შეუძლებელი იყო მსოფლიო ეკონომიკაზე, როგორც ორგანულად ერთიან, მთლიან სისტემაზე მსჯელობა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიური განვითარება. თუმცა, როგორც გლობალიზაციის ცნობილი მკვლევარები პ. ტომპსონი და გ. ჰერსტი აღნიშნავენ "მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდის ტენდენციებით ხასიათდება არ ნიშნავს გლობალიზებული ეკონომიკის არსებობას"[1].

ამდენად, გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაცია წარმოქმნის გლობალური და მსოფლიო ეკონომიკის ცნებების ახლებური ინტერპრეტაციის აუცილებლობას, რომელიც ხაზს უსვამს გლობალიზებული ეკონომიკის თვისობრივად ახალ დეტერმინანტებს.

მსოფლიო ეკონომიკა, როგორც შრომის საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე ურთიერთდაკავშირებულ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობა ობიექტური აუცილებლობით არ განაპირობებდა ეროვნულ ეკონომიკათა ფუნქციონირების ერთიანი საფუძვლების არსებობას. გლობალიზაციის პროცესების შედეგად ფორმირებადი გლობალური ეკონომიკა ეროვნულ ეკონომიკათა ფუნქციონირების საერთო მექანიზმის ჩამოყალიბებას გულისხმობს, ხოლო ცნება - მსოფლიო ეკონომიკა შეიძლება აღნიშნავდეს როგორც ფუნქციონირების ერთიანი მექანიზმის მქონე

[1] ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 313

ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობას, ასევე არ აღნიშნავდეს მას.

მსოფლიო ეკონომიკაში XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში დაწყებული თვისობრივი ცვლილებების შემდეგ ფორმირებადი გლობალური ეკონომიკა გულისხმობს არა მარტო ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, არამედ სახელმწიფოთა შიგნით და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში პოლიტიკურ-ეკონომიკური დემოკრატიის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ადამიანთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საუკეთესო ფორმის მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებას.

გლობალური ეკონომიკის ფორმირება იმანენტურად გულისხმობს ეროვნულ ეკონომიკებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სპექტრში ბარიერების სრულ გაუქმებას და ერთიანი პლანეტარული მასშტაბის ეკონომიკის ფორმირებას.

გლობალური ეკონომიკა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალ საფეხურს, რომელიც ეფუძნება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციას. გლობალიზაციის პროცესი, ანუ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში საგარეო ფაქტორის როლის ზრდა იწვევს ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურული შემადგენლების მზარდ ცვლილებებს, რომლის შედეგად გლობალური ეკონომიკა გვევლინება სტრუქტურულად მთლიან ეკონომიკად და არა მარტო ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკათა ერთობლიობად.

ამავე დროს, გლობალური ეკონომიკა და გლობალიზებული ეკონომიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც სინონიმები, მაშინ როცა გლობალური ან გლობალიზებული ეკონომიკა თვისობრივად განსხვავდება საერთაშორისო ეკონომიკისაგან. ნიშან-

დობლივია გლობალიზაციის ცნობილი მკვლევარების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ "გლობალიზებული ეკონომიკა საერთაშორისო ანუ ერთაშორისი ეკონომიკისაგან განსხვავდება, უფრო მეტიც მისი საპირისპიროა"[1]. მოსაზრება საერთაშორისო ეკონომიკისა და გლობალიზებული ეკონომიკის საპირისპირო ხასიათის თაობაზე საეჭვო თეზისს წარმოადგენს. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი განვითარება წარმოადგენს გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირებისა და ცალკეული ქვეყნის გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების უმთავრეს საფუძველს.

ამრიგად, გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირება საერთაშორისო ეკონომიკის ისტორიული ევოლუციის ლოგიკური შედეგია. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო ეკონომიკაში ეკონომიკური ურთიერთობების მთავარ სუბიექტს ერი-სახელმწიფო ანუ ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს.

გლობალიზებული ეკონომიკა, თავის მხრივ გულისხმობს ერთიანი, პლანეტარული მასშტაბის ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ ეკონომიკებს შორის ბარიერების გარეშე ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამ ეტაპზე, გლობალიზაცია უპირატესად ასოცირდება უდიდესი კომპანიების ექსპანსიასთან და აქცენტი ბაზრის უხილავი ძალების მეშვეობით მსოფლიო ეკონომიკის თვითრეგულირების უნარზე კეთდება. ტნკ-ები, რომლებიც კარგავენ ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებთან ასოცირების ხარისხს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალიზაციის პროცესის განვითარებაში. ამდენად, გლობალიზებულ ეკონომიკაში ეროვნული სახელმწიფო უკვე არ წარმოადგენს ერთადერთ მთავარ სუბიექტს.

[1] ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 16

გლობალიზებული ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფორმირების პროცესშია ანუ სახეზეა მხოლოდ გლობალიზებადი და არა გლობალიზებული ეკონომიკა. გლობალიზებულ ეკონომიკაში ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ ცალკეული ეროვნული სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების პირობებში თეორიული თვალსაზრისით შესაძლებელია ერთიანი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა, რომელიც თავის მხრივ საერთაშორისო თანამეგობრობაში ფართოდ გავრცელებულ ე.წ. "მსოფლიო მთავრობის" იდეას ეხმიანება.

გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების პროცესი დაფუძნებულია ღია ეკონომიკის კონცეფციის ფუნდამენტურ პრინციპებზე. თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ხაზს უსვამს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში ღია ეკონომიკის პრინციპების უალტერნატივობას და შესაბამისად, სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულების ნათელი გამოვლინებაა.

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესების შედეგად ფორმირდება მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანობის, ერთიანი ძალისხმევის გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის წინაშე არსებული თუ ახლად წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა.

2. გლობალიზაციის თანამედროვე კონცეფციები: თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გლობალიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული პრობლემები მსოფლიოს პოლიტიკური, საქმიანი და აკადემიური წრეების აქტიური მსჯელობის საგანი გახდა.

უკანასკნელ ორ ათწლეულში გლობალიზაციის თემატიკა სოციალური და არამარტო სოციალური მეცნიერების ცალკეული მიმართულებების აქტიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესის განხილვისას ყურადღება მახვილდება სხვადასხვა ფაქტორზე, რომელიც ყველაზე ახლოსაა ცალკეული სოციალური მეცნიერების კვლევის ობიექტთან და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის კომპონენტებს შორის პირველადობის დაზუსტება.

გლობალიზაციასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მიდგომა თვით ცალკეული მეცნიერების წარმომადგენლებს შორის. მსოფლიო ეკონომიკის მკვლევარის მ. ჩეშკოვის აზრით "გლობალიზაციის შესახებ მეცნიერების კრიზისი მდგომარეობს მეცნიერების უუნარობაში განსაზღვროს კვლევის საგანი და ობიექტი"[1].

გლობალიზაციის კვლევისას მეცნიერების მიერ გამოყენებული მიდგომებიდან აღსანიშნავია:

- მონოდისციპლინარული მიდგომა, როცა გლობალიზაცია განიხილება როგორც მხოლოდ ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური მოვლენა;
- ისტორიული მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს გლობალიზაციის ისტორიულ ხასიათს;
- იდეოლოგიური მიდგომა, რომელიც უპირატესად დამახასიათებელია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მეცნიერებისათვის და აქცენტი კეთდება ანტიამერიკანიზმზე და ანტივესტერნიზმზე. ზოგადად, აღნიშნული ქვეყნების მეცნიერების შეხედულებები ე.წ. ანტიგლობალისტური მოძრაობის განვითარების ინტელექტუალურ საფუძველს და მისი ხელშეწყობის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს;
- ინტერდისციპლინარული მიდგომა, რომელიც გლობალიზაციის პროცესს სხვადასხვა მეცნიერების თვალსაწიერიდან განიხილავს.

აკადემიურ წრეებში გლობალიზაციის პროცესის მიმართ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება თვით ტერმინ - გლობალიზაციის განმარტებისას ვლინდება. როგორც უტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ველინგი აღნიშნავს „რთული აღმოჩნდა გლობალიზაციის განსაზღვრა კონცეპტუალურად და ჩვენება ემპირულად"[1].

გლობალიზაციის დეფინიციის განსხვავებულობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი გარემოებით: გლობალიზაციის კვლევისას ცალკეული მეცნიერების წარმომადგენლები (ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციოლოგია) ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტზე.

[1] Чешков М. Взгляд на глобализацию через призму глобалистики, Ж. МЭ и МО, 2001, №2, с. 52

[1] Грани глобализации, М., Алпина паблишнер, 2003, с. 31

პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები უპირატეს მნიშვნელობას ბიპოლარული სისტემის დაშლის, ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობების, ახალი საერთაშორისო წესრიგის საკითხებს ანიჭებენ. სოციოლოგები კულტურის უნივერსალიზაციაზე, ეკონომისტები ტნკ-ების მზარდ როლზე, ახალ ეკონომიკურ წესრიგზე და ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას. არსებობს განსხვავებული შეხედულებები ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული მიმართულების წარმომადგენლებს შორის: ნეოლიბერალი ეკონომისტები აქცენტს აკეთებენ ვაჭრობის ლიბერალიზაციის უპირატესობებზე და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მზარდ როლზე, მაშინ როცა სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის მომხრეები ხაზს უსვამენ ეკონომიკის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს მნიშვნელობას.

ამდენად, უპრიანია გლობალიზაციასთან მიმართებაში ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების შეხედულებების მოკლე მიმოხილვა, მათი საერთო და განმასხვავებელი თავისებურებების ჩვენებით[1].

ზოგადად, გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება: პირველი, გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და მეორე, გლობალიზაცია ემუქრება ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს) და ამავე დროს, წარმოადგენს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის საშიშ ტენდენციას. გლობალიზაციის ყოვლისმომცველი და წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სავსებით ლოგიკურია.

ეკონომიკის სფეროში გლობალიზაციის თაობაზე არსებული კონცეფციების ლაიტ-მოტივი ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ინტენსიფიკაციის შედეგად თვისობრივად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ხაზგასმაა.

მსოფლიო განვითარების ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში არაფერია ახალი და ის განიხილება როგორც "ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და ერთიანი პლანეტარული სივრცის ფორმირების საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესი"[1]. ზოგიერთი მეცნიერი (კ. ენსლინი, ვ. ინოზემცევი და სხვა) ერთმანეთთან აიგივებს ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესებს, „საზოგადოების შესახებ მეცნიერებისათვის ცნობილია ორი პროცესი, რომლებმაც საზოგადოება მთლიანობის უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, ხოლო ცალკეული სოციალური მოვლენები - ურთიერთგანპირობებულობის უფრო მაღალ დონეზე. პირველი არის სამრეწველო რევოლუციის ეტაპზე ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნა ... მეორე ასეთივე მასშტაბური პროცესი XX საუკუნეში გავრცელდა და ინტერნაციონალიზაციის სახელწოდება მიიღო... მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, მესამე პროცესი, რომელსაც გლობალიზაცია შეიძლება

---

1 განხილულია ცნობილი ქართველი და უცხოელი ეკონომისტების, სოციოლოგებისა და პოლიტოლიგების შეხედულებები

[1] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 218

ვუწოდოთ, არ არსებობს“[1]. გლობალიზაციის ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით “განსახილველი რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ და როდის გაჩნდა ეკონომიკური გლობალიზაციის მითი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისა და 1972-1973 წლების კრიზისული მოვლენებით უნდა დავიწყოთ“[2].

ამდენად, გლობალიზაციის საწყის წერტილთან დაკავშირებით სოციალური მეცნიერებების ცალკეულ წარმომადგენლებს შორის არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა და პერიოდიზაცია ძირითადად XV-XX საუკუნეებს მოიცავს, სსფ-ის ექსპერტის ვ. ტანზას მოსაზრებით “გლობალიზაციის თანამედროვე ტალღაში ახალი არაფერია, წარსულშიც იყო პერიოდები, როცა საქონლისა და კაპიტალის ნაკადები სწრაფად იზრდებოდა და მათი წილი მშპ-ში ისეთივე მაღალი იყო, როგორც დღეს“[3].

ინდოელი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, გლობალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დამცველი ჯ. ბჰაგვატი აღნიშნულ პროცესს განმარტავს “როგორც საგარეო ვაჭრობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალის და საერთოდ მოსახლეობის გადაადგილების, ასევე ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციას“[4].

[1] Иноземцев В. Расколотая цевилизация, М., Академия наука, 1999, с. 619

[2] ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 11

[3] Глобализация мирового хозяйства, М., 2006, с.5

[4] Bhagwati Jagdish. In Defense of Globalization, 2004

ამ განმარტებას ეთანხმება ამერიკელი ეკონომისტი ჯ. სტიგლიცი, რომლის მიხედვით “გლობალიზაცია არის ქვეყნებისა და ერების სულ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია, რომელიც განპირობებულია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ცოდნის, ადამიანების (შედარებით ნაკლები ხარისხით) ეროვნულ საზღვრებს მიღმა გადაადგილებაზე ხელოვნური ბარიერების მოსპობით... გლობალიზაციის პროცესით უკმაყოფილება გამოწვეულია ეკონომიკური თეორიის ერთი მიმართულების - საბაზრო ფუნდამენტალიზმის დომინირებით“[1].

ს. ფიშერის შეხედულებით “ეკონომიკური გლობალიზაცია არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესი, რომლიც ეფუძნება საქონლის და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის, საერთაშორისო ფინანსური ნაკადების მოცულობისა და სამუშაო ძალის მიგრაციის ზრდას“[2].

საერთაშორისო ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა მსოფლიო ბანკი ყურადღებას გლობალიზაციის ეკონომიკურ კომპონენტზე ამახვილებს და აღნიშნული ინსტიტუტის წარმომადგენლების მოსაზრებით “გლობალიზაცია არის მსოფლიოს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, როგორც საქონლის, მომსახურების საერთაშორისო გადაადგილების, კაპიტალის ინტერნაციონალური ნაკადების მზარდი მოცულობისა და ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების შედეგი[3]“.

[1] Stiglitz Joseph E. Globalization and Its Discontents, 2002

[2] Fisher S. Globalization and its chalelenges, 2003

[3] World Economic Qutlook, 1997

აღნიშნულ მოსაზრებას ეხმიანება მეცნიერების გ. ანილიონისის და ნ. ზოტოვას შეხედულება, რომლებიც გლობალიზაციას განიხილავენ, როგორც "უპირატესად კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ინტენსიფიკაციის შედეგად წარმოქმნილ პროცესს"[1].

პროფესორ რ. გოგოხიას განმარტებით "მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიოს მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობასა და განვითარებას. უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების, მათ შორის, განსაკუთრებით – შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა[2]".

პროფესორ ე. მექვაბიშვილის მოსაზრებით "ეკონომიკის გლობალიზაცია, რა თქმა უნდა, ობიექტური პროცესია, რომელიც ბევრ პროგრესულ ცვლილებას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში, თუმცა მას თან ახლავს მრავალი მწვავე პრობლემა და წინააღმდეგობა"[3].

პროფესორ თ. ჩიკვაიძის აზრით "მიზანშეწონილია შევაფასოთ გლობალიზაცია: როგორც საყოველთაო ტენდენცია; როგორც ობიექტური რეალობა; როგორც პროცესი; როგორც პრობლემა; როგორც მომავალი. როგორც საყოველთაო ტენდენცია, გლობალიზაცია ყოფიერებისა და ცნობიერების ყველა ელემენტის ურთიერთდაახლოებას, შერწყმას ან კონგლომერატიზაციას გამოხატავს. ამიტომ იგი ზოგჯერ

[1] Анилионис Г., Зотова Н. Глобальный мир, единый и разделенный, м., 2005, с. 233

[2] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004

[3] მექვაბიშვილი ე. მექვაბიშვილი მ. ეკონომიკის გლობალიზაციის მოდელები, ჟურნ. საქართველოს ეკონომიკა, №3, გვ. 97

თავისთავადობის, იდენტურობის მოშლას იწვევს, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის აუცილებელი, რადგანაც გლობალიზაცია დაპირისპირებულთა გაერთიანებასაც უშვებს. როგორც პროცესი, გლობალიზაცია ობიექტურ და სუბიექტურ პროცესთა განვითარების შედეგია. იგი, როგორც გარეგანი ექსპანსია, ასევე მოცემული სისტემის შიგნით ლოკალიზაციის პროცესითაც ხორციელდება..... როგორც მომავალი, გლობალიზაცია უარყოფითი და დადებითი შედეგების გლობალიზაციის თანაფარდობის მიხედვით ფასდება[1]".

პროფესორ ნ. ჭითანავას აზრით "გლობალიზაცია არის ისტორიული პროცესი მისთვის დამახასიათებელი ეტაპებით, თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომიერებებით... იგი ადეკვატურად ასახავს შრომის დანაწილების მრავალმხრივ პროცესს, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს (პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას, რელიგიას) ერთმანეთთან უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ავტონომიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფებას. ამიტომ სწორედ უნდა მივიჩნიოთ, რომ გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა[2]".

აკადემიკოსების ო. ბოგომოლოვისა და ა. ნეკიპელოვის აზრით "ქვეყნებსა და ერებს შორის მზარდმა ურთიერთდამოკიდებულებამ, მიუხედავად მათი განსხვავებისა განვითარების დონეებს, კულტურას, რელიგიას, ისტორიულ ტრადიციებს შორის მიაღწია

[1] ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001

[2] ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი 3, თბ. 2001

ისეთ სტადიას, რომელსაც ტერმინ - გლობალიზაციით ასახავენ"[1].

ეკონომიკურ ლექსიკონში გლობალიზაცია განმარტებულია როგორც "მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები"[2].

გლობალიზაციის პოლიტიკური ასპექტებიდან მთავარია ეროვნული სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაციისა და სახელმწიფო საზღვრის ტრანსფარენტულობის ზრდის ხაზგასმა. ზოგიერთი მეცნიერი (მაგ. აკადემიკოსი ვ. სერგეევი) თვით სახელმწიფოებს შიგნით გამოყოფს ე. წ "გლობალიზებულ რაიონებს" (მაგ. რუსეთში მოსკოვ-სანკტ-პეტერბურგის დერეფანს), რომლებსაც ის განიხილავს როგორც "ჭიშკარს გლობალურ მსოფლიოში"[3].

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პრობლემების ზოგიერთი მკვლევარი (ჰ. მარტინი და ხ. შუმანი, მ. დელიაგინი და სხვა) ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების, ტრანსნაციონალური ბანკების (ტნბ), ასევე რეგიონების მზარდ როლზე, მასობრივი ცნობიერების ფორმირებისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მათ ზეგავლენაზე, ასევე ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე და ა.შ.[1] ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლ. თუროუ, რომელიც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ "მიუხედავად გლობალიზაციის ფორმების განსხვავებულობისა, მათი შინაარსი საერთოა და ემყარება კომერციული ფირმების მიერ მაქსიმალური მოგების მიღების სურვილს[2]".

ლ. თუროუ ეროვნულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, ეროვნული მთავრობის როლის შემცირების, ცივი ომის დასრულებისა და პატარა ქალაქ-სახელმწიფოების არსებობის ფაქტორების ემპირული შედეგების საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ "50 წლის შემდეგ თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოთა უმრავლესობა აღარ იარსებებს"[3].

ლ. თუროუს განმარტებას ეხმიანება პროფესორ ზ. დავითაშვილის განმარტება "გლობალიზაციის მთავარი ნიშანი სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლაა[4]".

ცნობილი ფრანგი პოლიტოლოგი ფ. მორო დეფარჟი გლობალიზაციას განმარტავს როგორც პროცესს "რომელიც ფარავს საერთაშორისო თეატრის ყველა მონაწილის (სახელმწიფოები, კომპანიები, ორგანიზაციები, ინდივიდები) ქმედებებს, რომლებიც

[1] Грани глобализации, М., Алпина паблишнер, 2003, с. 103
[2] Внешнеэкономический толковый словарь, М., Инфра-М, 2000, с. 69
[3] Сборник статей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001

[1] Мартин Г.П., Шуман Х. Западня глобализации: атака на процветание и демократию, М., Альпина, 2001 Практика глобализации: игры и правила новой эпохи, М., Инфра-М, 2000
[2] საგარეო პოლიტიკის ანალიზის ცენტრი, ბიულეტენი, 2002, №3, გვ. 6
[3] საგარეო პოლიტიკის ანალიზის ცენტრი, ბიულეტენი, 2002, №3, გვ. 9
[4] დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003

იძულებულნი არიან იაზროვნონ გლობალურ ანუ პლანეტარულ დონეზე“[1].

”Finacial Timess”-ის საერთაშორისო რედაქციის მთავარი რედაქტორი პ. მარტინი მიიჩნევს, რომ “სწორედ გლობალიზაციამ გამოუთხარა ძირი ბოროტების იმპერიას – საბჭოთა კავშირს“ და მისი აზრით “გლობალიზაციის წინააღმდეგ ნებისმიერი გამოსვლა ღრმად ამორალურ ხასიათს ატარებს“[2].

გლობალიზაციის სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით საგულისხმოა ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის ე. გიდენსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც “გლობალიზაცია უპირატესად სოციალური მოვლენაა და ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაშორებულ ადგილებს ისეთნაირად აკავშირებს, როცა ადგილობრივი მოვლენები ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენებით და პირიქით[3]“.

გლობალიზაციას ასევე ხშირად აიგივებენ მონდიალიზაციასთან და გლობალიზაციას მონდიალიზაციის ინგლისურენოვან ვერსიად მიიჩნევენ, ხოლო ზოგიერთი მკვლევარი (დ. კოლიარი) გლობალიზაციას “მონდიალიზაციის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიად“ განიხილავს[4].

გლობალიზაციის იდეოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებით საგულისხმოა ა. პანარინის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “გლობალიზაციის იდეას აქვს

[1] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 214
[2] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 222
[3] Гидденс Э. Ускользающий мир: Как глобализация меняет нашу жизнь, М., 2004
[4] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 216

ყველა შანსი გადაიქცეს ახალი მსოფლიო იდეოლოგიის საფუძვლად“[1].

გერმანელი სოციოლოგი უ. ბეკი ერთმანეთისგან განასხვავებს გლობალიზაციას, გლობალიზმს და გლობალურობას. გლობალიზმს ის განმარტავს როგორც მოვლენას, როცა მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებებს. უ. ბეკის მიხედვით გლობალიზაციის ყველა ასპექტი – პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური მსოფლიო ბაზარს ექვემდებარება და წარმოადგენს პროცესს, როცა ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი იფარება ტრანსნაციონალური აქტორებით და მათ ემორჩილება[2].

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის წინააღმდეგობრივმა ხასიათმა ასეთი შეკითხვაც კი დაბადა “არსებობს გლობალიზაცია საერთოდ?[3].

ამერიკელი პროფესორის ჩ. ჯონსონის აზრით “გლობალიზაცია ტიპიური ამერიკული აბსტრაქციაა, ისეთივე როგორც თავისუფალი ვაჭრობა... ეს აბსტრაქცია სპეციალურადაა მოფიქრებული, რომ ყველამ დაინახოს გლობალიზაცია, როგორც გარდაუვალი და შეუჩერებელი ისტორიული ძალა, რომელსაც აშშ-იც ძლივს ეწყობა“[4]. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს რუსი მკვლევარი ა. ბოგატუროვი, რომელიც გლობალიზაციას განიხილავს “როგორც 2/3-ით ვირტუალურ ფაქტს“[5].

[1] Мунтян М.А., Урсул А. Д. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 222
[2] Бек У. Что такое глобализация? перевод с немецкого, М., 2001
[3] Мунтян М.А., Урсул А. Д. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003
[4] Глобализация мирового хозяйства, М., 2006, с.5
[5] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 217

გლობალიზაციას განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მეცნიერთა უმრავლესობა, ისინი უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს მონაწილეობით ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებელ განვითარებას და გლობალიზაციის პროცესს ეროვნული ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად განიხილავენ. ამავე დროს, აღნიშნული ქვეყნების მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ეროვნულ ტრადიციებზე, ფასეულობებზე, კულტურულ თვითმყოფადობაზე გლობალიზაციის უარყოფით ზეგავლენაზე ანუ აქცენტს აკეთებენ გლობალიზაციის შესაძლო ნეგატიურ კულტურულ-პოლიტიკურ შედეგებზე.

3. გლობალიზაცია და ანტიგლობალისტური მოძრაობა

გლობალიზაცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა ასოცირდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მზარდ მასშტაბებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული ქვეყნების ტნკ-ების როლის ზრდასთან გარკვეულწილად ზრდის გლობალიზაციის პროცესისადმი შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას. ამდენად, გლობალიზაცია, მიუხედავად მისი ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათისა წარმოქმნის საწინააღმდეგო მოძრაობას.

გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციებს სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ, რომელთა შორის გამოსაყოფია დიფერენციაცია, რეგიონალიზაცია, ლოკალიზაცია და ა.შ. ყველა ზემოთაღნიშნული ტერმინი საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროს ეხება. დიფერენციაცია ხაზს უსვამს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს და ინდივიდებს შორის არსებულ განსხვავებებს, რეგიონალიზაცია ეკონომიკურ-პოლიტიკური ფენომენია, ხოლო ლოკალიზაცია კულტურული სხვაობისა და ინდივიდების ცალკეულ ერებთან თვითიდენტიფიკაციის გამომხატველი ტერმინია.

ზოგადად, გლობალიზაციის წინააღმდეგ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ანტიგლობალისტური მოძრაობის სახელწოდება მიიღო, რომელიც საკმაოდ მზარდ, თუმცა არათანმიმდევრულ მასშტაბებს იღებს.

გლობალიზაციის წინააღმდეგ გამოდიან ცალკეული ქვეყნის პოლიტიკური და აკადემიური წრეების წარმომადგენლები, რომლებიც ხაზს უსვამენ მის წინააღმდეგობრივ ხასიათს ეროვნულ, რეგიონულ და

გლობალურ დონეზე, რაც სავსებით ლოგიკურია გლობალიზაციის მრავალასპექტიანი ხასიათიდან გამომდინარე.

გლობალიზაციის თემატიკასთან შედარებით, რომელსაც მრავალი სტატია თუ მონოგრაფია ეძღვნება მსოფლიოში, ანტიგლობალისტური მოძრაობა ნაკლებად შესწავლილ ფენომენს წარმოადგენს. არსებობს განსხვავებული მოსაზრებები თვით "ანტიგლობალისტური მოძრაობის" დეფინიციასთან დაკავშირებით, რაც ასევე ნიშანდობლივია ტერმინ "გლობალიზაციასთან" მიმართებაში. ნათელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ორი ტერმინის განმარტება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია.

II მსოფლიო ომის შემდეგ დაჩქარდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მეცნიერება გადაიქცა უშუალო მწარმოებლურ ძალად, წინა პლანზე წამოიწია ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა. ინფორმაციული ტექნოლოგიები გლობალიზაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, არღვევს რა ქვეყნებს შორის არსებულ ადმინისტრაციულ ბარიერებს, აერთიანებს ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ ფინანსურ ბაზრებს. შედეგად, ფინანსური და ინფორმაციული ნაკადები, ტექნოლოგია და კონკურენცია იძენს გლობალურ ხასიათს. ამდენად, XX საუკუნეში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ და XXI საუკუნის მიჯნაზე ინფორმაციის უპრეცენდენტოდ გაზრდილმა ნაკადებმა წარმოშვა წინააღმდეგობების ტალღა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან.

ინფორმაციული ტექნოლოგიების უმთავრესი თავისებურებაა მათი მეშვეობით საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ქვეყნებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ინ-

ფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, გააჩნიათ შესაძლებლობა იმოქმედონ სხვა ქვეყნების მოსახლეობის ცნობიერებაზე და ამით ხელი შეუწყონ ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ ტექნოლოგიური გავლენის გაფართოებას. ინფორმაციული ტექნოლოგიები კიდევ უფრო აძლიერებენ განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალაუფლებას და შესაბამისად, სხვა ქვეყნების მათზე დამოკიდებულების ხარისხს.

გლობალიზაციის მართვის პროცესი დაკავშირებულია ობიექტური ხასიათის წინააღმდეგობებთან. თუმცა, როგორც აკადემიკოსი ნ. სიმონია აღნიშნავს "დედამიწის მოსახლეობის სულ მცირე სამ მეოთხედს საერთოდ არა აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ არსებობს გლობალიზაცია[1]".

მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელია კარდინალური ცვლილებები საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების ხასიათში. შედეგად, წარმოიქმნა გლობალური ხასიათის ეკონომიკური პრობლემები და გლობალურ დონეზე რადიკალურად გამწვავდა სოციალური პრობლემები. XX საუკუნის 90-იან წლებში მსგავსი ხასიათის პრობლემების წარმოქმნამ დასაბამი მისცა გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის გრძელ ტალღას და გლობალიზაცია, განსაკუთრებით მისი ნეოლიბერალური ვარიანტი მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ უდიდეს ბოროტებად.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში აღნიშნული პრობლემების წარმოქმნა ძირითადად უკავშირდება ღია ეკონომიკის პრინციპების გლობალური მასშტაბით დანერგვას, საერთაშორისო ინსტიტუტების როლის გააქტიურებას, რომელთა პოლიტიკის უმთავრესი ვექტორი განვითარებადი და გარდამა-

[1] Глобализация мирового хозяйства, М., 2006, с. 6

ვალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს როლის შემცირებაზე გადის. სახელმწიფოს როლის კარდინალურმა ცვლილებებმა, რომელიც განსაკუთრებით მაღალი იყო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, ყოველმხრივმა ლიბერალიზაციამ მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში უკმაყოფილების ზრდა განაპირობა.

ანტიგლობალისტური მოძრაობის ევოლუცია შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად:

1. 1990-1995 წლები: გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობა უპირატესად დამახასიათებელი იყო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. დროის ამავე პერიოდს ემთხვევა მექსიკის სავალუტო-საფინანსო კრიზისი, რაც გახდა წინააღმდეგობის გაძლიერების მიზეზი ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამ პერიოდში შედარებით ნაკლებად მწვავედ იდგა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ წარმოებული პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის საკითხი, რაც მრავალ სხვა ობიექტური ხასითის მიზეზთან ერთად განპირობებული იყო ამ ინსტიტუტების პოლიტიკისადმი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გატარებული რეფორმების ადაპტაციის ობიექტური აუცილებლობით. ასევე ცალკეული სახელმწიფოების მთავრობის უუნარობით, დამოუკიდებლად გაეტარებინათ ეკონომიკური რეფორმები. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ინსტიტუტების როლი მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის ძირითადი დეტერმინანტების განსაზღვრის თვალსაზრისით. ამავე პერიოდს დაემთხვა ნეოლიბერალური გლობალიზაციის აღზევება, რომლის უმთავრესი დეტერმინანტი ეკონომიკის რეგულირების

პროცესში სახელმწიფოს როლისა და შესაბამისად, სახელმწიფოს ხარჯების შემცირებაა, რაც თავის მხრივ გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური დაძაბულობის ზრდის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა.

2. 1995-2000 წლები: ამ პერიოდში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში განვითარებულმა სავალუტო-საფინანსო კრიზისმა წარმოქმნა გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის ახალი ტალღა, უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ამავე პერიოდში გაიზარდა უნდობლობის ხარისხი საერთაშორისო ინსტიტუტების, განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიმართ, რომელმაც ვერ შეძლო აღნიშნული კრიზისული ვითარების პროგნოზირება და პრევენცია. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კრიზისამდე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები ხასიათდებოდნენ როგორც ნეოლიბერალური გლობალიზაციის შედეგად ეკონომიკური წარმატების მიღწევის სანიმუშო ქვეყნები. აღნიშნულ პერიოდში გააქტიურდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების თაობაზე დისკუსია, რომელიც აშკარად არ შეესაბამება გლობალური განვითარების ახალ რეალიებს. ამავე დროს, ძლიერდება პროტესტი გლობალიზაციის მიმართ უკვე განვითარებულ სახელმწიფოებში და განვითარების გარკვეულ კანონზომიერებას იძენს მოძრაობა, რომელმაც შემდგომში "ანტიგლობალისტური მოძრაობის" სახელწოდება მიიღო.

3. 2000 წლიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით, როცა აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა გლობალიზაციის რეგულირების აუცილებლობაზე, ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე და მის კონფიგურაციაზე, მსოფლიო ეკონომიკის ძირითად სუბიექტებს შორის თანაფარდობაზე, მათ შორის ფუნქციების გადანაწილებაზე, სახელმწიფოს ახალ როლზე და ა.შ. ასევე გააქტიურდა დისკუსია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირების თაობაზე. ამავე პერიოდში იწყება მსჯელობა გლობალიზაციის "ადამიანურ სახეზე" ანუ წინა პლანზე იწევს გლობალიზაციის სოციალური განზომილება.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არცერთი მკვლევარი არ უარყოფს გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილების პირველადობას და მის ობიექტურ ხასიათს. გლობალიზაცია ძირითადად ეკონომიკური ფენომენია, მაშინ როცა ანტიგლობალისტური მოძრაობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც უპირატესად სოციალური მოვლენა.

ანტიგლობალისტური მოძრაობა შეიძლება განიმარტოს, როგორც სოციალური მოძრაობა, რომელიც მიმართულია ამ ეტაპზე დასავლეთის განვითარებული ქვეყნების (უპირატესად აშშ) და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (უპირატესად სსფ და ვმო) მხრიდან წარმართული გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის წინააღმდეგ.

ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის შედეგად შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე, როგორც ცალკეულ ქვეყნებს, ისე სოციალურ ჯგუფებს შორის, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტნკ-ების საქ-

მიანობის არაეფექტიანობაზე და ზიანზე, რომელიც მოაქვთ მსოფლიოს შედარებით ღარიბი ქვეყნებისათვის. ანტიგლობალისტური მოძრაობა ხაზს უსვამს გლობალიზაციის "ადამიანური ხასიათის" აუცილებლობას, მაშინ როცა მათი აზრით, ნეოლიბერალური გლობალიზაცია უპირატესად ტნკ-ების გლობალიზაციაა წარმოებისა და კაპიტალის გლობალური მასშტაბებით.

ზოგადად, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანტიგლობალისტური მოძრაობის შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია და ანტიგლობალისტური მოძრაობა არ წარმოადგენს მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გატარებული პოლიტიკისადმი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგობის ამსახველ მოძრაობას. ანტიგლობალისტურ მოძრაობაში წარმოდგენილია, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ნაწილი.

ანტიგლობალისტური მოძრაობის ბირთვი მემარცხენე იდეოლოგიის ადამიანები, მარქსისტები და სოციალ-დემოკრატიული აზრის წარმომადგენლები არიან, რომლებიც გლობალიზაციას აკრიტიკებენ განვითარების კაპიტალისტური გზის მიუღებლობის კონტექსტიდან გამომდინარე. ნეომარქსისტების აზრით "მსოფლიო იყოფა ცენტრად, პერიფერიად და ნახევრად პერიფერიად. მსგავსი დაყოფის კრიტერიუმს წარმოების ტიპი წარმოადგენს[1], ხოლო "გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული იმპერიალიზმისა და მონოპოლისტური კაპიტალის მიზანმიმართული სტრატეგია, რომლის მიზანია მსოფლიოში ეკონომიკური უთანასწორობის გამყარება, "მსოფლიო ცენტრი-ქვეყნების" მონოპოლიების მიერ "პერიფერი-

[1] Wallerstain I. The capitalist world economy, 1979

ული და ნახევრადპერიფერიული ქვეყნებისა და რეგიონების ექსპლუატაცია“. ნეომარქსისტების აზრით გლობალიზაცია, როგორც ტერმინი ცვლის ტერმინს “იმპერიალიზმი“[1].

“ანტიგლობალისტური მოძრაობა“ სხვადასხვა ფორმებს ღებულობს, დაწყებული საპროტესტო გამოსვლებით, დემონსტრაციებით (სიეტლში, ვმო-ს მინისტრთა კონფერენციისას, გენუაში “დიდი რვიანის“ შეხვედრისას, დავოსში და მელბურნში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მსვლელობისას, ვაშინგტონში, პრაღაში, მსოფლიო ბანკის და სსფ-ის სხდომებისას და ა. შ), რომელიც მიმართულია ცალკეულ სახელმწიფოებზე, ისე მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებზე გლობალიზაციის უარყოფითი ზეგავლენის შერბილება-ნეიტრალიზებისაკენ, დამთავრებული გლობალიზაციის სრული მიუღებლობით, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც ახალი იმპერიალიზმი, დასავლური კულტურის ექსპანსია ანუ ე.წ. მსოფლიო ვესტერნიზაცია, რომელიც ზიანს აყენებს არადასავლური ცივილიზაციის ქვეყნებს.

ზოგადად, ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან გლობალიზაციის პროცესისადმი წინააღმდეგობის ძირითადი მიმართულებებია:

- ეკონომიკის სფეროში — ქვეყნებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება, შედეგად, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უფსკრულის ზრდა, ვაჭრობის არასამართლიანი ხასიათი, კაპიტალის შეუზღუდავი მოძრაობის დამანგრეველი ზემოქმედება სუსტი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნების ეკონომიკაზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოფარგვლა ძირითადად განვითარებული ქვეყნებით, ტნკ-ებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გატარებული პოლიტიკის არაეფექტიანობა და ა.შ.;
- პოლიტიკის სფეროში — ეკონომიკის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს როლის შემცირება, ერთპოლუსიანი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგი, არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების შეუსაბამობა თანამედროვე მსოფლიო განვითარების მოთხოვნებთან და შესაბამისად, მათი რეფორმირების აუცილებლობა;
- სოციალურ სფეროში — სოციალურ ჯგუფებს შორის შემოსავლების არათანაბარი განაწილება, სიღარიბის დონისა და სოციალური დაძაბულობის ზრდა, სახელმწიფოს როლის შემცირება სოციალურ სფეროში და ა.შ.;
- კულტურის სფეროში — მსოფლიოს ე.წ. “ამერიკანიზაცია“, დასავლური ღირებულებების თავს მოხვევა, ეროვნული ტრადიციებისა და განვითარების თავისებურებების უგულებელყოფა და ა.შ.

ამრიგად, ანტიგლობალისტური მოძრაობის ძირითადი მიმართულებებია ანტიკაპიტალიზმი ანუ ე.წ. საბაზრო ფუნდამენტალიზმის მიუღებლობა, ანტიამერიკანიზმი ან ზოგადად, ანტივესტერნიზმი. ანტიგლობალისტები ეწინააღმდეგებიან საბაზრო ეკონომიკის უნიკალურობის იდეას და სამართლიანად შეაქვთ ეჭვი მის უნარში უზრუნველყოს გლობალური ეკონომიკის მდგრადი განვითარება. ანტიგლობალისტები ასევე წინააღმდეგობით ეკიდებიან ვესტერნიზაციას და ტნკ-ებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების

[1] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 213-214.

მიერ წარმოებულ პოლიტიკას, რომელიც ვესტერნიზაციის მიღწევის ინსტრუმენტად განიხილება. ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიო არ წარმოადგენს ერთიან ორგანიზმს და ამ ეტაპზე ის გარკვეულწილად დაყოფილია. მსოფლიო განვითარების მკვლევარების ნაშრომებში განსხვავებულია მსგავსი დიფერენციაციის კრიტერიუმები: ცივილიზაციები (ს. ჰანტინგტონი), აგრარული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოება (ე. ტოფლერი), განათლების დონე (ვ. ინოზემცევი), ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე (ი. ვალერსტაინი) და ა.შ.

ანტიგლობალისტური მოძრაობის ეკონომიკური ასპექტები შეიძლება განხილულ იქნას ორი მიმართულებით: 1. წინააღმდეგობა ლიბერალიზმს და პროტექციონიზმს შორის და 2. წინააღმდეგობა ბაზრის თვითრეგულირების უნარსა და სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას შორის. ანტიგლობალისტები ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის, განსაკუთრებით საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის ნეგატიურ ასპექტებზე. ამდენად, თანამედროვე ანტიგლობალისტური მოძრაობის თეორიულ საფუძვლებს პროტექციონიზმისა და ნეომერკანტილიზმის ეკონომიკური კონცეფციები წარმოადგენს.

ანტიგლობალისტური მოძრაობის გაძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ეკონომიკის გახსნილობასა და ეკონომიკის პროტექციონისტულ დაცვას შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობები. ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან ეკონომიკის გახსნილობას, რომელიც ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში ასოცირდება კონკურენციის ზრდის შედეგად სამუშაო ადგილების შემცირებასთან, ასევე ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული თავისებურებების შესუსტებასთან და ზოგადად, განიხილება როგორც განვითარებული ქვეყნების მხრიდან შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ექსპლუატაცია.

ანტიგლობალისტური მოძრაობის ბირთვს პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, ასევე შრომატევადი პროდუქციის წარმოებაში დასაქმებული ადამიანები წარმოადგენენ. ნათელია, რომ მეცნიერებატევად სფეროებში დასაქმებული ადამიანები ანუ შეიძლება ითქვას პოსტინდუსტრიული საზოგადოების წარმომადგენლები გაცილებით ნაკლებ კრიტიკულად არიან განწყობილნი გლობალიზაციის მიმართ. თუმცა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში "მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 2-3% ცხოვრობს "ცოდნის ეკონომიკის" პირობებში, 15% პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ეკონომიკის ინფორმაციული ტიპით, 10% ინდუსტრიულ ეკონომიკაში, 70% ტრადიციულ ეკონომიკაში"[1], რაც თავის მხრივ თანამედროვე მსოფლიოში ანტიგლობალისტური მოძრაობის საკმაოდ მაღალი პოპულარობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოებაა.

ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენლები მოითხოვენ სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობაზე ე.წ. "ტობინის გადასახადის" შემოღებას. ამდენად, იკვეთება ეკონომიკის სფეროში ანტიგლობალისტური მოძრაობის წინააღმდეგობის ორი ძირითადი მიმართულება: 1. ვაჭრობის ლიბერალიზაცია და 2. კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია. ანტიგლობალისტების ნაწილი მხარს უჭერს "ალტერნატიულ გლობალიზაციას ანუ "გლობალიზაციას ქვემოდან"

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 159

ნეოლიბერალურ "ზემოდან გლობალიზაციასთან შედარებით"[1].

ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილი მეცნიერი ჯ. ბჰაგვატი აღნიშნავს "ხშირად ავიწყდებათ, რომ "მესამე სამყაროს ქვეყნებში" პროტექციონიზმის დონე საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში"[2]. თუმცა, სრულიად ობიექტური და სამართლიანია გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობაზე შეზღუდვების დაწესების თაობაზე.

ანტიგლობალისტური მოძრაობის ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენს მსოფლიო ინვესტიციების, კერძოდ პუი-ს შემოფარგვლა განვითარებული ქვეყნების ჯგუფით, რაც თავის მხრივ განაპირობებს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ჩამორჩენილობის ზრდას. ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენლები ასევე ხაზს უსვამენ განვითარებული ქვეყნების ტნკ-ების უარყოფით როლს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რაც გამოიხატება მათი მიმღები სახელმწიფოების პოლიტიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობით.

ანტიგლობალისტური მოძრაობის გაძლიერების ერთ-ერთ მიზეზს ასევე წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობა. განსაკუთრებით გამოსაყოფია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განიხილება გლობალური

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 254

[2] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005, с. 9

მასშტაბით აშშ-ს პოლიტიკურ-ეკონომიკური ექსპანსიის უმთავრეს ინსტრუმენტად. აღნიშნული თავის მხრივ, ბადებს წინააღმდეგობას თვით განვითარებულ სახელმწიფოებშიც, მათ შორის აშშ-იც, რომლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგება აშშ-ს ჰეგემონურ პოზიციას მსოფლიოში, რომ არაფერი ვთქვათ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობაზე. აშშ-ს მოსახლეობის ამ ნაწილის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის მთავრობამ გაცილებით მეტი ყურადღება დაუთმოს შიდა ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას და გაატაროს ნაკლებად ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოშობს გამოწვევებს აშშ-ს უსაფრთხოებისათვის. ვ. ინოზემცევის აზრით "მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი საერთაშორისო წესრიგის ფორმირების პროცესი, რომელიც უპირველეს ყოვლისა ხასიათდება უფსკრულის გაღრმავებით და გაფართოებით განვითარებულ ქვეყნებს, რომლებშიც უმთავრესი საწარმოო რესურსის როლს ცოდნა და ინფორმაცია ასრულებს და დანარჩენ მსოფლიოს შორის"[1].

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური გლობალიზაციის უმთავრესი მახასიათებელია ის, რომ გლობალიზაცია როგორც პროცესი ხელს უწყობს განვითარებული ქვეყნების სიმდიდრის ზრდას, მაშინ როცა გლობალიზაცია მოკლევადიან პერიოდში ვერ უზრუნველყოფს ულარიბესი ქვეყნების განვითარების დაჩქარებას. თუმცა, როგორც ჯ. ბჰაგვატი აღნიშნავს "ანტიგლობალისტური განწყობა ჭარბობს ჩრდილოეთის განვითარებულ ქვეყნებში, მაშინ როცა სამხრეთის ღარიბი ქვეყნების პოლიტიკოსებისა და მოსახლეობის

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 139

დიდი ნაწილი გლობალიზაციას შედარებით პოზიტიურ მოვლენად განიხილავს"[1].

განვითარებულ ქვეყნებში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მსგავსი განწყობის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის გამოსაყოფია შემდეგი:

- სამხრეთის ქვეყნების მოსახლეობის მზარდი მიგრაცია განვითარებულ სახელმწიფოებში, რაც ხშირ შემთხვევაში უმუშევრობის ტემპების ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. მიგრანტები, რომლებიც უმეტესწილად დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაა, კონკურენტულ ბრძოლაში ებმებიან განვითარებული ქვეყნების შრომატევად სფეროებში დასაქმებულ სამუშაო ძალასთან;
- ფაქტორი, რომელიც მჭიდრო კავშირშია პირველთან, დაბალგანვითარებული ქვეყნების მხრიდან მრავალწლიანი მრავალმხრივი მოლაპარაკებების შედეგების საფუძველზე განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის მოცულობის ზრდაა, რაც ამ ქვეყნებში პროტექციონისტული პოლიტიკით დაცულ შრომატევად სფეროებში წარმოების მოცულობის შემცირებას და შესაბამისად, უმუშევრობის ზრდას განაპირობებს. მსგავსი ტენდენცია მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დანახარჯების ზრდას, რომლის ერთ-ერთ საფუძველს გადასახადების ზრდა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ იწვევს უკმაყოფილების ზრდას როგორც ღარიბ, ისე საზოგადოების მდიდარ ფენებში.

გლობალიზაციის პროცესისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ როგორც ჯ. ბჰაგვატი აღნიშნავს "იდეოლოგიური ზეწოლიდან და ლობიზმიდან გამომდინარე გლობალიზაციის პროცესთან მრავალი ქვეყნის მიერთება მიმდინარეობს არა ოპტიმალური, არამედ მაქსიმალური სიჩქარით"[1].

ამრიგად, ანტიგლობალისტური მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები კონცენტრირებულად შეიძლება შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს:

1. მსოფლიო შემოსავლების უფრო თანაბარი განაწილება;
2. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან ცალკეული ქვეყნების (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში ჩარევის შემცირება და ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით მათ მიმართ დიფერენცირებული პოლიტიკის გამოყენება;
3. სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვა;
4. ახალი, სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება.

უდავოა, რომ XX საუკუნის მიწურულს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების საკითხი მწვავედ დადგა მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე. ეს, თავის მხრივ აძლიერებს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების, უმთავრესად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ უნდობლობის ხარისხის ზრდას და ხაზს უსვამს აღნიშნული ორგანიზაციის რეფორმირების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის აუცილებლობას.

[1] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005, с. 12

[1] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005, с. 295

ანტიგლობალისტური მოძრაობა, მიუხედავად მისი წარმომადგენლების მრავალფეროვნებისა ასახავს და მთელი სიმწვავით აყენებს გლობალური ეკონომიკის განვითარების აქტუალურ პრობლემებზე მსოფლიო თანამეგობრობის (განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნები) ადექვატური რეაგირების აუცილებლობის საკითხს.

4. გლობალიზაციის არსი

გლობალიზაციის თანამედროვე კონცეფციების ბაზის-მოტივი ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, ასევე მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირების ფონზე ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურება, მსოფლიო განვითარების პროცესში მათი მზარდი მნიშვნელობაა.

გლობალიზაციის პროცესი გულისხმობს ჯერ ერთი, საყოველთაო გლობალიზაციას და არა მისი რომელიმე კომპონენტის, და მეორე, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ურთიერთგადაჯაჭვისა და ურთიერთგანპირობებულობიდან გამომდინარე, ხაზს უსვამს გლობალიზაციის პროცესების ინტერდისციპლინარული (დისციპლინათაშორისი) მეთოდების, უპირატესად ეკონომიკურ-პოლიტოლოგიური მიდგომის გამოყენების საფუძველზე კვლევის აუცილებლობას.

გლობალიზაციის პროცესის ანალიზი მოძველებულს ხდის ცნებების წმინდა პოლიტიკური ან წმინდა ეკონომიკური მოვლენის გამოყენების მიზანშეწონილობას. გლობალიზაცია პოლიტიკურ ელფერს სძენს ეკონომიკურ საკითხებს და ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური საფუძვლები და მიზნები გააჩნია ერთი შეხედვით წმინდა პოლიტიკურ პროცესებს. გლობალიზაცია ასახავს ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების უპრეცენდენტო გადახლართვის პროცესს.

გლობალიზაციის კვლევისას მისი ისტორიული ხასიათიდან გამომდინარე, კვლევის უმნიშვნელოვანეს მეთოდად ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის

მეთოდი მიგვაჩნია და ვთვლით, რომ გლობალიზაციის სწორედ ცივილიზაციის ისტორიული ევოლუციის ასპექტში განხილვა იძლევა ამ ურთულესი პროცესის გაცნობიერების საუკეთესო შესაძლებლობას.

გლობალიზაცია არ წარმოადგენს რომელიმე ერთი ინსტიტუტის, სახელმწიფოს, რეგიონული თუ სოციალური ჯგუფის მხრიდან წარმართულ პროცესს. გლობალიზაცია მოიცავს ყველა სახელმწიფოს ინტეგრირების სხვადასხვა ხარისხით და გლობალიზაციის ანალიზის საწყისი წერტილია მისი როგორც ობიექტური პროცესის გაცნობიერება.

გლობალიზაციის ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის შედარებით ნაკლებ ხარისხზე "გარკვეული თვალსაზრისით, თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკა ნაკლებად ღია და ინტეგრირებულია, ვიდრე 1870-1914 წლებში არსებული რეჟიმი"[1]. ნიშანდობლივია განსხვავება, რომელიც არსებობდა I მსოფლიო ომამდე არსებულ გლობალიზაციის პერიოდს (ამერიკელი მეცნიერის ვ. უილიამსონის მიხედვით 1820-1914 წლები გლობალიზაციის პირველი ერაა) და თანამედროვე ეტაპს შორის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის, ისე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთელი სპექტრის განვითარების თვალსაზრისით. არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება:

- გლობალიზაციის პირველ ეპოქაში (1820-1914 წლები) საერთაშორისო ვაჭრობა ატარებდა დარგთაშორის ხასიათს, თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობა უპირატესად შიდადარგობრივი ხასიათისაა;
- პირველ პერიოდში ვაჭრობა ძირითადად ხორციელდებოდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ანუ მეტროპოლიებს და კოლონიებს შორის, თანამედროვე პერიოდში საქონელგაცვლა ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს.
- თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფინანსურ გლობალიზაციას, განსაკუთრებით სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობას, რომელიც არ იყო დამახასიათებელი გლობალიზაციის პირველი პერიოდისათვის და რომელიც თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია.
- თანამედროვე პერიოდის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თავისებურებაა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მზარდი როლი გლობალური ეკონომიკის განვითარების პროცესში;
- გლობალიზაციის პირველ პერიოდში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თანამედროვე პერიოდთან შედარებით, როცა სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირების პროცესში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის;
- თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია ინვესტიციების მოძრაობის ზრდა განვითარებად ქვეყნებს შორის;
- მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს

[1] ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 8

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ინტენსიური ხასიათი;

- თვალსაჩინოა განსხვავება ეკონომიკის სტრუქტურულ შემადგენლებს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით და ა.შ.

ამდენად, თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესები კარდინალურად განსხვავდება იმ ტენდენციისაგან, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. ამავე დროს, თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია სწრაფვა ერთიანი ეკონომიკური სისტემისაკენ, ადამიანისეული საქმიანობის სხვადასხვა სახის უნიფიკაციისაკენ, რომელიც არ იყო დამახასიათებელი XX საუკუნის დასაწყისში ქვეყნებს შორის ურთიერთობებისათვის. თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი უფრო მნიშვნელოვანი და გაცილებით წინააღმდეგობრივი მოვლენაა, ვიდრე საუკუნის წინათ მიმდინარე პროცესები.

ამავე დროს, გლობალიზაციის პროცესების განხილვისას მთავარი აქცენტი კეთდება ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდაზე. ცხადია, რომ გლობალიზაცია ზრდის ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციით და გლობალური პრობლემების წარმოქმნით.

ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას განაპირობებდა მთელი რიგი ფაქტორები:

1. უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და ზოგადად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი;
2. გადამამუშავებელი მრეწველობის, განსაკუთრებით მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების სწრაფი ზრდა, რომელიც იძლევა

პროდუქციის ფართო დიფერენციაციის შესაძლებლობას;

3. საგარეო ვაჭრობის სიმძიმის ცენტრის დარგთაშორისი ვაჭრობიდან შიდადარგობრივზე გადასვლა;
4. საწარმოო პროცესის ცალკეულ ელემენტებად დაშლა, მისი განთავსება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
5. ზოგიერთი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის ჩართვა კაპიტალის ექსპორტის პროცესში, რაც თავის მხრივ აღრმავებს შრომის საერთაშორისო დანაწილებას, აფართოებს საერთაშორისო საქონელგაცვლას, მომსახურებისა და ფინანსური რესურსების მოძრაობის ხარისხს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას.

გლობალიზაციას თუ მარტო ურთიერთდამოკიდებულების ზრდამდე დავიყვანთ, ამ პროცესის გაძლიერებაზე ჯერ კიდევ კ. მარქსი მიუთითებდა "ძველი, ადგილობრივი და ეროვნული ჩაკეტილობის, საკუთარი წარმოების პროდუქციით არსებობის ადგილას მოდის ერებს შორის ყოველმხრივი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება"[1].

გლობალიზაციისა და ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ურთიერთმიმართების ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ გლობალიზაცია ამცირებს ორმხრივ ურთიერთდამოკიდებულებას და ზრდის ქვეყნებს შორის მრავალმხრივ ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ასევე არ იყო დამახასიათებელი I მსოფლიო ომამდე არსებული მსოფლიო ეკონომიკისათვის.

[1] **Маркс К., Энгелс Ф. Сочинения, 2-е изд. Т 4, с. 427-428**

გლობალიზაცია, როგორც პროცესი ზრდის ქვეყნებს შორის მრავალმხრივი, რთული, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს. ზოგადად, ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის ე.წ. "რთული ურთიერთდამოკიდებულება", სხვა არაფერია თუ არა გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესის განვითარების შედეგად საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვდასხვა სფეროებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება, რომელიც თავის მხრივ უფრო ინტენსიურს ხდის გლობალიზაციის პროცესს და მას მკაფიოდ გამოხატულ კომლექსურ ხასიათს აძლევს.

ურთიერთდამოკიდებულების ზრდა ნათლად ვლინდება შემდეგ სამ განზომილებაში:

- ცალკეული ქვეყნის ინტერნაციონალიზებული კომპანიების ურთიერთდამოკიდებულება და კომპანიების გადასვლა საქმიანობის გლობალურ სტრატეგიაზე;
- მაკრო დონე – ეროვნულ ეკონომიკებს შორის წარმოქმნილი რთული ურთიერთდამოკიდებულება;
- მეგა დონე – ცალკეული ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესში საგარეო ფაქტორის მზარდი როლი, ასევე საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდა მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის თვალსაზრისით.

ამდენად, ორმხრივი მარტივი ურთიერთდამოკიდებულება დამახასიათებელია ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის, მაშინ როცა რთული, მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებელია. ამავე დროს, გლობალიზაცია უფრო მეტია ვიდრე ურთიერთდამოკიდებულება და

მნიშვნელოვნად აღემატება გლობალიზაციის მხოლოდ ეკონომიკურ განზომილებას.

გლობალიზაციის განსაზღვრის საწყისი წერტილია მისი გამოყვნა ინტერნაციონალიზაციის პროცესისაგან და გლობალიზაციის ეკონომიკური კომპონენტის პირველადობის ხაზგასმა.

ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის პროცესის განვითარების ობიექტურ საფუძველს და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში გლობალიზაციის წინამორბედ ეტაპს წარმოადგენს. გლობალიზაცია ობიექტური პროცესი და მსოფლიო ეკონომიკის ისტორიული ევოლუციის ლოგიკური შედეგია.

გლობალიზაცია ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომელიც ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის კვალობაზე ვითარდებოდა და XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, მრავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული თუ ტექნიკურ-ტექნოლოგიური ფაქტორების რთული კომბინაციის შედარებით უმტკივნეულო სინთეზის შედეგად გამოკვეთილი სახე მიიღო, რითაც საფუძველი დაედო ახალი პროცესებისა და მოვლენების განვითარებას.

გლობალიზაციაზე მსჯელობისას, ზოგადად ადგილი აქვს ორი განსხვავებული პროცესის ერთ კონტექსტში განხილვას. ერთი მხრივ, არსებობს პოპულარული პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის ფარგლებშიც გლობალიზაციის ქვეშ მოიაზრება დასავლეთის ქვეყნების, უპირატესად დასავლეთ ევროპა-აშშ-ის მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ექსპანსია, ასევე ზეეროვნული მარეგულირებელი სტრუქტურების ფორმირება, მეორე მხრივ, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები გარკვეულწილად

ამყარებენ ზემოთხსენებულ იდეოლოგიას, მაგრამ რეალურად მასთან ცოტა თუ აქვთ საერთო.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება ევროპა-ამერიკის, ანუ დასავლეთის მსოფლიო მასშტაბით ექსპანსიასთან. თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გლობალიზაციის პროცესი გარკვეულწილად ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესი ვითარდებოდა ადამიანის განვითარების, გარესამყაროს შესახებ მისი ცოდნის ამაღლების პარალელურად, რაც, თავის მხრივ, გლობალიზაციის ობიექტურ, გარდაუვალ ხასიათზე მიუთითებს. თუმცა, არც ობიექტურობა და არც გარდაუვალობა არ ნიშნავს პროგრესულობას. გლობალიზაცია პროგრესულია იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული ევოლუციის შედეგს. შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპი გლობალიზაციის მკაფიო გამოვლინების სტადიას წარმოადგენს.

გლობალიზაცია, უპირატესად, დასავლეთ ევროპის და აშშ-ის განვითარების შედეგია, რაც გლობალიზაციაში სწორედ ევროპა-ამერიკის ექსპანსიის მოაზრებას განაპირობებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს არა მარტო აღნიშნული ქვეყნების, რეგიონების, არამედ ყველა ქვეყნის და რეგიონის განვითარების იმანენტურ პროცესს. იმ შემთხვევაში, თუ სხვა რომელიმე ქვეყანა ან რეგიონი განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპს მიაღწევდა, გლობალიზაციაში ნაგულისხმები იქნებოდა სწორედ აღნიშნული ქვეყნის თუ რეგიონის ექსპანსია, რომელიც გარდაუვალია განვითარების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე. გლობალიზაციის პროცესი ობიექტური მოვლენაა და მისი შემდგომი განვითარება

ნაკლებადაა დამოკიდებული ცალკული სახელმწიფოს ინტერესებზე. გლობალიზაცია განვითარების იმანენტური, შინაგანად დამახასიათებელი თავისებურებაა.

ეკონომიკის განვითარების პოსტიუნდუსტრიული ეტაპი, რომელიც ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუციის ლოგიკური შედეგია განაპირობებს ეკონომიკური ურთიერთობების ექსპანსიას. ამავე დროს, XX საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთის პოსტინდუსტრიული ქვეყნების თაოსნობით გლობალიზაციას ხელს უწყობდა სოციალისტური სისტემის დაშლა, ანუ გლობალიზაციის მიღწევის კვაზიალტერნატიული, ე.ი. მიუღებელი მიმართულების მოსპობა, რამაც კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის პროცესებს უშუალოდ მსოფლიო დონეზე გადასვლის შესაძლებლობა მისცა.

გლობალიზაცია, ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის შედეგია, რომელიც სხვადასხვა ტემპებით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. შესაბამისად, გლობალიზაცია, როგორც პროცესი ვერ განვითარდებოდა ეროვნული ეკონომიკების მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში.

გლობალიზაციის პროცესის ანალიზისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ გლობალიზაცია და ლიბერალიზაცია ერთი და იგივე პროცესია ან გლობალიზაცია სხვა არაფერია თუ არა ლიბერალიზაციის პროცესის განვითარება. მსგავსი შეხედულება მცდარია, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის განვითარების საფუძველს და ხაზს უსვამს გლობალიზაციის ეკონომიკური კომპონენტის პირველადობას. გლობალიზაციის პროცესის განვითარება, რომელიც თავდაპირველად ეკონომიკის სფეროს მოი-

ცავდა ცდება ეკონომიკის ფარგლებს, მოიცავს სოციალური ურთიერთობების ყველა სფეროს და ზეგავლენას ახდენს თვით ლიბერალიზაციის განვითარების მიმართულებებსა და დინამიზმზე.

გლობალიზაციის ანალიზის უმთავრესი საკითხია რა ფაქტორებმა აქცია გლობალიზაცია XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელ პროცესად და რატომ მიიღო მან გამოკვეთილი სახე სწორედ დროის აღნიშნულ პერიოდში.

ნათელია, რომ არა სოციალისტური სისტემის დაშლა, გლობალიზაციის პროცესი ვერ განვითარდებოდა და ის მხოლოდ კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებით იქნებოდა შემოსაზღვრული, რაც თავის მხრივ ეჭვქვეშ დააყენებდა გლობალიზაციის ჭეშმარიტად გლობალურ ხასიათს. მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ინტერნაციონალიზაციის პროცესთან, რომელიც ინტენსიურობის სხვადასხვა ხარისხით ვითარდებოდა ცალკეული სისტემის შიგნით და მისი სისტემათაშორისი ხასიათი საკმაოდ შეზღუდული იყო სხვადასხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიური თუ ეკონომიკური დოგმატური ხასიათის ასპექტებით. გლობალიზაციის პროცესის განვითარება შეფერხებული იყო ორი ანატაგონისტური ბლოკის არსებობის პირობებში.

ამავე დროს, ზოგიერთი მკვლევარის აზრით "გლობალიზმი ცვლის ახალი დროის სცენიდან გასულ ან მნიშვნელოვნად შევიწროებულ იდეოლოგიებს "ლიბერალიზმს და კომუნიზმს"[1]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის განვითარების თანამედროვე საფუძველს, განსაკუთრებით ეკონომიკის

[1] Мунтян М.А., Урсул А. Д. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с.221

სფეროში სწორედ ლიბერალური თეორიის ფუნდამენტური პრინციპები წარმოადგენს. კომუნიზმის დამარცხებისა და სოციალისტური სისტემის დაშლის გარეშე გლობალიზაციაზე მსჯელობა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული, რამდენადაც აქ ვერ ვიგულისხმებდით მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებს, რაც უადგილოს ხდის ტერმინ "გლობალურის" გამოყენებას.

გლობალიზმი ლიბერალიზმის იდეების ექსპანსიურ გავრცელებას შეიძლება ეწოდოს, რამდენადაც ლიბერალური იდეები გახდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ისე წამყვანი ქვეყნების პოლიტიკის უმთავრესი დეტერმინანტი. ცალკეული ქვეყნების მიმართ გარედან თავსმოხვეული ლიბერალიზმის პოლიტიკა უფრო გლობალიზმია, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში განვითარებული ქვეყნები (და არა მარტო განვითარებული) ლიბერალური პოლიტიკის მეშვეობით ცდილობენ მათი ეროვნული ინტერესების დაცვას და ეროვნული უსაფრთხოების მიზნების მიღწევას მსოფლიო მასშტაბით. იძულებითი ლიბერალიზმი გლობალიზმის სახელწოდებით ცნობილი იდეოლოგიაა.

ამრიგად, გლობალიზმი იდეოლოგიაა და არა პროცესი, რომელიც გლობალიზაციის ობიექტური პროცესის განვითარების ინტელექტუალური ხელშეწყობისა და გლობალიზაციის ცალკეული ჯგუფების ინტერესების შესაბამისად წარმართვის თეორიული კონცეფციაა.

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობების ძირითადი ვექტორი ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციაზე გადის, რამაც ხელი შეუწყო გლობალიზაციის შეფერხებული პროცესის განვითარებას.

გლობალიზაცია არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი მიმართულებით განვითარებად პროცესს და ხშირ შემთხვევაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში ადგილი აქვს პროცესების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით განვითარებას.

გლობალიზაციის ისტორიულმა პროცესმა განსაზღვრულობა, გამოკვეთილი სახე კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიიღო, რაც ნათლად ადასტურებს იმ თეზისს, რომ გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა განვითარების იმანენტური პროცესი, როცა კაცობრიობის უმრავლესობამ გააცნობიერა პლანეტის ბუნებრივად განუყოფელი მთლიანობა.

ეკონომიკის გლობალიზაცია უპირველეს ყოვლისა ღია ეკონომიკის პრინციპების მსოფლიო მასშტაბით თანდათანობით დამკვიდრების საფუძველზე ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესია. გლობალიზაცია, მსოფლიო ისტორიაში სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების უპრეცენდენტო ზრდით ხაზს უსვამს პლანეტარული ცივილიზაციის გარდაუვალ ერთიანობას.

გლობალიზაციის პროცესის მრავალი სახეობის განვითარების საფუძველი ეკონომიკური გლობალიზაციაა, რომლის ობიექტურ საფუძველს ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და წარმოების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკების სტრუქტურული შემადგენლების პროპორციებს, მათი ურთიერთქმედების მექანიზმს და განვითარების ძირითად მიმართულებებს, ასევე ცალკეული ეკონომიკური აგენტის ფუნქციონირების ნორმებსა და სტანდარტებს. გლობალიზაცია მოიცავს სოციალური ურთიერთობების ყველა სფეროს - პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. ურთიერთობებს და აღნიშნულ სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას განაპირობებს. თუმცა, გლობალიზაციის პირობებში ცალკეულ ქვეყნებს და სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა არ ნიშნავს მსოფლიო მასშტაბით ადამიანისეული საქმიანობის ყველა მიმართულების უნიფიკაციას.

ცალკეულ სახელმწიფოს (ეროვნულ ეკონომიკას) ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების აღიარებისა და დამკვიდრების საფუძველზე, საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარების შესაძლებლობა აქვს, ანუ გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს განვითარების საფუძვლების უნიფიკაციას, რომელიც ობიექტური აუცილებლობით არ განაპირობებს მათი შემდგომი განვითარების ერთგვაროვნებას.

გლობალიზაციის განვითარების ტემპები შესაძლებელია შენელდეს, როგორც არაერთხელ შენელებულა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს გლობალიზაციის პროცესის გაქრობას. გლობალიზაციის პროცესი ვერ გაქრება, რამდენადაც ის აერთიანებს მთელ პლანეტას, მის მოსახლეობას, სახელმწიფოებს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს და ა.შ. გლობალიზაციის დამუხრუჭება, განვითარებულ ქვეყნებში პროტექციონისტული განწყობის ზეობის ფონზე მხოლოდ პროცესის შემნელებელი და არა გამქრობი პროცესია.

ზოგადად, ეკონომიკური ნაციონალიზმის პოლიტიკა საკმაოდ მოკლევადიანია იმისათვის, რომ შეაჩეროს ქვეყნებსა და ერებს შორის ურთიერთობების განვითარების ისეთი ყოვლისმომცველი პროცესი, როგორიც გლობალიზაციაა.

ამდენად, ანტიგლობალისტური მოძრაობის ერთერთი ძირითადი დევიზი "შეაჩერეთ გლობალიზაცია" ბადებს შეკითხვას ვინ ან რამ შეიძლება შეაჩეროს

გლობალიზაცია? რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ გლობალიზაცია ვინმეს ან რამეს ემორჩილება ან ექვემდებარება.

ზემოთაღნიშნული დევიზი ეხმიანება მოსაზრებას იმის თობაზე, რომ გლობალიზაცია დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ აშშ-ს და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მიერ წარმართული პროცესია. თუმცა საეჭვოა, რომ აღნიშნული ქვეყნების გადაწყვეტილება გლობალიზაციის პროცესის შეჩერების თაობაზე საკმარისი პირობა იყოს გლობალიზაციის შესაჩერებლად, რომელიც მილიონობით ადამიანის გონებაში გაზრდილ შესაძლებლობებთან, ახალ პერსპექტივებთან და ზოგადად, კაცობრიობის განვითარების ახალ, ობიექტურად მოცემულ რეალობასთან ასოცირდება.

ამავე დროს, განვითარებულ ქვეყნებს შორის არსებული მძლავრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ასევე განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის აზიის უდიდესი სახელმწიფოების ჩინეთის და ინდოეთის ჩართვა რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანება ევროკავშირში გლობალიზაციის პროცესის შეჩერებას ამ ქვეყნების ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების საწინააღმდეგო მოვლენად აქცევს.

ასევე ჩნდება შეკითხვა თუ გლობალიზაცია საერთოდ შეჩერებადია, რა ინსტრუმენტებით შეიძლება მისი შეჩერება? ერთადერთი ინსტრუმენტი ქვეყნების კარჩაკეტილობა, იზოლაციონიზმი, ეკონომიკური ნაციონალიზმი და ეკონომიკური პროტექციონიზმის აღორძინებაა. აღნიშნული იდეოლოგიები ხშირად წარმოადგნდნენ წარმმართველ იდეოლოგიებს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმაოდ მოკლეა.

პროტექციონისტული პოლიტიკა ზიანს აყენებს არა მარტო იმ ქვეყნებს, რომელთა მიმართაც ტარდება მსგავსი პოლიტიკა, არამედ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც მიმართავენ აღნიშნულ პოლიტიკას. სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუცია ნათლად ავლენს, რომ ურთიერთობების მაგისტრალურ მიმართულებას ლიბერალიზმი წარმოადგენს. უდავოა, რომ მსოფლიო ისტორიის მანძილზე არსებობდა გარკვეული ჩავარდნები, მაგრამ ეს არ ცვლიდა მაგისტრალურ ვექტორს, არამედ შეჰქონდა გარკვეული კორექტივები ურთიერთობების თვისობრივად ახალი მიმართულებების წარმოშობითა და განვითარებით.

გლობალიზაციის შეჩერება ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაწყვეტის ტოლფასია, რაც ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულ მოვლენად. გლობალიზაციის შეჩერება შეუძლებელია შემჩერებლის ობიექტურად არარსებობით, შეჩერების შესაძლო ინსტრუმენტების არაპროგრესულობით და მისი უკიდურესად უარყოფითი ეფექტებით მთლიანად მსოფლიო ცივილიზაციისათვის.

ნათელია, რომ გლობალიზაცია თავისი არსით, არ წარმოადგენს არც აბსოლუტურ ბოროტებას და არც აბსოლუტურ სიკეთეს. მისი დადებითი შედეგებით სარგებლობა ცალკეული ინდივიდის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის თავისებურებებიდან მთავარია სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება-განვითარება, რამდენადაც ის ინტელექტუალური შრომით დაკავებული ადამიანების თანამშრომლობის გაღრმავებით გამოიხატება, რაც თავის მხრივ, არა მარტო ცალკეული ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესის საწინდარს წარმოადგენს. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ადამიანის განვითარება წარმოადგენს უპირველეს მიზანს და ამოცანას, რამდენადაც მხოლოდ მაღალგანვითარებულ

მსოფლიო საზოგადოებას ძალუძს ზოგიერთი რელიგიური თუ ეროვნული დოგმების გადალახვა, მსოფლიოს, როგორც ყველასათვის ერთიანი სისტემის გაცნობიერება-გათავისება და ზრუნვა მის შემდგომ განვითარებაზე.

შესაბამისად, გლობალიზაციის პროცესის პოზიტიურობა, უპირველეს ყოვლისა, პლანეტარული ცივილიზაციის ერთიანობის დაფიქსირებაში პოულობს გამოხატულებას, რომელიც მიუხედავად გარკვეული ნიშნებით სუბცივილიზაციების სხვაობისა და მათი წინააღმდეგობის შესახებ არსებული მოსაზრებისა (ცივილიზაციათა შეჯახება), ისტორიულად კაცობრიობის განვითარების ერთი (არსებითი მნიშვნელობა არა აქვს რომელი, რელიგიური თუ ევოლუციურ-დარვინისტული) საწყისიდან გამომდინარეობს.

გლობალიზაცია წარმოადგენს განვითარების შედეგს და შესაბამისად, მას არ ძალუძს მაღალგანვითარებული კულტურის, ტრადიციების მქონე ქვეყნების ეროვნული თავისებურებების იგნორირება. გლობალიზაცია შესაძლებელს ხდის სხვა ქვეყნების თუ ერების პოზიტიური გამოცდილებების და თავისებურებების შეთვისებას. ამდენად, ზოგიერთი მეცნიერის შეხედულება "გლობალიზაციის მსოფლიო კატასტროფასთან" ასოცირების თაობაზე დრომოჭმული ეკონომიკური აზრის, ე.წ. "მარქსისტული ეკონომიკური თეორიის" გამოძახილია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებთან.

მსოფლიოში მიმდინარე ყოველმხრივი გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის წინაშე წარმოიქმნება გლობალური პრობლემები (ეკოლოგიური, ენერგეტიკული, სასურსათო, სოციალური და ა.შ.), რომელთა გადაწყვეტა მსოფლიოს მასშტაბით თანამშრომლობის გაღრმავებას, ყველა ქვეყნისა და ხალხის ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს.

ყველასათვის ნათელია, რომ გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, მაგრამ აუცილებლობას წარმოადგენს მისი განვითარების ფორმებზე, მეთოდებსა და ტემპებზე ზემოქმედება. მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნის მიერ გლობალიზაციის პოზიტიური შედეგებით სარგებლობა მოითხოვს კაცობრიობის ისტორიაში მიღწეული განვითარების ყველაზე პროგრესული საფუძვლების მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დამკვიდრებას და მათ შემდგომ ევოლუციას ცალკეული ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ამრიგად, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო საფინანსო ბაზარმა, ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა და ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, საინვესტიციო და საპენსიო ფონდებმა ქვეყნები უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს ერთმანეთს და შესაბამისად, მსოფლიოში უფრო რადიკალურ ცვლილებებს განაპირობებენ, ვიდრე მსოფლიო ისტორიის ნებისმიერი იმპერია, იდეოლოგია, რელიგია, პოლიტიკური მოძრაობა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია.

5. გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება

XX საუკუნის I ნახევარში ორი მსოფლიო ომის პირობებში შეფერხდა გლობალიზაციის ისტორიული პროცესის განვითარება. გლობალიზაციის სხვა სახეებთან შედარებით ობიექტური, პროგრესული და ამავე დროს, გარდაუვალი ვარიანტის - ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების ახალი ეტაპის საწყისი წერტილია 1948 წელი, როცა აშშ-ის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების თაოსნობით დაარსდა გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (გატტ), 1995 წლიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო). ამავე პერიოდში აშშ-მა დაიწყო ე. წ. "მარშალის გეგმის" განხორციელება, რომლის მეშვეობით მან სტრატეგიულ მოკავშირედ აქცია დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ანალოგიური პოლიტიკა განხორციელდა იაპონიაში, სადაც ეკონომიკური რეფორმები აშშ-ში შემუშავებული პროგრამით მიმდინარეობდა.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესი, როგორც ეროვნულ ეკონომიკათა რთული, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციით იწყება, რომელიც ამ პერიოდში უმთავრესად აშშ-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მოიცავდა. ამას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა არსებული ბიპოლარული მსოფლიო წესრიგი, რომელიც ზღუდავდა განვითარებული ქვეყნების კაპიტალის მსოფლიო მასშტაბით მოძრაობას. ამრიგად, გლობალური ეკონომიკის ფორმირების დასაწყისი დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ფაქტორებთან.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი, XX საუკუნის 80-იან წლებში განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში განხორციელებული ნეოკონსერვატიული რეფორმების შედეგად, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში.

გლობალიზაცია, მართალია, წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების იმანენტურ პროცესს, მაგრამ გარკვეულ ფაქტორთა, უპირატესად ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედების შედეგად გლობალიზაცია XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელ მოვლენად ჩამოყალიბდა.

ეკონომიკური ფაქტორი პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველია და პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც ცალკეული ქვეყნის შიდა და საგარეო-პოლიტიკური მიზნებითაა განპირობებული ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაზე. ამრიგად, გლობალიზაციის უმთავრესი მახასიათებელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაა.

გლობალიზაციის განვითარება და ინტენსიფიკაცია პოლიტიკურ-ეკონომიკური პლურალიზმის გაღრმავების წინაპირობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, სწორედ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის შეფასება, რომელიც თავის მხრივ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ამ ეტაპზე ასიმეტრიულია. ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი საკმაოდ მაღალია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს შორის და საკ-

მაოდ დაბალი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ნათელია, რომ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ურთიერთობების განვითარების გზაზე ბარიერების მოსპობით გაიზრდება. ამდენად, ერთმნიშვნელოვანია, რომ განვითარების დონის ზრდის შემდეგ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი გაიზრდება, რაც გლობალიზაციის დადებითი ეფექტების განვითარებად ქვეყნებზე გავრცელების წინაპირობაა. განვითარების დონის ამაღლების კვალობაზე ურთიერთდამოკიდებულების ზრდა იმპერატიულ ხასიათს ატარებს.

გლობალიზაციის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას და პირიქით, რაც თავის მხრივ იწვევს გლობალიზაციის სოციალურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობას. თანამედროვე გლობალიზებული ეკონომიკა, რომელიც ფორმირების პროცესშია კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკების ერთობლიობაა.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და ის თანდათანობით ერთიან გლობალურ ეკონომიკურ სისტემად გვევლინება. ეს თავის მხრივ ნიშნავს არა ეროვნული ეკონომიკების განვითარების სტრატეგიების ერთგვაროვნებას, არამედ განვითარების საფუძვლების უნიფიკაციას და ცალკეული ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების პროცესში მსგავსი ნიშნების ზრდას.

მსოფლიო ეკონომიკის მკვლევარებს შორის არსებობს აზრთა სხვაობა გლობალურ ეკონომიკაში გაწევრიანებულ ქვეყნებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი გლობალურ ეკონომიკაში გაწევრიანებულად მიიჩნევს აშშ-ს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ასევე

10 არადასავლურ ქვეყანას, მათ შორის ჩინეთს, იაპონიას, ინდოეთს, ბრაზილიას, თურქეთს, პოლონეთს და ა.შ. რუსი მკვლევარი ვ. ინოზემცევი იაპონიას გლობალური ეკონომიკის მიღმა ტოვებს და ე.წ. „პოსტინდუსტრიული ეკონომიკების“ თანამეგობრობას აშშ-ით და დასავლეთ ევროპის ქვეყნებით საზღვრავს. აღნიშნული მეცნიერები უმთავრესად აქცენტს ეროვნული ეკონომიკის ტექნოლოგიური განვითარების დონეზე აკეთებენ.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების საფუძველს კაპიტალის ინტენსიური მოძრაობის შედეგად საერთაშორისო წარმოების გაფართოება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი იწვევს ეროვნული ეკონომიკების ურთიერთგადაჯაჭვას და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მსოფლიო მასშტაბის პრობლემების გადასაწყვეტად სახელმწიფოთა მზარდ ურთიერთქმედებას.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვნად გაფართოვდა კაპიტალის მოძრაობის არეალი, რომელმაც მოიცვა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიც. ამდენად, ის ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალის მოზიდვის გარკვეულ ცენტრებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ჩეხეთი, პოლონეთი და ა.შ.) და ამავე დროს, მონაწილეობენ კაპიტალის ექსპორტში, შეუძლებელია არ იყვნენ ჩართული გლობალურ ეკონომიკაში.

გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა განისაზღვრება არა მარტო კაპიტალის მოძრაობის პროცესში მონაწილეობით და ტექნოლოგიური განვითარების დონით, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს არსებული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, რაც თავის მხრივ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ხარისხზეა დამოკიდებული. აღნიშნული ორი კრიტერიუმი (კაპიტალის მოძრაობაში, კერძოდ მის ექსპორტში

მონაწილეობა და არსებული ტექნოლოგიების გამოყენება-განვითარების და ახალი ტექნოლოგიების შექმნის უნარი) მიგვაჩნია გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის განმსაზღვრელებად, ხოლო კაპიტალის მოძრაობის პროცესში და ახალი ტექნოლოგიების შექმნაში ლიდერობა განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის წონას გლობალურ ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, გლობალური ეკონომიკის მიღმა არის დარჩენილი ეროვნული ეკონომიკის განვითარების პირველ ეტაპზე მყოფი ქვეყნები, ანუ ტრადიციული საზოგადოება (უ. როსტოუს ეროვნული ეკონომიკების განვითარების ეტაპების მიხედვით). ქვეყნების აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნებიან ტროპიკული აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ აზიის უღარიბესი ქვეყნები.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესი მასში შემავალი ქვეყნების გარკვეულ კლასიფიკაციას მოითხოვს. ცნობილია, რომ ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთზეგავლენის მაღალი დონით განვითარებული ქვეყნები ხასიათდებიან და სწორედ ისინი წარმოადგენენ გლობალური ეკონომიკის აქტიურ მონაწილეებს, ხოლო დანარჩენი ქვეყნები მათზე მაღალი ხარისხით არიან დამოკიდებულნი ანუ წარმოადგენენ გლობალური ეკონომიკის პასიურ მონაწილეებს. თვით აქტიურ ქვეყნებს შორის გამოირჩევა აშშ, როგორც მ. დელიაგინი აღნიშნავს „თანამედროვე ეტაპზე აშშ არის კაცობრიობის ეკონომიკის (მსოფლიო მშპ-ის 30%) და საფინანსო სისტემის (დოლარი საერთაშორისო სარეზერვო ვალუტაა) ლერძი“.

[1] Делягин М. Информационная революция, глобализация и кризис мировой экономики, Ж. Проблемы теории и практики управления, 2001, №1

მსოფლიო ეკონომიკაში თითქმის ანალოგიური წონით ხასიათდება ევროპის კავშირი.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე თუ მხედველობაში მივიღებთ მარტო აქტიურ, სრულყოფილად მონაწილე ქვეყნებს, გლობალური ეკონომიკა შემოფარგლულია აშშ-ით, ევროპის კავშირით და იაპონიით. გლობალური ეკონომიკის ლოკომოტივი ქვეყნები (აშშ, დას. ევროპის ქვეყნები, იაპონია) XX საუკუნის 70-იან წლებში განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდნენ, რომელიც ზრდის აღნიშნულ ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის მასშტაბებს და უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებას მომსახურების სფეროსა და მეცნიერებაზე დაფუძნებული წარმოების სფეროს განვითარება წარმოადგენს.

გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობა დამოკიდებულია ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. გელბრეითი აღნიშნავს „ტექნოლოგია ანუ მეცნიერული ან სისტემატიზებული ცოდნის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენება და განვითარება არის თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ცენტრალური მახასიათებელი“. თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე ტნკ-ების შერწყმა-გაერთიანების პროცესის უმთავრეს მიზეზს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე დანახარჯების ზრდა წარმოადგენს.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესის განმსაზღვრელ ძალას მეცნიერება, ინტელექტი წარმოადგენს, რომელსაც ეკონომიკური განვითარება თვისობრივად ახალ დონეზე აჰყავს „იმ პირობებში, როდესაც ინფორმაცია და ცოდნა ხდება უშუალო მწარმოებლური ძალა, წარმოიქმნება მონოპოლიური

[1] Гелбрейт Д. К. Экономические теории и цели общества, Пер. с англ. М., Прогресс, 1976, с. 67

რესურსი, რომელიც ხასიათდება აბსოლუტურად ახალი თვისებებით, რომელთანაც საზოგადოებრივ წარმოებას მანამდე შეხება არ ჰქონია[1]". სწორედ აღნიშნული განაპირობებს განვითარებულ ქვეყნებზე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ცალმხრივ დამოკიდებულებას.

განვითარებული ქვეყნების საქონელი, რომელიც მეცნიერებაზეა დაფუძნებული არის ის მონოპოლიური საქონელი, რომელიც მონოპოლიური ფასით იყიდება „მწარმოებლის საბაზრო ძალა და შესაბამისად, მის მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების კონკურენტული ეფექტიანობა იზრდება ერთგვაროვანი, „საბირჟო" საქონლებიდან, რთული, უნიკალური საქონლებისკენ მოძრაობისას, რომელთაც მიეკუთვნება არა მარტო უნიკალური საწარმოო მოწყობილობები, არამედ რთული, სამომხმარებლო საქონელიც, რომელიც მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ტექნოლოგიებს ეყრდნობა[2]". მსოფლიო ეკონომიკის ფასწარმოქმნის მექანიზმი ასახავს ურთიერთობებს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას და აგრარულ-ინდუსტრიულ ეკონომიკას შორის. პირველი მეცნიერებას ეყრდნობა, შრომის მაღალი მწარმოებლურობით გამოირჩევა და უნიკალურ საქონელს აწარმოებს, ხოლო განვითარებადი ქვეყნები შრომის დაბალი მწარმოებლურობით და საქონელთა ნაკლები მეცნიერებატევადობით ხასიათდებიან.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალური ეკონომიკის სრულყოფილად მონაწილე ქვეყნებს შორის არსებობს მზარდი ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება,

[1] Сборник статей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001, с. 28

[2] Практика глобализации: игры и правила новой эпохи, М., Инфра-М, 2000, с. 98-99

რამდენადაც ნებისმიერ დარგში არცერთი სახელმწიფო არ ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას. გლობალური ეკონომიკა დაფუძნებულია არა ტრადიციული საქონლით ურთიერთვაჭრობაზე ან კაპიტალის ტრადიციულ დარგებში გადაადგილებაზე, არამედ მეცნიერებატევადი საქონლით ვაჭრობაზე და ინფორმაციულ, უახლეს ტექნოლოგიებზე, მათი შექმნისა და გამოყენების უნარზე. აღნიშნულ პროცესებში ზოგიერთი ქვეყნის მონაწილეობის დაბალი დონე ან საერთოდ არ მონაწილეობა იძლევა შესაძლებლობას ქვეყნები დაიყოს გლობალური ეკონომიკის არასრულყოფილ მონაწილეებად და მის მიღმა დარჩენილ ქვეყნებად.

ეროვნული ეკონომიკები, რომლებიც განსხვავების მაღალი დონით ხასიათდებიან აქვთ გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში მონაწილეობის უფრო მეტი შესაძლებლობა. გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში მონაწილეობის ხარისხი დამოკიდებულია შემდეგ ძირითად ფაქტორებზე: ცალკეულ ქვეყანაში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის არსებობა ან მისი ფორმირების ტემპები, საერთო ეკონომიკური პოტენციალი, მისი პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღებაზე მოცემული სახელმწიფოს მხრიდან ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ქვეყნის ტნკ-ების გლობალური მასშტაბით ფუნქციონირების ხარისხი ანუ ე.წ. „მეორე ეკონომიკის" არსებობა.

გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში მონაწილეობის დონე განისაზღვრება ქვეყნის შესაძლებლობით აქტიურად იმოქმედოს საერთაშორისო ურთიერთობების სამივე განზომილებაში: ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები, ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთობები საერთაშორისო

ორგანიზაციებთან და ტნკ-ებთან, ტნკ-ებს შორის ურთიერთობები.

ვმო-ს ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების შედეგი იყო ტარიფების შემცირება, საქონლისა და კაპიტალის ბაზრების ლიბერალიზაცია, რომელიც აძლიერებს გლობალიზაციის ტენდენციას. ვმო-ს საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს თავისუფალი ვაჭრობის ზონად გადაქცევისკენ, რაც გარკვეულწილად ამწვავებს ურთიერთობებს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. ამავე დროს, ვმო-ში გაწევრიანებისათვის აუცილებელია, რომ ქვეყნებმა განახორციელონ ეკონომიკის დერეგულირება და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთადერთ ინსტრუმენტს აღნიშნული ღონისძიებების წარმატებული გატარება წარმოადგენს. როგორც ცნობილია, ქვეყანა, რომელიც მიმართავს პროტექციონისტული პოლიტიკის გარკვეულ მეთოდებს, ადრე თუ გვიან სხვა ქვეყნების მხრიდანაც წააწყდება ანალოგიურ ქმედებებს.

გლობალიზაცია ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეღწევადობის ზრდის მაღალი ხარისხით, როცა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნების პოლიტიკაზე და ამავდროულად ზემოქმედებს სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებზე, წარმოების ფაქტორების გადაადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრის გამჭვირვალობით, მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების, ტრანსნაციონალური ბანკების, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მზარდი როლით, სახელმწიფოთა გეოეკონომიკური მიზნების პრიმატით გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მიზნებთან შედარებით.

ეკონომიკის გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობებს აქცევს მათი და შესაბამისად, გლობალური ეკონომიკის განვითარების უმთავრეს ფაქტორად. გლობალიზაცია ვითარდება ქვეყნებს შორის საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ტექნოლოგიების, ცოდნის, კულტურული მიღწევების გაცვლით და ამ გაცვლით განპირობებული ცვლილებებით ცალკეული ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

ეკონომიკის გლობალიზაციის მამოძრავებელი მოტივია შეფარდებითი და კონკურენტული უპირატესობის ძიება, დანახარჯების შემცირება წარმოების ფაქტორების გლობალური დანაწილებისა და სინთეზის ახალი კომბინაციების გზით. გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს ეკონომიკური საქმიანობის გარკვეულ უნიფიკაციას, რაც გამოიხატება ტექნოლოგიებზე, გარემოს მდგომარეობაზე, საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში, სტატისტიკაში, განათლების სფეროში ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტების შემუშავება-გამოყენებაში.

XX საუკუნის დასაწყისთან ანუ ტნკ-ების წარმოქმნის პერიოდთან შედარებით არსებითად შეიცვალა მათი საქმიანობის შინაარსი და მიმართულებები. თანამედროვე გლობალიზებად ეკონომიკაში ტნკ-ები არ იზღუდებიან ეროვნული საზღვრებით, მოქმედებენ გლობალური მასშტაბით და გლობალიზაციის ძირითად მამოძრავებელ ძალად გვევლინებიან.

წარმოების და კაპიტალის მოძრაობის ინტერნაციონალიზაციის შედარებით ახალი მოვლენაა ტრანსნაციონალური ბანკების (ტნბ) წარმოქმნა, რაც ფინანსური გლობალიზაციის განვითარების წინაპირობაა. ფინანსური გლობალიზაციის პროცესები მიმდინარეობს გაცილებით სწრაფი ტემპით წარმოების ანალოგიურ პროცესებთან შედარებით.

არსებობს არაერთგვაროვანი შეფასება ტნკ-ების საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მრავალი ეკონომისტის მოსაზრებით "ტნკ არის განვითარების იდეალური აქსელატორი, აწვდის რა მიმღებ ქვეყანას კაპიტალს, ტექნოლოგიას, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის გამოცდილებას პაკეტში"[1]. განვითარების აქსელერაციის მსგავს მაგალითად განიხილავენ სამხრეთ კორეას და ტაივანს, რომლებმაც წარმატებით გამოიყენეს ტნკ-ები ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ ტნკ-ები გარკვეულწილად ზღუდავს მიმღები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ხშირ შემთხვევაში სოციალური პრობლემების გამწვავების ერთ-ერთ განმაპირობებელ მიზეზად გვევლინება.

გლობალიზაციის უარყოფითი ასპექტებიდან ერთი უმნიშვნელოვანესია ეკოლოგიური ასპექტები, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია ტნკ-ების ფუნქციონირების მკვეთრად გამოხატულ ნეგატიურ ზეგავლენასთან. აღნიშნული დებულება საკმაოდ სახეშეცვლილად გამოიყურება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

- ტნკ-ები გაცილებით თანამედროვე ტექნოლოგიებს ფლობენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კომპანიებთან შედარებით, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას შეამცირონ გარემოზე ეკონომიკური საქმიანობის ნეგატიური ზეგავლენის ხარისხი;
- მეორე ფაქტორია გარემოს დაცვის კანონმდებლობა და მისი აღსრულება განვითარებად ქვეყნებში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ხშირ შემთხვევაში გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება ხდება არა ტნკ-ების "მტაცებლური ბუნების" შედეგად, არამედ იმის გამოც, რომ მიმღები ქვეყნების გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს ან არ სრულდება სათანადო დონეზე, რაც შესაბამისი ინსტიტუტების არაეფექტიან ფუნქციონირებაზე მიუთითებს;
- ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან გარემოს დაცვისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელი კაპიტალის მოზიდვის აუცილებლობას შორის არჩევანის გაკეთება განვითარების გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე. ღარიბ ქვეყნებში, რომლებსაც საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა აქვთ ამცირებს ტნკ-ების მოტივაციის ხარისხს განახორციელონ ინვესტირება აღნიშნულ ქვეყანაში.
- გასათვალისწინებელია, რომ შედარებით დაბალი ხარისხის გარემოსდაცვითი კანონმდებლობა შეიძლება გახდეს პუი-ს განხორციელების დამატებითი სტიმული, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ებისათვის.

ასევე, ტნკ-ების და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ეროვნული მთავრობის უნარი მოლაპარაკებები აწარმოოს სათანადო დონეზე, რაც უმთავრესად ეროვნული ეკონომიკური დიპლომატიის მომზადებისა და განხორციელების ინსტრუმენტების ხარისხზეა დამოკიდებული.

[1] Хасбулатов Р. Мировая экономика, М., Инсан, 1994, с. 165

მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ების როლის გაძლიერების ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებას სავალუტო-საფინანსო კრიზისები წარმოადგენს. ცნობილია, რომ 1997-1998 წლებში ე.წ. "აზიური კრიზისის" დროს ამ ქვეყნების საფონდო ბაზრები დატოვა წვრილმა და საშუალო კაპიტალმა, რომელიც ძლიერაა დამოკიდებული ეკონომიკის კონიუნქტურულ რყევაზე და მათი შეცვლა უდიდესი კომპანიების კაპიტალით მოხდა.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მიერ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისკენ აღებულმა ორიენტაციამ, მათი ბაზრების გახსნამ და სწრაფვამ გამხდარიყვნენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი-ქვეყნები. გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილების ანალიზისას მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების მიერ გატარებული ეკონომიკური რეფორმების როლის განსაზღვრა გლობალიზაციის შემდგომ განვითარებაში.

ზოგადად, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის გლობალიზაცია ადაპტაციის პროცესია პოსტინდუსტრიული ეკონომიკების მქონე ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ კურსთან, რომელიც ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარეობს. ამავე დროს, XX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში გატარებული ნეოკონსერვატიული რეფორმების ძირითადი პრინციპები (დერეგულირება, ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია) მულტიპლიკატორის ეფექტით ვრცელდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, უმთავრესად, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების

მეშვეობით. ამრიგად, XX საუკუნის 80-იან წლებში რაც მისაღები და აუცილებელი იყო აშშ-ის ეკონომიკური განვითარებისათვის, სავალდებულო გახდა მთელი მსოფლიოსათვის.

შესაბამისად, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გატარებულ რეფორმებს შორის მთავარი ადგილი დერეგულირებას, პრივატიზაციას და ლიბერალიზაციას უკავია.

გლობალიზაციის პროცესის განვითარების ანალიზისას, თუ ინდიკატორად გამოვიყენებთ ცალკეული ქვეყნის, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებს, უმთავრესი ხდება არა დერეგულირების, პრივატიზაციისა და ლიბერალიზაციის პოლიტიკის გატარება თავისთავად, არამედ აღნიშნულ პროცესებსა და ლიბერალიზაციის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს შორის ეფექტიანი თანმიმდევრულობის დაცვა.

ნათელია, რომ ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში მყისიერმა ლიბერალიზაციამ შესაძლებელია უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, მაგრამ სწრაფ ლიბერალიზაციას არ ძალუძს ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება, რომელიც ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და განათლების სფეროების რეფორმირების რთული კომბინაციის შედეგს წარმოადგენს. როგორც ცნობილი ეკონომისტი ჯ. ბჰაგვატი შენიშნავს "სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში კრიზისის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა არა ღია საგარეო ვაჭრობა, არამედ ფინანსური სფეროს სწრაფად განხორციელებული ლიბერალიზაცია"[1].

[1] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005. с. 11

ცნობილია, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეკონომიკური ზრდის გარკვეულ სტიმულებს ქმნის, ხელს უწყობს რა მწირი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ზრდის ქვეყნის სავალუტო შემოსავლებს და ახალ ტექნოლოგიებზე მიღწევადობას. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების (განსაკუთრებით-სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები) ისტორია ადასტურებს, ზოგადად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა წარმოუდგენელია ღია სავაჭრო ურთიერთობების გარეშე.

გრძელვადიან პერიოდში თავისუფალი ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის პროგრესული მიმართულებით ცვლილების პროცესში. ცნობილია, რომ განვითარებადი ქვეყნების ძირითად საექსპორტო საქონელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია, შედარებით დაბალტექნოლოგიური საქონელი და ნედლეული წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაცია და ამ ქვეყნების სრულყოფილი ჩართვა გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში ხელს უწყობს შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი კაპიტალის შემოდინებას, რაც თავის მხრივ ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურული ცვლილებებისა და აღნიშნული ქვეყნების გლობალიზაციის პროცესში სრულყოფილი მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა, მოკლევადიან პერიოდში, გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგების პოზიტიური ზეგავლენის ხარისხი დაბალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარების პროცესზე საკმაოდ დაბალია.

განვითარებად ქვეყნებზე გლობალიზაციის ზეგავლენის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ შედარებით თავისუფალი სავაჭრო სისტემის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების თავისუფალი მოძრაობის გარეშე წარმოუდგენელი იყო ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. გლობალიზაციის პოზიტიური ზეგავლენის მაგალითად მიჩნეულია ჩინეთის და ინდოეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები, რომლებშიც ღია ეკონომიკის პრინციპებზე ეკონომიკის გადაყვანამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სიღარიბის მასშტაბების შემცირებას და აღნიშნული ქვეყნები წამყვან პოზიციებზე არიან წარმოდგენილნი მსოფლიო მშპ-ში და საერთაშორისო ვაჭრობაში ხვედრითი წილის მიხედვით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის დადებითი ეფექტები არათანაბრად ნაწილდება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის.

ნათელია, რომ თავისუფალ ვაჭრობას გააჩნია პოზიტიური ასპექტები, თუმცა თანამედროვე მსოფლიოში არ მოიძებნება ქვეყანა, რომელიც ატარებს მხოლოდ ლიბერალურ ან პროტექციონისტულ საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას. ჯ. ბჰაგვატის მოსაზრებით "უკანასკნელ ათწლეულში ღარიბი ქვეყნები დარწმუნდნენ პროტექციონისტული პოლიტიკის არაშორსმჭვრეტელობაში"[1]. ამდენად, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია წარმოადგენს. თუმცა, როგორც ბ. ლინდსი შენიშნავს არ არსებობს "ქვეყანა, რომლის მთავრობაც თანმიმდევრულად ატარებს "Laissez Faire"-ს პოლიტიკას"[2].

[1] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005, с.308

[2] Линдси В. Глобализация: повторение пройденного, М., 2006, с. 24

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ორი რადიკალურად განსხვავებული მიმართულების თანაფარდობა დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის მიზნებზე და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებებზე.

პროტექციონისტული პოლიტიკის ანალიზისას, საჭიროა აღინიშნოს ურთიერთმიმართება ცალკეული სფეროს დაცვისა და თავისუფლების ზრდის ასპექტებს შორის. ხშირ შემთხვევაში გაცილებით ეფექტიანი და პოპულარულია ეკონომიკის გარკვეული სფეროს დაცვა, ვიდრე მისი დატოვება მძაფრ საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში ანუ თავისუფლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში გარკვეულწილად ეფექტიანიცაა, რამდენადაც პროტექციონიზმის პოლიტიკით დაცულ საწარმოებში დასაქმებულია გარკვეული რაოდენობის სამუშაო ძალა, რომელიც დროის კონკრეტულ პერიოდში ეფექტიანადაა გამოყენებული.

ამავე დროს, აღსანიშნავია რომ განვითარებადი ქვეყნები პერიოდულად ცდილობდნენ მოეხდინათ ვაჭრობის ლიბერალიზაცია. თუმცა, XX საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულმა მოვლენებმა (სავალუტო კურსების არასტაბილურობა, ნავთობზე ფასების მკვეთრი მატება, კონკურენციის ზრდა საერთაშორისო არენაზე, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში გატარებული ეკონომიკური რეფორმების წარმატებები, გლობალური სტაგფლაცია და ა.შ) გარკვეულწილად შეასუსტა ვაჭრობის ლიბერალიზაცის ტემპები და ბიძგი მისცა პროტექციონიზმის აღორძინებას.

ამრიგად, ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების განხილვისას მთავარია აღნიშნული პროცესის ზემოქმედება განვითარების ცალკეული დონის ქვეყნებზე. გლობალიზაციის ზემოთგანხილული ეკონომიკური ასპექტები იძლევა შემდეგი ზოგადი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას:

1. გლობალიზაცია დიდ სარგებელს აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. ამას ძირითადად განაპირობებს აღნიშნულ ქვეყნებში ტნკ-ების კონცენტრირება და საბაზრო მექანიზმის მოქმედებისა და მათი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის მაღალი ხარისხი, რომელიც "ცოდნის ეკონომიკას" ეფუძნება, ხოლო მოკლევადიან პერიოდში გლობალიზაციის ნეგატიური ასპექტები სახელმწიფოს აქტიური სოციალური პოლიტიკით ნიველირდება;
2. მოკლევადიან პერიოდში გლობალიზაციის ზეგავლენა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე საკმაოდ განსხვავებული და დიფერენცირებულია. მოკლევადიან პერიოდში ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დაბალი ხარისხი წარმოქმნის სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკაში და ამწვავებს სოციალურ პრობლემებს.

გლობალიზაციის პროცესის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო წარმოების განვითარებას მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მეშვეობით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მსოფლიოს ყველა ქვეყნის სწრაფვა ექსპორტის ხელშეწყობა-განვითარებისკენ, რაც თანაბრად ეხება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე არა მარტო ტნკ-ები, არამედ მასშტაბით გაცილებით მცირე კომ-

პანიებიც წარმოებას ანვითარებენ და საქმიანობას მიმართავენ არა შიდა, არამედ საგარეო ბაზრისკენ.

საბოლოო ჯამში, კომპანიების მსგავსი ორიენტაცია ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდას და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების ამაღლებას. ამდენად, მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელისშემშლელი ბარიერების შემცირების ან გაუქმების შედეგად კონკურენციის ზრდა საერთაშორისო არენაზე, ასევე კონკურენციის ზრდის შედეგად ქვეყნები სპეციალიზდებიან სწორედ იმ საქონლის წარმოებაში, რომლის წარმოებაშიც ისინი ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას არა მხოლოდ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად, გლობალურ დონეზე. გლობალიზაცია, გამოხატული ბარიერების შემცირების შედეგად ერთიანი გლობალური ეკონომიკის ფორმირებით, გულისხმობს საერთაშორისო რესურსების ეფექტიან განაწილებას და გამოყენებას, ასევე ქვეყნების ოპტიმალურ სპეციალიზაციას და საბოლოო შედეგით, მსოფლიო ეკონომიკის წარმოების მოცულობის ზრდას.

6. ეკონომიკის ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია

ეკონომიკის სფეროში გლობალიზაციის პროცესის განვითარების თეორიულ საფუძველს ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფცია წარმოადგენს. თანამედროვე ეპოქაში გლობალიზაციის კონცეფციებად წოდებული თეორიები, განსაკუთრებით ეკონომიკის გლობალიზაციის სფეროში, თავისი არსით ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციების მოდიფიცირებულ და თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენების თეორიულ-სისტემური ანალიზით შევსებულ ვარიანტებს წარმოადგენს.

სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებაში ლიბერალური აზრის ისტორიულმა განვითარებამ და XX საუკუნის მეორე ნახევარში ცალკეული საერთაშორისო ინსტიტუტების წარმოქმნამ დასაბამი მისცა ლიბერალიზმის კონცეფციების ფუნდამენტური პრინციპების გამოყენების გლობალურ მასშტაბებს. მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს (დიქტატორულ სახელმწიფოებშიც კი) ეკონომიკურ-პოლიტიკურ ყოფაში მოიძებნება ლიბერალიზმის თუნდაც ემბრიონულ დონეზე არსებობის ნიშნები.

ეკონომიკის სფეროში გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის თეორიული ასპექტების ურთიერთმიმართების განსაზღვრის საწყისი წერტილია ეროვნულ ეკონომიკაზე, ორი დიალექტიკურად განვითარებადი პროცესის ზეგავლენის ანალიზი.

ეროვნულ ეკონომიკაზე ეკონომიკური გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის პროცესის ზეგავლენის შეფასების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ქვეყნე-

ბის საგარეო და შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებში ლიბერალიზაციის შედეგების ანალიზი.

ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესი განსხვავდება შიდა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, როგორც შედეგების, ისე გამოყენებული ინსტრუმენტების თვალსაზრისით. ასევე, ხაზგასასმელია განსხვავება ეროვნულ ეკონომიკაზე საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის ზეგავლენას შორის.

საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესმა გლობალურ დონეზე ინსტიტუციურად გაფორმებული სახე XX საუკუნის მე-2 ნახევარში მიიღო. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების გაფორმების შედეგად დაიწყო ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების შემცირების, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათი გაუქმების პროცესი.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელოვანმა ლიბერალიზაციამ განსაკუთრებული როლი ითამაშა როგორც ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ასევე მსოფლიო ეკონომიკაში მათი ინტეგრაციის ხარისხის ამაღლების პროცესში, რაც თავის მხრივ საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის თეორიული კონცეფციების ემპირული დადასტურების ნათელი გამოხატულებაა.

ამ მოსაზრებას ადასტურებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მხრიდან სხვა ხელშემწყობ გარემოებებთან ერთად (სახელმწიფოს აქტიური როლი) ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარების შედეგად ეკონომიკური ზრდის სწრაფი ტემპების მიღწევა. შედეგად, აღნიშნულმა ქვეყნებმა დროის მცირე მონაკვეთში მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების გამოცდილების საპირისპიროა ლათინური ამერიკისა და აზიის ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის სრული ფიასკო.

ცნობილია, II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობა. XX საუკუნის 50-იან წლებში ცალკეული განვითარებადი ქვეყანა დაადგა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებას. აღნიშნულ პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყოფილი კოლონიური სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტს ამ ქვეყნებში მრეწველობის აღორძინება წარმოადგენდა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა იმპორტირებული საქონლის შეცვლაზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. შესაბამისად, ამ ქვეყნებში იმპორტის შეცვლის გზით მრეწველობის განვითარება მიჩნეულ იქნა სწრაფი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფის მექანიზმად.

იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების საწყის ეტაპზე აღნიშნული პოლიტიკა საკმაოდ მაღალი ეფექტიანობით ხასიათდებოდა, თუმცა გრძელვადიან პერიოდში აღნიშნულმა პოლიტიკამ ვერ უზრუნველყო კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოების განვითარება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქვეყნები, რომლებიც იმპოტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას ატარებდნენ გადაერთნენ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებაკენ, "1982 წელს ე.წ დავალიანებით გამოწვეულმა კრიზისმა დაარწმუნა განვითარებადი ქვეყნების მთავრობები, რომ

"დახურული ეკონომიკის" პოლიტიკა აღარ იყო მდგრადი და ეს განსაკუთრებით პატარა ქვეყნებს ეხებოდა. ქვეყნები ძალიან დიდი რაოდენობით იღებდნენ სესხს საერთაშორისო ბაზარზე, რათა მოეხდინათ სავაჭრო დეფიციტის აღმოფხვრა, რომელიც თავის მხრივ გამოწვეული იყო იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკით. მიუხედავად ამისა, მათ ვერ შეძლეს მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა და საბოლოო ჯამში, დაუგროვდათ დიდი ოდენობის საერთაშორისო ვალი, რომლის მომსახურება მათ არ შეეძლოთ. არგენტინა, ჩილე, მექსიკა, თურქეთი, განა და უგანდა, რომლებიც მანამდე ტრადიციულად იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკის მიმდევრები გახლდნენ, შეცვალეს თავიანთი მიდგომა და დაიწყეს "ღია ეკონომიკის" პოლიტიკის გატარება"[1].

ამავე დროს, XX საუკუნის 80-იანი წლების მსოფლიოს ცალკეული ქვეყნის განვითარების სტატისტიკური მონაცემები ნათლად ავლენს ღია ეკონომიკის სტრატეგიის ტრიუმფს ტრადიციულ პროტექციონისტულ პოლიტიკასთან შედარებით.

ნათელია, რომ გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილება (უპირატესად სავაჭრო კომპონენტი) ხელს უწყობს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სიღარიბის დონის შემცირებას. ამდენად, სამართლიანია იმ მკვლევარების (რ. ბოლდუინი, ჯ. ბჰაგვატი და სხვა) მოსაზრება, რომლებიც მჭიდრო კორელაციაში განიხილავენ ღია ეკონომიკას, ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის შემცირებას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია ნათლად ადასტურებს ლიბერალიზებული საგარეო

1 ბერუჩაშვილი თ. ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორის ევოლუცია, დისერტაცია, თბ., 2006

ვაჭრობის პოზიტიურ ზეგავლენას ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. უდავოა, რომ მსგავსი ზეგავლენა გამოკვეთილია გრძელვადიან პერიოდში, ხოლო რაც შეეხება მოკლევადიან პერიოდს, ლიბერალიზებული საგარეო ვაჭრობა ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებების განმაპირობებელი ფაქტორია, რაც თავის მხრივ ეკონომიკის ზოგიერთ არაკონკურენტუნარიან სფეროში წარმოების და შესაბამისად, დასაქმების შემცირებას მოასწავებს.

საგარეო ვაჭრობის სფეროში ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან ბარიერების შემცირება და საგარეო ვაჭრობის რეგულირებაში მისი როლის მინიმიზაცია, სახელმწიფოების მხრიდან ზეეროვნულ ორგანოზე გარკვეული ფუნქციის დელეგირება უდავოდ პროგრესული ნაბიჯია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიო რესურსების ეფექტიან განაწილება-გამოყენებას და ცალკეული ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის მეორე სახის — კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგებისაგან. აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის გათვალისწინებით, რომელიც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში საერთაშორისო-სავალუტო საფინანსო კრიზისების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობას, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განუხრელად იზრდება, ამ ქვეყნების ეკონომიკური

განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ამდენად, თუ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთი სახე – საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტიანობასთანაა დაკავშირებული, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია (უპირატესად სპეკულაციური კაპიტალის) ხშირ შემთხვევაში ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის დაქვეითების მიზეზი ხდება, როგორც ინდოელი წარმოშობის ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი ჯ. ბჰაგვატი მიუთითებს "ვაჭრობის ლიბერალიზაციის სარგებელი უდავოა, მაშინ როცა კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის პოზიტიური შედეგები საეჭვოა"[1].

რაც შეეხება შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებს, ლიბერალიზაციის პოლიტიკის ნათელ გამოხატულებას XX საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში გატარებული ე.წ. "რეიგანომიკისა" და "ტეტჩერიზმის" პოლიტიკა წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სხვაობა შიდა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციას შორის. შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებში ლიბერალიზაციის პოლიტიკის შედეგია ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი შესუსტება, ხოლო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მიმდინარეობს ლიბერალიზაციის პროცესის შედეგად სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების თვით ეროვნული სახელმწიფოების მიერ შექმნილ ზეეროვნულ ორგანოებზე გადაცემა. ამდენად, საეჭვოა ცნობილი ამერიკელი მეცნიერების პ. ჰერსტის და გ. ტომპსონის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ "გლობალურ ეკონომიკას წარ-

[1] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005, с.12

მართავს მხოლოდ საბაზრო ძალები, რომლებიც არ იქნება დამოკიდებული ცალკეული ქვეყნების მონეტარულ პოლიტიკაზე"[1]. აღნიშნული მოსაზრება ასახავს თანამედროვე მსოფლიოში ეროვნულ სახელმწიფოსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შორის ძალთა თანაფარდობაში მიმდინარე ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული სახელმწიფოები კარგავენ ძალაუფლებას. ამ დებულებას, რომელიც დომინირებს ე.წ. "ბაზრის უხილავი ძალების" მოტრფიალეთა ნაშრომებში, არაფერი აქვს საერთო ლიბერალიზმის თეორიასთან. აქვე აღსანიშნავია, ე.წ. "ულტრალიბერალიზმის კონცეფციის" თაობაზე, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებს მხოლოდ გლობალური საბაზრო ძალების დამხმარე როლს უტოვებს და ხაზს უსვამს ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან სოციალური ფუნქციის დაკარგვის ობიექტურ აუცილებლობას.

გლობალიზაციის პირობებში "ბაზრის აპოლოგეტები" მნიშვნელოვნად აზვიადებენ ტნკ-ების, ზოგადად საბაზრო ძალების როლს და ყურადღების მიღმა ტოვებენ ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობას, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან.

ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკა, თავისუფლების ხარისხის ზრდის საფუძველზე საერთო ეფექტიანობის ამაღლებისკენ მიმართული პოლიტიკაა. ლიბერალიზმი არაეფექტიანი რეგულირების შემცირებას გულისხმობს და სრულიად არ უარყოფს ზოგადად, ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობას და ხშირ შემთხვევაში აუცილებლობას.

[1] ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 18

შიდა ლიბერალიზაციის პროცესი გულისხმობს სახელმწიფოს როლის შესუსტებას, ხოლო საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზმი სახელმწიფოს ფუნქციების გარკვეულწილად შენარჩუნების პროცესს, მაგრამ უკვე ზეეროვნული ორგანოების მეშვეობით. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ზეეროვნული ორგანიზაციების პოლიტიკა უპირატესად ეროვნული სახელმწიფოების (განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნები) ეკონომიკური პოლიტიკით განისაზღვრება, ეკონომიკის რეგულირების სფეროში სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაცია უპირატესად გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მაგალითზეა განსაკუთრებით თვალსაჩინო.

ამდენად, შიდა ურთიერთობებში ლიბერალიზმსა და საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზმს შორის ზღვარი უდავოა, როგორც ლიბერალიზმის პოლიტიკის განხორციელების მასშტაბების, ისე მექანიზმების, ინსტრუმენტების, ინსტიტუციური ასპექტებისა და რეალური შედეგების თვალსაზრისით.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში ლიბერალიზმის პრინციპების დამკვიდრება და განვითარება გახდა როგორც რეგიონული ინტეგრაციის, ისე ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების შემდგომი განვითარების საწინდარი. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესში (განსაკუთრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) ბარიერების შემცირების ტენდენცია გარდაუვალია. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის განვითარება ეჭვქვეშ აყენებს პროტექციონისტული რეცეპტებით ცალკეული ეროვნული ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას, "ეკონომიკური გლობალიზაციის მიმართ წინაღმდეგობა და

ეკონომიკაში პროტექციონიზმის დანერგვა არასწორი ტაქტიკაა, როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ქვეყნებისათვის"[1].

ლიბერალიზაცია, რეგიონული ინტეგრაცია და გლობალიზაცია ცალკეული ქვეყნების, რეგიონული ბლოკების, სოციალური ჯგუფების განსხვავებული ინტერესებიდან და მათი რეალიზაციის განსხვავებული ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ერთი მიმართულებით წინაალმდეგობრივად განვითარებად პროცესს წარმოადგენს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული სამი პროცესის განვითარება წარმოადგენს როგორც ცალკეული ეროვნული ეკონომიკის, ისე გლობალური ეკონომიკის ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველს.

[1] Гидденс Э. Ускользающий мир. Как глобализация меняет нашу жизнь, М., 2004, с.34

7. საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის თანამედროვე ტენდენციები

გლობალიზაციის ტენდენცია დაფუძნებულია ღია ეკონომიკის კონცეფციაზე, რომლის მიხედვითაც ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს მნიშვნელოვანწილად მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები განსაზღვრავს და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები აღწევს იმ დონეს, რომელიც სტიმულს აძლევს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ეკონომიკის გლობალიზაციის ხარისხობრივი შეფასებისათვის აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი კომპონენტის — ეროვნული ეკონომიკის გახსნილობისა და გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში მისი მონაწილეობის ანალიზი. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი გამოხატულებაა საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი ზრდა მშპ-ის ზრდასთან შედარებით, რასაც ხელი შეუწყო ტნკ-ების საქმიანობის შედეგად წარმოების ინტერნაციონალიზაციამ, საერთაშორისო სპეციალიზაციამ და სავაჭრო ბარიერების მნიშვნელოვანმა შემცირებამ. საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის და წარმოადგენს მათი ტნკ-ების შიდა საფირმო ვაჭრობას.

გლობალიზაციის შედეგად ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში იზრდება საგარეო ვაჭრობის, უფრო ზუსტად ექსპორტის როლი. მშპ-ში საქონლის ექსპორტის წილი მთლიანად მსოფლიოში 1900-1950 წლებში 9.7%-დან გაიზარდა 0.3%-ით და შეადგინა 10%, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარ-

ში, ანუ ეკონომიკური გლობალიზაციის ახალი ეტაპიდან (გატტ-ის, შემდეგ ვმო-ს ფარგლებში) 2000 წლამდე გაიზარდა 9%-ით და მიაღწია 19%-ს. ეს უპირველეს ყოვლისა მიუთითებს ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში საგარეო ფაქტორის ზრდაზე. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მშპ-ში საქონლის ექსპორტის წილი გაიზარდა ყველა ქვეყანაში, გარდა აშშ-ს. აშშ-ში აღნიშნული მაჩვენებელი 15,1%-იდან შემცირდა 4.4%-ით და 2000 წლის შეფასებით შეადგინა 10.7%, რაც უპირატესად განპირობებულია აშშ-ს ექსპორტის სტრუქტურაში მომსახურების ექსპორტის მზარდი მნიშვნელობით.

აღსანიშნავია საერთო კანონზომიერება, რომელიც ახასიათებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის ექსპორტს: მათი ეკონომიკები უმთავრესად ორიენტირებულია ექსპორტზე და აქედან გამომდინარე, ისინი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე. ამავე დროს, ექსპორტის გაფართოება არაერთგვაროვნად მოქმედებს აღნიშნული ქვეყნების განვითარებაზე. პოზიტიური ზემოქმედების ხარისხი მაღალია უმთავრესად გადამამუშავებელი მრეწველობის საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებში, ძირითადად ნედლეულის ექსპორტიორ ქვეყნებთან შედარებით. თუმცა ცნობილია, რომ ნედლეულის ექსპორტი (ნედლეულის, როგორიცაა ნავთობპროდუქტები) ნაკლებ მგრძნობიარეა კონიუნქტურის მიმართ, ვიდრე გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების საქონელი.

მსოფლიო ბანკის ექსპერტების გამოთვლით „განვითარებული ქვეყნების მშპ-ის ზრდა 1%-ით იწვევს განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის 0.2%-ით ზრდას[1]“. ექსპორტის წილი მშპ-ში საკმაოდ მაღალია

[1] Ломакин В. Мировая Экономика, М., Финансы, 1998, С. 588

ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ზრდა უმთავრესად ხორციელდება ნავთობ-პროდუქტების ექსპორტის საფუძველზე. ეს ნათლად ავლენს იმ ფაქტს, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტემპით ხასიათდება როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების მიხედვით.

XX საუკუნის II ნახევრიდან დაეცა თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის წილი მსოფლიო ექსპორტში, რაც განპირობებულია ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნის წილის ზრდით. ზოგადად, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სხვაობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუმცა უმთავრესია არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი განსხვავება, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ განვითარებადი ქვეყნები (მცირე გამონაკლისის გარდა: კორეა, ტაივანი და ა.შ.) ნედლეულისა და დაბალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტს ეწევიან, მაშინ, როცა განვითარებული ქვეყნების საექსპორტო პროდუქციას მაღალტექნოლოგიური საქონელი წარმოადგენს.

აღსანიშნავია საერთო ტენდენცია, რომელიც ახასიათებს განვითარებულ ქვეყნებს. ამ ქვეყნების ექსპორტის უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებული ქვეყნებისაკენ მიემართება და მათი დამოკიდებულება განვითარებად ქვეყნებზე, როგორც იმპორტიორებზე, საკმაოდ დაბალია. ამავე დროს, განვითარებული ქვეყნების საქონლის იმპორტიორებს უმთავრესად, შედარებით მაღალი ეკონომიკური განვითარების დონის მქონე განვითარებადი ქვეყნები წარმოადგენენ.

განვითარებადი ქვეყნების წილი მსოფლიო ექსპორტში ასახავს ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ თავისებურებას. XX საუკუნის II ნახევრიდან ქვეყნები, რომლებიც ღია ეკონომიკის პოლიტიკას ატარებდნენ, მსოფლიო ექსპორტში წილის ზრდის უფრო მაღალი ტემპით ხასიათდებიან, იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც უპირატესობას იმპორტშემცვლელ ინდუსტრიალიზაციას ანიჭებდნენ.

საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციების ანალიზისას თვალშისაცემია ის გარემოება, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების წილი საერთაშორისო ვაჭრობაში, "განვითარებადი ქვეყნების წილი 29%-იდან 1996 წელს გაიზარდა 37%-მდე 2006 წელს"[1]. ამავე დროს, "განვითარებადმა ქვეყნებმა 2003-2007 წლებში შეძლეს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდა 30%-ით, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 10%-ს შეადგენდა"[2].

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილის ზრდა მნიშვნელოვნად განპირობებულია ჩინეთის, ინდოეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების საექსპორტო პოტენციალის ზრდით.

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციების ანალიზი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაცია და მასში განვითარებადი ქვეყნების მიზანმიმართული ჩართვა ხელს უწყობს ამ ქვეყნების წილის ზრდას საერთაშორისო ვაჭრობაში, შესაბამისად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას. აღნიშნული მოსაზრება ეწინააღმდეგება ანტიგლობალისტთა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციები ხელს უწყობს განვითარებულ

[1] UNCTAD, Доклад о торговле и развитии, 2007
[2] UNCTAD, Доклад о торговле и развитии, 2007

და განვითარებად ქვეყნებს შორის უფსკრულის გაღრმავებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის ყველაზე მაღალი ხარისხი კაპიტალის, უფრო სწორედ სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობას ახასიათებს.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის შედეგად ტნკ-ების საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი იძლევა ცალკეული ქვეყნის ე.წ. „მეორე ეკონომიკაზე“ მსჯელობის შესაძლებლობას, რომელიც დაფუძნებულია კერძო კაპიტალის მოძრაობაზე და წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე დინამიურად განვითარებად ნაწილს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეიცვალა აშშ-ის გეოეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების და გავრცელების, ისე გლობალური საფინანსო ბაზრის ფორმირების შედეგად. აშშ ხელს უწყობს ეროვნული ტნკ-ების მოქმედების არეალის გაფართოებას, რაც მიჩნეულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად. აშშ-ში ტნკ-ების კონცენტრაცია არის ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში დომინირების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი. უმთავრესად II მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა ამერიკული ტნკ-ების საგარეო ბაზარზე ორიენტირება, ანუ მათი მიმართულებები გასცდა ეროვნულ საზღვრებს, შეიძინა ზეეროვნული ხასიათი და იქცა ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად.

გლობალური ეკონომიკის ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარების საფუძველს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს, რომელიც იწვევს ახალი

ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირებას. აღნიშნულის საფუძველს შრომის საერთაშორისო ტექნოლოგიური დანაწილება წარმოადგენს, როცა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ანუ ახალი ტექნოლოგიები ახალ სტრუქტურებს ქმნიან, ერთმანეთთან აკავშირებენ არა მარტო ეკონომიკის ცალკეულ დარგებს, არამედ ზრდიან ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთგადაჯაჭვის ხარისხს.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესის საფუძვლებიდან უმთავრესი როლი კაპიტალის, უფრო სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოძრაობამ ითამაშა, რომელიც გლობალიზაციის პირობებში ცალკეული ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში პუი-ების მასშტაბების ზრდის საფუძველს უმთავრესად განვითარებულ ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა წარმოადგენდა. განვითარებულ ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ძირითადად ხორციელდებოდა არა ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნით, არამედ არსებული კომპანიების შერწყმა-გაერთიანების შედეგად, რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან.

ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პუი-ების განუხრელი ზრდა. როგორც გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მსოფლიო ინვესტიციების შესახებ 2007 წლის მოხსენებაშია აღნიშნული “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო მოცულობა უახლოვდება 2000 წლის რეკორდულ მაჩვენებელს. ამავე დროს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იზრდება მსოფლიოს ყველა ნაწილში, აფრიკის ჩათ-

ვლით. განვითარებულ ქვეყნებში ინვესტიციები 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 45%-ით და მიაღწია 857 მლრდ. დოლარს. აფრიკის კონტინენტზე ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისმა მოცულობამ 2006 წელს 36 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც 2-ჯერ აღემატება 2004 წლის მაჩვენებელს. ინვესტიციების მსგავსი ზრდა ძირითადად განპირობებულია ინვესტორების ინტერესების ზრდით კონტინენტის ბუნებრივი რესურსების მიმართ. 2006 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში პუი-ს ზრდამ შეადგინა 19% და მიაღწია 200 მლრდ. დოლარს, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში 2006 წელს ინვესტიციები გაიზარდა 11%-ით და 84 მლრდ. დოლარი შეადგინა. დასავლეთ აზიის ქვეყნებში ინვესტიციები 44%-ით გაიზარდა და მიაღწია უპრეცენდენტოდ მაღალ დონეს 60 მლრდ. დოლარს, რომელიც ძირითადად განპირობებული იყო პრივატიზაციის პროცესითა და ეკონომიკური კლიმატის გაუმჯობესებით. ზოგადად, "განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციები გაიზარდა 21%-ით, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში 68%-ით. განვითარებადი ქვეყნებიდან წამყვან ადგილებზეა ჩინეთი, ჰონკონგი და სინგაპური, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან რუსეთი"[1].

ამავე დროს, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შეინიშნება გარკვეული ცვლილებები კაპიტალის ექსპორტიორ-იმპორტიორ ქვეყნებს შორის. როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნები წარმოადგენენ კაპიტალის უდიდეს ექსპორტიორებს. თუმცა აღსანიშნავია გარკვეული ხარისხობრივი ცვლილებები. დასავლეთ ევროპის ქვეყნები გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრამდე უპირატესობას ურ-

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

თიერთგადამკვეთ ინვესტიციებს ანიჭებდნენ, ხოლო ბოლო პერიოდში ევროპული ინვესტიციები უმთავრესად აშშ-ში მიემართება, რასაც ხელს უწყობდა აშშ-ს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, ასევე ამ ქვეყნის უდავო ლიდერობა უახლესი ტექნოლოგიების სფეროში, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის უმთავრეს დარგს წარმოადგენს. "განვითარებული ქვეყნების ჯგუფიდან, როგორც ინვესტიციების მიმღები ქვეყნები წამყვან პოზიციებზე არიან წარმოდგენილი აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ინვესტიციების მოზიდვის უმთავრეს სფეროს წარმოადგენს მომსახურების სექტორი. "2005 წელს პუი-ის 2/3 განხორციელდა სწორედ აღნიშნულ სფეროში, მეორე ადგილზეა გადამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა მისი წილი 1990 წელთან შედარებით შემცირდა და 2005 წელს ინვესტიციების 30% შეადგინა, პირველად სექტორზე ინვესტიციებმა მსოფლიო ინვესტიციების მხოლოდ 10% შეადგინა"[1].

ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობას ინტენსიური ხასიათი გააჩნია განვითარებულ ქვეყნებს შორის. გლობალური ეკონომიკის ფორმირებისას ამ ქვეყნების ტნკ-ების კაპიტალი მიისწრაფვის იმ დარგებისაკენ, რომლებიც მოგების მაღალი ნორმით ხასიათდებიან. აღნიშნულ სფეროებს მეცნიერებატევადი და უახლესი ტექნოლოგიების დარგები წარმოადგენენ. განვითარებული ქვეყნების კაპიტალი მიმართულია იმ ქვეყნებისაკენ, სადაც თითქმის იგივე კვალიფიკაციის სამუშაო ძალაა, რადგანაც ამ დარგების პროდუქციის წარმოება მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას მოითხოვს და შესაბამისად, პროდუქციის სიძვირის გამო იმ ქვეყნებში რეალიზდება, რომლებიც მოხმარებისა და ზოგადად,

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

თითქმის ერთნაირი ეკონომიკური განვითარების დონით ხასიათდებიან.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში აქტიურად მონაწილეობს ზოგიერთი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა, რომლებიც ჩაერთვნენ კაპიტალის ექსპორტში. მნიშვნელოვნად იზრდება ამ ქვეყნების წილი კაპიტალის მსოფლიო ექსპორტში, მათზე მოდის ინვესტიციების ექსპორტის 16%. განსაკუთრებით გამოსაყოფია ჩინეთისა და ინდოეთის მაგალითი, რომლებიც რეგიონში კაპიტალის უმსხვილეს ექსპორტიორებს წარმოადგენენ, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ქვეყნების როლი და მნიშვნელობა გლობალიზებად ეკონომიკაში განუხრელად იზრდება. მსოფლიო ინვესტიციების მოძრაობაში ჩინეთის და ინდოეთის როლის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად გლობალიზაციის დადებითი ეფექტების ამ ქვეყნებზე გავრცელების ნათელი გამოხატულებაა. აღსანიშნავია მათი დარგობრივი მიმართულება, რომელიც უმთავრესად ნავთობმომპოვებელ და ნავთობგადამამუშავებელ დარგებს მოიცავს, რაც შეეხება მათი განაწილების გეოგრაფიას, ინვესტიციები უმთავრესად მიმართულია განვითარებადი ქვეყნების გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებისაკენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში განვითარებული ქვეყნებისაკენ.

განვითარებადი ქვეყნების კაპიტალის ექსპორტში მონაწილეობა ზრდის, როგორც მოცემული ქვეყნის, ისე ინვესტირების ობიექტი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს. განვითარებადი ქვეყნების განვითარებულ სახელმწიფოებზე ასიმეტრიული დამოკიდებულების მიზეზი, მათში ინდუსტრიულ-აგრარული ეკონომიკის არსებობა და თვით

განვითარებად ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დაბალი დონეა.

აღსანიშნავია უახლესი პერიოდისთვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერება, რომელიც ახლავს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას: განვითარებული ქვეყნების კაპიტალი უპირატესად განვითარებულ ქვეყნებში, მეცნიერებატევადი და უახლესი ტექნოლოგიების დარგებისაკენ მიისწრაფვის, მაშინ, როცა განვითარებადი ქვეყნებიდან ინვესტიციები ამავე ჯგუფის ქვეყნებში, უმთავრესად გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში კონცენტრირდება. განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის ექსპორტში მონაწილეობს აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის 50-მდე ქვეყანა. აღნიშნული ტენდენცია, ასევე წინააღმდეგობაში მოდის ანტიგლობალისტთა მოსაზრებასთან კაპიტალის მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ფარგლებში ჩაკეტვის თაობაზე. ამას ადასტურებს მონაცემები განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინვესტიციების თაობაზე "განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციები 178.7 მლრდ. დოლარიდან 2003 წელს (მსოფლიო ინვესტიციების 31.7%) გაიზარდა 379.1 მლრდ. დოლარამდე 2006 წელს (29%). ინვესტიციების ზრდის ტენდენცია შეინიშნება ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ს ქვეყნებში, შესაბამისად 8.4 მლრდ. დოლარიდან 2003 წელს 26.3 მლრდ. დოლარამდე 2006 წელს და 15.8 მლრდ. დოლარიდან 2003 წელს 42.9 მლრდ. დოლარამდე 2006 წელს, რაც პუი-ს მოზიდვის 4.3%-ია 2003 წელს და 5.3.% 2006 წელს"[1]. ამ ჯგუფის ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს როგორც პუი-ს იმპორტიორ, ისე ექსპორტიორ ქვეყნებს. მსგავსი ხასი-

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

ათის ტენდენცია ხაზს უსვამს ამ ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირების მაღალ ხარისხს.

მსოფლიო ინვესტიციების მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა სამხრეთი-სამხრეთი მიმართულებით"[1], რაც თავის მხრივ წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ საფუძველს აღნიშნული კატეგორიის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების დაწყებისა და განვითარებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, პუი-ს ზრდაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტნკ-ების გაერთიანების პროცესი. ტნკ-ებს შორის გავრცელებული ე.წ. „სტრატეგიული ალიანსების" მეშვეობით ისინი აფართოებენ გავლენის სფეროს მსოფლიო ბაზარზე, უკეთესად ადაპტირდებიან ტექნოლოგიურ ცვლილებებთან, გვერდს უვლიან ეროვნული სახელმწიფოებისა და ინტეგრაციული დაჯგუფებების ფარგლებში არსებულ დაბრკოლებებს.

ყოველი ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის, როგორც ერთიანი, ორგანული მთლიანობის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ ყოველი ეროვნული ეკონომიკა როდი მონაწილეობს სრულყოფილად კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესში. იმ ეროვნული ეკონომიკების ადგილი და როლი აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს პროცესში ცალმხრივია, რომელთაც არ გააჩნიათ უდიდესი ტნკ-ები და ტნბ-ები. ასეთი ეროვნული ეკონომიკები მრავლადაა მსოფლიოში. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესში მონაწილეობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მსოფლიო შემოსავლის განაწილება-გადანაწილებაში მონაწილეობას, რაც მის შექმნაში მონაწილეობით განისაზღვრება და ბევრი ქვეყნისათვის მცირე ნაწილს წარმოადგენს სწორედ საზღვარგარეთ უცხოური ინვესტიციების არარსებობის გამო.

მსოფლიო ინვესტიციების ანალიზისას თვალშისაცემია განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების კომპანიების გააქტიურება ინვესტიციების ექსპორტის თვალსაზრისით, "განვითარებადი ქვეყნების კომპანიების მხრიდან პუი-ს გატანა 45.4 მლრდ. დოლარიდან 2003 წელს (ინვესტიციების გატანის 8.1%) გაიზარდა 174.4 მლრდ. დოლარამდე 2006 წელს, რაც პუი-ს გატანის მსოფლიო მაჩვენებლის 14.3%-ს შეადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 0.2 მლრდ. დოლარიდან 2003 წელს გაიზარდა 0.6 მლრდ. დოლარამდე 2006 წელს, ხოლო დსთ-ს ქვეყნებიდან 10.6 მლრდ. დოლარიდან 18.1 მლრდ. დოლარამდე"[1]. კაპიტალის ექსპორტში აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნების კომპანიები.

ამდენად, როცა საუბარია მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ების როლის ზრდაზე და მათ როლზე გლობალიზაციის პროცესში, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არა მარტო განვითარებული ქვეყნების კომპანიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გლობალიზაციის ლოკომოტივებად და მისი უარყოფითი ასპექტების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორებად განიხილებიან, არამედ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კომპანიებიც. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კომპანიების ქცევის მოტივები არ

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

განსხვავდება განვითარებული ქვეყნების კომპანიების მოტივებისაგან.

იმის გათვალისწინებით, რომ იზრდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ტნკ-ების რაოდენობა, ფართოვდება მათი საქმიანობის არეალი და ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს ატარებს ობიექტურ საფუძველს მოკლებულია გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი იმის თაობაზე, რომ გლობალიზაციის პროცესი ემსახურება განვითარებული ქვეყნების ტნკ-ების ინტერესებს და მათ მიერ არის ინიცირებული.

გლობალიზაციის პროცესი ეროვნული ეკონომიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სექტორს აქცევს ერთიან ორგანიზმად. აუცილებელია, რომ საგარეო-ეკონომიკური სექტორი ადაპტირებული იყოს როგორც ეროვნულ, ისე გლობალიზებად ეკონომიკასთან. ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები "განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ქმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილებს, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში"[1]. თუმცა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით შეიძლება ჩამოყალიბდეს ეროვნული ეკონომიკის განკერძოებული (საგარეო) სექტორი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებთან, ხოლო როცა საგარეო-ეკონომიკური სექტორი ადაპტირებულია ორივე შემადგენელთან, ეს თავისთავად გულისხმობს ეროვნულ ეკონომიკებს შორის მაღალი ხარისხის თანამშრომლობას.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სახელმწიფოები ატარებენ პუი-ს მოზიდვის ხელშემწყობ პოლიტიკას "2006 წელს დაფიქსირდა პოლიტიკის 147 ცვლილება, რომლებიც მიმღებ ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო რეჟიმს უფრო მიმზიდველად აქცევდა. ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილ იქნა განვითარებადი ქვეყნების მიერ (74%). თუმცა ზოგიერთ დარგში გაჩნდა ახალი შეზღუდვები, განსაკუთრებით გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში და დარგებში, რომლებსაც სახელმწიფოსათვის "სტრატეგიული" მნიშვნელობა გააჩნიათ (ნავთობის და გაზის კომპანიები ბოლივიაში და ალჟირში, ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაციების სექტორი ვენესუელაში და ა.შ). ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების რიცხვი და მათმა რაოდენობამ 2006 წელს 5 500 მიაღწია. განვითარებადი ქვეყნები უფრო აქტიურად მონაწილეობენ ინვესტიციების სფეროში საერთაშორისო კანონმდებლობის ფორმირების პროცესში, რაც პუი-ის სამხრეთი-სამხრეთი მიმართულებით მოძრაობის მოცულობის ზრდას ასახავს"[1].

XX საუკუნის 60-იან წლებამდე კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა შეზღუდულ ხასიათს ატარებდა და ექვემდებარებოდა ეროვნული სახელმწიფოს კონტროლს. ამ პერიოდიდან მოხდა ხარისხობრივი ცვლილებები სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზრის განვითარებაში, წარმოიქმნა კაპიტალის არაეროვნული ბაზრები, რომლებიც ოპერაციებს უცხოური ფულით (ევროვალუტებით) აწარმოებენ და თავიანთი არსით წარმოადგენენ ზესახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რადგანაც არ ექვემდებარებიან ეროვნული სახელმწიფოს კონტროლს და იმყოფებიან ეროვნული სავალუტო კანონმდებლობის ზემოქმედების სფეროს გარეთ.

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

[1] UNCTAD, Доклад о мировых инвестициях, 2007

როგორც ცნობილია, მსოფლიო ფინანსური რესურსების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია განვითარებულ ქვეყნებში. ეს ქვეყნები ფლობენ ოქროსა და ვალუტის რეზერვების ძირითად ნაწილს, მათი ფინანსური სახსრები ბრუნავს მსოფლიო ბაზარზე და ფინანსური დახმარების ძირითადი წყაროა მსოფლიოში.

XX საუკუნის 90-იან წლებში გაიზარდა კაპიტალის ბაზრების რაოდენობა, უმთარესად სოციალისტური სისტემის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ბაზრების დამატებით, რომლებიც შემოსავლიანობის მაღალი დონისა და სწრაფი ზრდის გამო მიმზიდველია კაპიტალის დაბანდებისათვის.

საერთაშორისო ფინანსური ნაკადების მნიშვნელოვანი ნაწილი პორტფელური ინვესტიციების სახით ხორციელდება, რომლებიც მოცულობით აჭარბებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებს. მსგავსი სახის ინვესტიციები, უმთავრესად ე.წ. „ცხელი ფულის“ დაბანდებაა, რომელიც ხელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის არსებობისას მიემართება ამა თუ იმ ქვეყანაში მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, ხოლო კრიზისის ნიშნის გაჩენისთანავე „ბრბოს ეფექტით“ ტოვებს მას და იწვევს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების პარალიზებას.

სპეკულაციური კაპიტალის დაბანდებამ ფინანსურ სექტორში, რომელიც გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო ნაკლებადაა დაკავშირებული ეკონომიკის რეალური სექტორთან წარმოადგენს მექსიკის (1995 წელი), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (1997 წელი), რუსეთის (1998 წელი) სავალუტო კრიზისების ერთ-ერთ მიზეზს, რომლიდანაც გამოსვლა არც ერთ ეროვნულ ეკონომიკას არ ძალუძს საგარეო დახმარების გარეშე.

ამ მხრივ საგულისხმოა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირებით ჯ. საქსის მოსაზრება “კაპიტალის ბაზრის სრული ლიბერალიზაციის თეორიას და პრაქტიკას შეუძლია მსოფლიო ეკონომიკის კარიბჭემდე მიიყვანოს“. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ის მხარს უჭერს ფინანსური რესურსების ტრანსნასაზღვრო გადაადგილების საგადასახადო რეგულირებას[1]“.

სპეკულაციურ ოპერაციებს ძალუძს შეარყიოს ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების სტაბილურობა. საერთაშორისო ფინანსური ბაზრის სტაბილიზაცია დროის მოთხოვნაა და აუცილებელია გარკვეული სახის ზეეროვნულ რეგულირების მექანიზმის შემუშავება, რომლის განხორციელებაც მხოლოდ განვითარებული ქვეყნების კოორდინირებული პოლიტიკის შემთხვევაშია შესაძლებელი.

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 153

8. გლობალიზაცია და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა

ნათელია, რომ გლობალიზაციის პროცესი უშუალო ზემოქმედებას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხარისხზე. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა და საზრუნავია, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონის ქვეყნებისათვის.

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ყველა ქვეყნისათვის იძენს უპირატეს მნიშვნელობას დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებთან შედარებით. საერთაშორისო არენაზე კონკურენციის გამწვავების შედეგად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისობა სხვა ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

მსოფლიო ეკონომიკაში თითოეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის დონეზე, რაც შესაძლებელია გახდეს როგორც კონკურენტული უპირატესობის შეძენის ან არსებული უპირატესობის ამაღლების, ისე ეკონომიკის ცალკეულ სფეროში მსოფლიო ეკონომიკაში ნაკლებად ინტეგრირების პირობებში არსებული კონკურენტუნარიანობის დაკარგვის განმაპირობებელი მიზეზი. გლობალიზაცია და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული, წინააღმდეგობრივად განვითარებადი პროცესებია.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან გლობალიზაციისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის

ურთიერთმიმართების საკითხები აქტიური მსჯელობის საგანი გახდა. თავდაპირველად უპრიანი იქნება ტერმინ "კონკურენტუნარიანობის" განმარტებასთან და გლობალიზაციისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხედულებების მიმოხილვა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) კონკურენტუნარიანობას განმარტავს როგორც "კომპანიების, დარგების, რეგიონებისა და ქვეყნების (ერების) უნარს შექმნან შემოსავლებისა და ხელფასების შედარებით მაღალი დონე და ამავე დროს, დარჩენ ღია საერთაშორისო კონკურენციისათვის". ამ მოსაზრებას იზიარებენ ამერიკელი მეცნიერები დ. დოლლარი და ე. ვულფი, "კონკურენტუნარიანია სახელმწიფო, რომელიც ერთმანეთთან ათავსებს მაღალი ტექნოლოგიებისა და მწარმოებლურობის საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წარმატებას, შემოსავლებისა და ხელფასების მაღალ დონეს". მ. დანი ყურადღებას ამახვილებს კონკურენტუნარიანობის დინამიკურ ხასიათზე და კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც ეროვნული ეკონომიკის მოქნილობის უნარს, მოახდინოს ადაპტაცია სტრუქტურულ ცვლილებებთან.

საერთაშორისო ორგანიზაციის — მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განმარტებით "კონკურენტუნარიანობა ფაქტორთა ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეულ ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის დონესა და მისი განვითარების ხარისხს, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას ეკონომიკაში. კონკურენტუნარიანი იქნება ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში".

ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის მ. პორტერის ფუნდამენტური კვლევა "ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა", რომელშიც აღნიშნული მკვლევარი ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ოთხ ძირითად და ორ დამხმარე დეტერმინანტს გამოყოფს. აღნიშნულ ოთხ დეტერმინანტს წარმოადგენს: 1. ფაქტორული პირობები, 2. შიდა მოთხოვნის პირობები, 3. მონათესავე დარგების არსებობა, 4. ფირმის სტრუქტურა, სტრატეგია და შიდადარგობრივი კონკურენცია, ასევე ორი დამხმარე დეტერმინანტი, სახელმწიფოს (მთავრობის) როლი და შემთხვევა. აღნიშნული დეტერმინანტები ცნობილია, როგორც "კონკურენტული რომბი". როგორც თავად მ. პორტერი აღნიშნავს "საერთაშორისო კონკურენციაში წარმატებას განსაზღვრავენ არა იმდენად წარმოების ფაქტორები, არამედ სად და რამდენად ეფექტიანად გამოიყენებიან ისინი". მ. პორტერი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე პერიოდში "არცერთ ქვეყანას არ ძალუძს კონკურენტუნარიანი იყოს აბსოლუტურად ყველა პოზიციაში, რამდენადაც მისი რესურსები შეზღუდულია". აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესის გათვალისწინებით. მ. პორტერი ასევე გამოყოფს ქვეყნის კონკურენტული ზრდის შემდეგ სტადიებს: ზრდა ბუნებრივი რესურსების, ინვესტიციების, ინოვაციების და ბოლოს სიმდიდრის საფუძველზე. მ. პორტერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ "გლობალური კონკურენციის შედეგად ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობა იზრდება".

ჯ. დანინგის მოსაზრებით მ. პორტერის მოდელი არ ითვალისწინებს ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და კონკურენტუნარიანობის ეროვნულ "რომბს" შორის დამოკიდებულებას. როგორც ჯ. დანინგი მიუთითებს "რომბი" არასაკმარისად აფასებს "ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ საზღვრის სხვადასხვა მხარეს განხორციელებულ, დამატებითი ღირებულების შემქმნელ საქმიანობებს შორის გაზრდილ ურთიერთქმედებას, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ეროვნული კონკურენტული უპირატესობის "რომბის" ყველა კომპონენტზე". ამიტომ, ჯ. დანინგი გვთავაზობს პორტერის "რომბში" ტრანსნაციონალური ბიზნესის გათვალისწინებას. მკვლევარები აღნიშნულ მოდელს პორტერ-დანინგის მოდელს უწოდებენ.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის პ. კრუგმანის მოსაზრებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უპირველესი მიზანია მოქალაქეების რეალური შემოსავლების არსებული დონის შენარჩუნება და გაზრდა, რაც ასახვას ჰპოვებს ქვეყანაში არსებულ ცხოვრების დონეში. ამ მოსაზრებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არა საბოლოო მიზანი, არამედ ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა, ანუ მისი ძირითადი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა თავისუფალი და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ბაზრის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობის, წარმოებისა და ინვესტიციების საშუალებით.

ფ. ეზილა-ჰარისონმა მოახდინა ზემოთაღნიშნული შეხედულებების შერწყმა კონკურენტუნარიანობის მიკრო და მაკრო დონის მიდგომებში, კერძოდ მწარმოებლურობაზე დაფუძნებულ ინდექსში (მიკრო დონე) და ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეალურ შემოსავალში (მაკრო დონე). ამ კლასიფიკაციის შესაბამისად აღწერილია ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სხვადასხვა სახის პარამეტრები. მიკრო დონის პარამეტრები, რომლებიც უკავშირდება კომპანიას ან მრეწველობას და მაკრო

პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობას ეროვნულ დონეზე.

გლობალიზაციის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით ცნობილი მეცნიერები პ. ჰერსტი და გ. ტომპსონი აღნიშნავენ, რომ "II მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციის ზრდამ განაპირობა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობის გაძლიერება". მათი აზრით "საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის საკითხი გლობალიზაციის პრობლემის გავრცელებასთან ერთად წარმოიშვა — ეს ორი პარალელური მიმართულებაა[1]". აღნიშნული მეცნიერები განიხილავენ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თეორიულ კონცეფციებს და იყენებენ ორ მიდგომას. პირველი, ადგილობრივი ინტერესების მიდგომა ანუ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ადგილობრივი წყაროების ანალიზი და მეორე, გეოეკონომიკური მიდგომა, რომელშიც აქცენტი გაკეთებულია საერთაშორისო სისტემაში სამი ძირითადი აქტორის (აშშ, ევროკავშირი, იაპონია) სტრატეგიულ ურთიერთობებზე. პ. ჰერსტი და გ. ტომპსონი აღნიშნავენ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში კონკურენტუნარიანობა ორი მთავარი მიმართულებითაა განხილული, პირველი გაყიდვის უნარია, რომელიც სავაჭრო ბალანსზეა ორიენტირებული და მეორე, ადგილმდებარეობის მიმზიდველობა, რომლის მიხედვით კონკურენტუნარიანობის უმთავრესი საზომი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია. თუმცა, აღნიშნული მეცნიერების მოსაზრებით "ორივე მიდგომა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელია[1]".

[1] ტომპსონი პ., ჰერსტი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი, თბ., 2005, გვ. 131

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკის გერმანელი მკვლევარები ჰ. მარტინი და ხ. შუმანი აღნიშნავენ, რომ "გლობალიზაციის პროცესი — კავშირგაბმულობის მაღალტექნოლოგიური საშუალებები, დაბალი დანახარჯები ტრანსპორტზე და შეუზღუდავი ვაჭრობა მსოფლიოს ერთიან ბაზრად აქცევს, რაც ზრდის გლობალურ კონკურენციას[2]". აღნიშნული მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ გლობალური კონკურენციის ზრდის შედეგად ევროპის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში (გერმანია, შვედეთი და ა.შ) დასაქმების შემცირების ტენდენციის გაძლიერებაზე და სოციალური უთანასწორობის ზრდაზე. მათი აზრით "გლობალიზაცია არ ექვემდებარება ერთ უნივერსალურ პრინციპს". ამავე მოსაზრებას იზიარებს ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი რ. დორნბუში, რომლის მიხედვითაც "გლობალური კონკურენცია დანგრევით ემუქრება სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკებს[3]".

ინდოელი წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. ბჰაგვატი გლობალიზაციას პროცესის განხილვისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "გლობალიზაცია არ წარმოქმნის სიღარიბეს, არამედ ხელს უწყობს მის დაძლევას"[4].

მართებულია ქართველი მეცნიერების (თ. ჩიკვაიძე, ა. სილაგაძე) მოსაზრება იმის თაობაზე, რომ

[2] Мартин Г.П., Шуман Х. Западня глобализации: атака на процветание и демократию, М., Альпина, 2001, с. 23

[3] Мартин Г.П., Шуман Х. Западня глобализации: атака на процветание и демократию, М., Альпина, 2001, с. 25

[4] Бхагвати Дж. В защиту глобализации, М., 2005, с. 91

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე "განმსაზღვრელი ხდება კონკურენტუნარიანობა ცოდნის, განათლების, ტექნოლოგიების სფეროში, მენეჯმენტში..."

ნათელია, რომ გლობალიზაციის პირობებში წარმოების ფაქტორების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე არ განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტული უპირატესობის უმთავრეს ფაქტორს ინდივიდის და საერთოდ, საზოგადოების განვითარების დონე წარმოადგენს. როგორც რუსი მეცნიერი ს. ემელიანოვი აღნიშნავს "აქ საუბარია არა იმდენად რესურსებზე, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის მიერ მათი გამოყენების ეფექტიანობაზე"[2]. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ამა თუ იმ რესურსის ეფექტიანი გამოყენება, თავის მხრივ, გამომყენებლის ცოდნის, განათლების ფუნქციაა. ამდენად, უმთავრესი როლი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში ენიჭება ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონეს, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების გლობალიზაციის დონეს. განათლებისა და სამეცნიერო კვლევების მაღალ დონეზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს ყველაზე მდგრად და სტაბილურ უპირატესობას. ბუნებრივ რესურსებს სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განსაზღვრაში, მით უმეტეს თანამედროვე ეტაპზე, ნანოტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით. ნანოტექნოლოგიების განვითარება ნიშნავს "მიკროდან ნანოზე არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ, ნივთიერებებზე მანიპულაციებიდან ცალკეული ატომების მანიპულაციაზე გადასვლას"[1]. აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარების შედეგია ე. წ. "ნანოეკონომიკის" წინგამსწრები განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ფაქტორული პირობებიდან უმთავრეს, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ცალკეული ქვეყნის სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ხარისხი, ადამიანის განათლების დონე, მისი უნარი შექმნას ახალი ტექნოლოგიები ან გამოიყენოს და განავითაროს არსებული.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ისწრაფვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავს ეროვნული ეკონომიკის, შიდა ბაზრის პროტექციონისტული დაცვის შესაძლებლობას, რაც ყველა ქვეყნის კომპანიას აძლევს სხვა ქვეყნის ბაზართან მიღწევადობის შესაძლებლობას. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ღია ეკონომიკის ზეგავლენის შეფასება ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დიდი ნაწილი (დაახლოებით 60%) განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობაზე მოდის, რომელთაც ეკონომიკის მსგავსი სტრუქტურა გააჩნიათ. ამავე დროს, საერთაშორისო ვაჭრობა უპირატესად შიდადარგობრივ ხასიათს ატარებს, რაც თავის მხრივ იაპონიასა და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი გახდა.

---

[1] ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 459

[2] Емелянов С. Международная конкурентноспособность производителей США: Методика анализа, Ж. МЭ и МО. 2002, №3, с. 85

[1] Чумаченко Б. Нанотехнологии-ключевои приоритет обозримого будущего, Ж. Проблеми теории и практики управления, 2001, №5

თანამედროვე მსოფლიოში შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია გარკვეულწილად კონკურენტული უპირატესობის კონცეფციით იცვლება, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. ამავე დროს, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების პროცესში აქტიური როლი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ეკუთვნის. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხარისხზე.

აღსანიშნავია, რომ იმპორტის ჩანაცვლების საგარეო-სავაჭრო სტრატეგია, რომელსაც XX საუკუნის 70-იან წლებში იყენებდა მრავალი განვითარებადი ქვეყანა ვერ უზრუნველყო ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება. მსგავსი შედეგის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია ახალგაზრდა დარგების დაცვის არგუმენტის მრეწველობის ცალკეულ სფეროებში გამოყენების ეკონომიკური შედეგების გაუთვალისწინებლობა. იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგიის კრახს ასევე უკავშირებენ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის ბაზრისა და საკუთრების არასარულყოფილებას.

ახალგაზრდა დარგების დაცვის კონცეფცია წარმოადგენდა იმპორტშემცვლელი სტრატეგიის თეორიულ საფუძველს. ამ არგუმენტის მიხედვით, ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში საქონლის საიმპორტო ფასთან შედარებით შიდა ფასების მაღალი დონის პირობებში იმპორტიორებთან წარმატებული კონკურენციის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინვესტიციების მიმართვა ადამიანურ რესურსებში. მსგავსი ინვესტიციების მოძიების ყველაზე მისაღებ მეთოდს საბაჟო ტარიფის შემოღება წარმოადგენდა. თუმცა, როგორც იმპორტშემცვლელი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ისტორია ადასტურებს იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკამ ვერ გაამართლა.

განვითარებად ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის პირველი მცდელობები ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ეკუთვნოდათ. ტრანსნაციონალური კორპორაციები ქმნიან ფილიალ კომპანიებს ამ ქვეყნებში, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი წანამძღვრების ფორმირების ხელშეწყობას, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ინვესტირება განათლებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შემდგომ ეტაპზე მსგავსი შეხედულება შეიცვალა და ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამის უმთავრეს მიზეზს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მიღწეული წარმატებები წარმოადგენდა, რომლებმაც ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია აირჩიეს და შესაბამისად, საერთაშორისო არენაზე კონკურენტუნარიანობის მაღალ ხარისხს მიაღწიეს. ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მჭიდრო კავშირშია ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვასთან და ქვეყნის წარმოების საგარეო ორიენტაციასთან.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, რომელიც უდიდესი გადახდისუნარიანი შიდა მოთხოვნით ხასიათდება, აღნიშნული ფაქტორი სულ უფრო ნაკლებად წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორს. როგორც ვ. გუტნიკი აღნიშნავს "გერმანიის ეკონომიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის უზრუნველყოფაში შიდა ფაქტორის წილი შეადგენს 1.3

პუნქტს და ასეთივე ტემპი არის მოსალოდნელი შემდეგ ორ წელიწადში. უახლოეს წლებში მხოლოდ საზღვარგარეთული მოთხოვნის ზრდას შეუძლია უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკის მიერ 2%-ის გადალახვა"[1]. აღნიშნული დეტერმინანტი ანუ მოთხოვნა შიდა ბაზარზე სულ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია აშშ-ის ეკონომიკისთვისაც, მიუხედავად სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მშპ-ში ექსპორტის დაბალი ხვედრითი წონისა (10%). ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აშშ-ის კომპანიების ე.წ. "მეორე ეკონომიკა", რომელიც უპირატესად საგარეო ბაზარზე არის ორიენტირებული.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოთხოვნა შიდა ბაზარზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ამაღლების საკითხში. აღნიშნულს ასევე ადასტურებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან თითქმის ყველა ეროვნული ეკონომიკის სწრაფვა ჩაერთოს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში, რომელიც თავის მხრივ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გზაზე უპირველეს ყოვლისა ბარიერების შემცირება-გაუქმებას გულისხმობს, რაც ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილე-ქვეყნების მხრიდან სწორედ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ უმთავრეს დეტერმინანტად განიხილება.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მდებარეობს, 1989 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს ეროვნული ეკონომიკების (ყველაზე კონკურენტუნარიანი 55 ქვეყანა) კონკურენტუნარიანობის რეიტინგს[1]. კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად იყენებენ 323 მაჩვენებელს, რომელიც დაჯგუფებულია კონკურენტუნარიანობის ოთხ უმთავრეს ფაქტორად. აღნიშნული ფაქტორებიდან თითოეული თავის მხრივ 5 სუბ-ფაქტორად იყოფა. ეს ფაქტორებია: 1. ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ფასდება 79 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბ-ფაქტორებს: შიდა ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ინვესტიციები, დასაქმება, ფასების დონე. 2. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ეფექტიანობა, ფასდება 72 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბ-ფაქტორებს: საჯარო ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული პოლიტიკა, ბიზნესის კანონმდებლობა, სოციალური პოლიტიკა და სტრუქტურა. 3. ბიზნესის ეფექტიანობა, ფასდება 71 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბ-ფაქტორებს: მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტი, გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის ხარისხი და 4. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, ფასდება 101 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბ-ფაქტორებს: ძირითადი ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და გარემოს მდგომარეობა, განათლება.

აღსანიშნავია, რომ ერთადერთი ეროვნული ეკონომიკა, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას არის აშშ, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია ამ ქვეყნის ძლიერი პოზიციებით მეცნიერებატევადი, უახლესი ინფორმაციული და სამხედრო ტექნოლოგიების წარმოებასა და ექსპორტში. 2008 წლის მონაცემებით მეორე ადგილზეა სინგაპური, მესამეზე ჰონკონგი. ევ-

[1] Гутник В. Германия, Ж. МЭ и МО, 2001, №8. с. 86

[1] www.imd.ch

როპის კავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდებიან ლუქსემბურგი (მე-5 ადგილი), დანია (მე-6 ადგილი) და შვედეთი (მე-9 ადგილი), ევროკავშირის ყველაზე დაბალკონკურენტუნარიანი ქვეყნებია პოლონეთი, რუმინეთი და იტალია (შესაბამისად 44-ე, 45-ე, და 46-ე ადგილები), ასევე აღსანიშნავია ფინეთი, რომლის კონკურენტუანარიანობამ 2005 წლიდან (მე-6 პოზიცია) გადაინაცვლა მე-15 ადგილზე. ფინეთის ეკონომიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ "საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელზეც ფინეთის ექსპორტის 20% მოდიოდა, ფინეთის ეკონომიკა მძიმე კრიზისში აღმოჩნდა. 1993 წელს წარმოების მოცულობა შემცირდა 10%-ით. 1999 წელს ფინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპმა შეადგინა 3.8%, ყველაზე მაღალი ევროს ზონაში. ფინეთის ეკონომიკის ასეთი წარმატება აიხსნება იმ გარემოებით, რომ "კომუნიკაციების მსოფლიო ლაბორატორიად" წოდებულ ფინეთში მოქმედებს კომპანია "ნოკია" - მსოფლიო ლიდერი მობილური ტელეფონების წარმოებაში, ასევე 80 ახლად შექმნილი სპეციალური სატელეკომუნიკაციო კომპანია. თანამედროვე ეტაპზე, ელექტრონული და ელექტროტექნიკური საქონლის ექსპორტი ფინეთის მთლიანი ექსპორტის 30%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის ტრადიციული საექსპორტო დარგის ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის ექსპორტის მოცულობას"[1].

ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან კონკურენტუნარიანობის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან ესტონეთი (23-ე ადგილი), ჩეხეთი (28-ე ადგილი), სლოვაკეთი (30-ე ადგილი) და სლოვენია (32 ადგი-

[1] Анилионис Г, Зотова Н. Глобальный мир, единый и разделенный, м., 2005, с. 375

ლი). აღნიშნული ქვეყნების მაგალითზე აშკარად ვლინდება მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე, ასევე განათლების სფეროში სახელმწიფო დანახარჯების ზრდის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხში. ხაზგასასმელია, რომ ესტონეთის მაღალი კონკურენტუნარიანობის საფუძველს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის მაღალი ხარისხი, ასევე მომსახურების სფეროს, განსაკუთრებით საფინანსო მომსახურების და უახლესი ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან რეიტინგში ასევე მოხვდნენ ლიტვა (36-ე ადგილი), უნგრეთი (38-ე ადგილი) და ბულგარეთი (39-ე ადგილი), ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ესტონეთის და ლიტვის გარდა, 55 ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნებს შორისაა რუსეთი (47 ადგილი) და უკრაინა (54-ე ადგილი). რუსეთის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია რუსეთში, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებით, რომელთა შორის აღსანიშნავია აეროკოსმოსური წარმოება, ასევე მსოფლიო ბაზარზე რუსული შეიარაღების საკმაოდ მაღალი კონკურენტუნარიანობა და ენერგომატარებლების მაღალი ფასი. ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან აღნიშნულ რეიტინგში მოხვდნენ ჩილე (26-ე ადგილი), კოლუმბია (41-ე ადგილი), ბრაზილია (43 ადგილი), მექსიკა (50 ადგილი), არგენტინა (52-ე ადგილი) და ვენესუელა, ბოლო 55 ადგილი. აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან რეიტინგში პირველად მოხვდა პერუ, რომელიც 35 ადგილზეა და შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებლით უსწრებს ევროკავშირის ბევრ ქვეყანას. აფრიკის კონტინენტიდან რეიტინგში მხოლოდ სამხრეთ აფრი-

კის რესპუბლიკაა წარმოდგენილი (53 ადგილი). სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 1997-1999 წლების საფინანსო კრიზისმა უდიდესი ზეგავლენა იქონია აღნიშნული რეგიონის ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე. სამხრეთ კორეა, რომელიც 1998 წლს აღნიშნულ რეიტინგში 36 ადგილზე იყო, 1999 წელს უკვე 41 ადგილზეა, 2008 წელს კი 31-ე ადგილზე. ასეთი წარმატებას უდავოდ შეუწყო ხელი სამხრეთ კორეის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართვამ მეცნიერებატევადი დარგების განვითარებისა და რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვისაკენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისის შედეგად, 1998 წლიდან მკვეთრად დაეცა ინდონეზიის რეიტინგი მე-40 ადგილიდან (1998 წელს) 47-ე ადგილამდე (2002 წელს), ხოლო 2008 წლის რეიტინგში ინდონეზია 51-ე ადგილს იკავებს. აღნიშნული ასახავს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები ხასიათდებიან სტაბილური ფინანსური მდგომარეობით, დიდი სავალუტო რეზერვებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მათ კონკურენტუნარიანობაზე. სავალუტო-საფინანსო კრიზისს უფრო ნაკლები ზეგავლენა ჰქონდა ეროვნულ ეკონომიკებზე, რომლებიც ხასიათდებოდნენ შედარებით სტაბილური ეკონომიკური ზრდით. აღნიშნულ რეიტინგში აზიის უდიდესი სახელმწიფოები – ჩინეთი და ინდოეთი საკმაოდ მოწინავე პოზიციებზე არიან წარმოდგენილნი (შესაბამისად მე-17 და 29-ე ადგილები).

თანამედროვე ეტაპზე ინდოეთის ეკონომიკის წარმატებები ძირითადად დაფუძნებულია ქვეყნის მაღლკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე და არა კონკურენტუნარიანობის ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა ბუნებრივი რესურსები. ინდოეთში, ისევე როგორც ჩინეთში აქცენტი უახლოესი ტექნოლოგიების სფეროს

განვითარებაზე კეთდება, რაც ზოგადად ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაღალ ხარისხზე და მისი ამაღლების საკმაოდ დიდ პოტენციალზე მეტყველებს.

აზიის წამყვანი სახელმწიფოს იაპონიის კონკურენტუნარიანობა დაეცა მე-20 ადგილიდან (1998 წელს) 30 ადგილამდე (2002 წელს), 2008 წლის რეიტინგის მიხედვით 22-ე ადგილზეა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ასევე ქვეყნდება "მსოფლიოს კონკურენტუნარიანობის ანგარიში" (WCR). WCR უმთავრესი მიზანია შეაფასოს "თუ რამდენად ხელსაყრელი ან ხელისშემშლელია ეროვნული გარემო ქვეყანაში მოქმედი კომპანიების შიდა ან საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისათვის". ქვეყნების რეიტინგის ამსახველი უმთავრესი ინდექსებია გლობალური კონკურენტუნარინობის ინდექსი და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი. ინდექსების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ასახავენ კრებსით მონაცემებს და შესაბამისად ითვალისწინებენ ეკონომიკურ და/ან სოციალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ერთზე მეტ ასპექტს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ასახავს ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენას და გამოითვლება 249 მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც დაჯგუფებულია რვა ფაქტორად: შიდა ეკონომიკა, ინტერნაციონალიზაცია, სახელმწიფოს პოლიტიკა, ფინანსები, მენეჯმენტი, ინფრასტუქტურა, მეცნიერება-ტექნოლოგია და სამუშაო ძალის ხარისხი (კვალიფიკაცია). ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი განსაზღვრავს კომპანიებისა და დარგების მწარმოებლურობას და ეფექტიანობას.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ზემოთაღნიშნული ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტის

რეიტინგებს შორის ცალკეული ქვეყნების მიერ დაკავებული პოზიციების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა და ეკონომიკის დარგების თანაფარდობა. გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარება პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ეკონომიკის არსებობაზე ან მისი ფორმირების სისწრაფეზეა დამოკიდებული, რომელიც, თავის მხრივ, მეცნიერებატევადი დარგების უპირატეს განვითარებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე ეკონომიკაში მონათესავე დარგების არსებობა მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის შექმნას, როცა ის ხელს უწყობს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. როგორც რუსი მეცნიერი მ. დელიაგინი აღნიშნავს "ინფორმაციული ტექნოლოგიები უფრო ეფექტიანდ აქცევენ არა რეალურად მიმდინარე პროცესების, არამედ მათი აზრის მსვლელობის მართვას, ვინც ამ პროცესებს ხელმძღვანელობს. აშშ-ს მაღალი კონკურენტუნარიანობა და მსოფლიო ლიდერობა სწორედ აქედან გამომდინარეობს"[1].

გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაცია ხელს უწყობს კომპანიათა თითქმის ერთიანი, უნიფიცირებული მოდელის ფორმირებას. აქ უპირატესობა კომპანიათა ამერიკულ მოდელს ენიჭება, რასაც ხელი შეუწყო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში კომპანიათა ფუნქციონირების იაპონური მოდელის კონკურენტუნარიანობის გარკვეულმა შესუსტებამ. ამდენად, გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ქვეყნის კონკურენტული რომბის დეტერმინანტები გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან.

[1] Делягин М. Информационная революция, глобализация и кризис мировой экономики, Ж. Проблемы теории и практики управления, 2001, №1

ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტული უპირატესობის რომბში სახელმწიფოს როლი მხოლოდ დამხმარე დეტერმინატის ფუნქციას ასრულებს, სახელმწიფოს შეუძლია უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობა დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყანაში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებაზე. აქედან გამომდინარე, გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება კონკურენტუნარიანობის კლასიკურ ფაქტორებს. ამ ქვეყნებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ხელშემწყობ როლს. აღნიშნული მოსაზრება მტკიცდება იმ გარემოებით, რომ უდიდესი დანახარჯები, რომელსაც მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ამ ქვეყნებში ტნკ-ების არარსებობის გამო აუცილებელია ეროვნულმა სახელმწიფომ იტვირთოს.

გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში სახელმწიფო არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც მიზანმიმართული, თანმიმდევრული პოლიტიკით შეუძლია ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება, რომელიც იძლევა არა მარტო მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობას, არამედ იმის საფუძველსაც, რომ ამ ქვეყნებში შესაძლებელი იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოგონება. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მეცნიე-

რებატევადი წარმოება, რომელსაც ყველა სხვა სახის წარმოებასთან შედარებით დიფერენციაციის უდიდესი უნარი გააჩნია. ქვეყნებს, რომლებსაც საშუალო დონის სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალი გააჩნია (გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობა სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება) უტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ განავითარონ ახალი ტექნოლოგიები.

მეცნიერებატევადი წარმოება, ინფორმაციული და ნანოტექნოლოგიები არის ის დარგი, რომლებშიც წარმატება უზრუნველყოფს ცალკეული ქვეყნის მდგრად კონკურენტულ უპირატესობას. ამის მიღწევა შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით უპირატესად მეცნიერებატევად დარგებში, სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებით და ა.შ.

გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების დონეს. ასევე უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ამ უკანასკნელი სფეროს განვითარებას, არამედ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინტერნაციონალიზაცის ხარისხს, ანუ ქვეყნებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების დონეს, რომელიც თანამედროვე ეტაპზე უპირატესად განვითარებულ ანუ პოსტინდუსტრიული ეკონომიკების ქვეყნებს შორის მიმდინარეობს. სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში ქვეყნების თანამშრომლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობას. გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისათვის ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშ-

ვნელობა ენიჭება მსოფლიო სამეცნიერო მიღწევებთან ადაპტაციას და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ასევე საზოგადოების ინტელექტის მიხედვით სტრატიფიკაციას, რომელიც პოსტინდუსტრიული ეკონომიკის, საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთ მახასიათებელს ასევე წარმოადგენს რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა, განსაკუთრებით იმ ეკონომიკურ დაჯგუფებებში ინტეგრირება, რომლებშიც წარმოდგენილნი არიან პოსტინდუსტრიული ქვეყნები. აღნიშნული განვითარებული ქვეყნების ბაზრებთან მიღწევადობის, მათთან სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გათვალისწინებით ხელს შეუწყობს აღნიშნულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელი წანამძღვრების შექმნას.

საბოლოო ანგარიშით შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ქვეყნის, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის საფუძველს მისი მოქალაქეების, საერთოდ საზოგადოების განვითარების მაღალი დონე წარმოადგენს. როგორც ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ, თანამედროვე ეტაპზე "ინტენსიურად ვითარდება კრიტიკული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად ახალ ეკონომიკას და ცხოვრებს წესს ამკვიდრებს ინფორმატიკის, კომუნიკაციების და წარმოების სფეროში: პროგრამული უზრუნველყოფა, მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა, მაღალმწარმოებლური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და კომპიუტერული ქსელები.. დამმუშავებელი მოწყობილობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით,

მიკრო და ნანოტექნოლოგიები, რთული სისტემების ტექნოლოგიები“[1].

გლობალურ ეკონომიკაში ყოველი ეროვნული ეკონომიკის ადგილის განმსაზღვრელი იქნება, არა მარტო აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, არამედ მათი განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის უნარი, რომელიც იმანენტურად გულისხმობს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარების მაღალ დონეს. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების შემთხვევაშია შესაძლებელი, რომელიც ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის უმთავრესი მახასიათებელია და ინტელექტის, მისი განვითარება-რეალიზაციის შესაძლებლობაზეა დაფუძნებული.

[1] ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 26

9. გლობალიზაციის სოციალური განზომილება

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ქვეყნებს შორის ეკონომიკური წინააღმდეგობები მოიცავს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სპექტრს — კაპიტალისა და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობას, საგარეო ვაჭრობას, საგაჭრო პოლიტიკას და ა.შ. გლობალური ეკონომიკის ფორმირების საფუძველს ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია წარმოადგენს და ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი, საბოლოო ანგარიშით ლიბერალიზაციის პოლიტიკისა და ცალკეული ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების წინააღმდეგობრივ ურთიერთობებში პოულობს გამოხატულებას.

ნათელია, რომ ეკონომიკის ლიბერალიზაციის შედეგად იგებენ ცალკეული ქვეყნები და მოსახლეობის გარკვეული ფენები. სახელმწიფოებიდან მოგებას ნახულობენ განვითარებული ქვეყნები, ზარალდებიან მათი შრომატევადი დარგები, თუმცა სახელმწიფო ანხორციელებს მათ დაცვას პროტექციონისტული პოლიტიკის მეშვეობით. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იგებს ექსპორტთან დაკავშირებული დარგები, ზარალდება იმპორტთან კონკურირებადი სფეროები.

გლობალიზაციის სოციალური განზომილების განხილვისას მთავარი საკითხია გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენა საზოგადოებრივ სტრატიფიკაციაზე და მისი როლი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის არსებული განსხვავების ნიველირებაზე.

გლობალიზაციის უარყოფით სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზოგადად

სოციალური უთანასწორობა კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა და ის არ წარმოადგენს უშუალოდ გლობალიზაციის პროცესის განვითარების შედეგს.

გლობალური ეკონომიკის წინააღმდეგობრივი ხასიათი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მსოფლიოში მიმდინარე სოციალური ფრაგმენტაციის პროცესით ანუ ე.წ. „ინტელექტუალთა კლასსა“ და მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებს შორის არსებული წინააღმდეგობრივი ურთიერთობებით. ბევრი მკვლევარი (დ. ბელი, ვ. ინოზემცევი და სხვა) გამოყოფს აღნიშნულ კლასს, როგორც გლობალური ეკონომიკის ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარების მამოძრავებელ ძალას, რაც უდაოდ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. როგორც ვ. ინოზემცევი აღნიშნავს „პოსტეკონომიკური საზოგადოება წარმოიშობა იქ და მაშინ, სადაც და როცა დაიძლევა შრომა როგორც საქმიანობა, რომელიც ნაკარნახევია მატერიალური აუცილებლობით და მის ადგილას მოდის აქტიურობა, რომლის მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს ადამიანის სურვილი, გახდეს ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს, მისი მისწრაფება შეესაბამებოდეს მის შიდა ბუნებას[1]“. ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება, თუ ადამიანის მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს არაუტილიტარული მიზნები, მაშინ ის ემსახურება ადამიანის სხვა თვისებებს – სიამაყეს, უსაფრთხოებას, რეპუტაციას, როგორც ამას ჰობსი აღნიშნავდა. ინტელექტუალთა ცალკე კლასად გამოყოფა სრულებითაც არ ნიშნავს მათ ერთიანობას, არამედ ხაზს უსვამს განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას, რამდენადაც ცოდნის ამაღლება, როგორც გარესამყაროს, ასევე თვით ადამიანის ფსიქოლოგიური მოწყობისა და მისი მამოძრავებელი მოტივების შესახებ ყოველთვის და ყველგან პროგრესის საფუძველს წარმოადგენდა.

[1]Иноземцев В. Расколотая цивилизация, М., академия наук, 1999, с. 25

ეკონომიკური წინააღმდეგობის არსი, რომელიც ვლინდება თანამედროვე პერიოდში არის წინააღმდეგობები პოსტინდუსტრიულ და ინდუსტრიულ-აგრარულ საზოგადოებებს შორის. პირველში საზოგადოების სტრატიფიკაციის კრიტერიუმი ინტელექტია და სახელმწიფოს პოლიტიკა სწორედ ინტელექტზე და არსებული მატერიალური მდგომარეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ არის მიმართული, აქ უპირველეს ადგილას ჰობსისეული პრესტიჟი, უსაფრთხოება გამოდის, ხოლო მეორეში სახელმწიფოს პოლიტიკა ქონებრივი თვალსაზრისით მაღლა მდგომი ფენების მიერ განისაზღვრება. თუმცა, როგორც რუსი მეცნიერი ვ. ინოზემცევი აღნიშნავს „ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ცალკეული ინდივიდები, სოციალური ჯგუფები და ერები, რომლებიც სარგებლობენ ტექნოლოგიური პროგრესის სრული უპირატესობით, განაგებენ სიმდიდრეს, რომელიც მათ არ მიუთვისებიათ ჩაგრული კლასების ექსპლუატაციის შედეგად, არამედ შექმნეს თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით, არ წაურთმევიათ ძალით, არამედ შეიძინეს საბაზრო გაცვლის შედეგად[1]“.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი იწვევდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და მასში ინდივიდთა ადგილისა და როლის ახლებურ ინტერპრეტაციას. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ასეთი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ სამეცნიერო ლიტერატურაში

[1] Сборник статей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001, с. 29

სხვადასხვა სახელწოდება მიიღო — პოსტინდუსტრიული საზოგადოება (დ. ბელი), ინფორმაციული საზოგადოება (ე. ტოფლერი), მასობივი მოხმარების ეპოქა (უ. როსტოუ), ცოდნის საზოგადოება (პ. დრუკერი), პოსტეკონომიკური საზოგადოება (ვ. ინოზემცევი). მეცნიერების მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების ამსახველი ყველა სახელწოდების საერთო ნიშანს წარმოადგენს ყურადღების გამახვილება მეცნიერებატევადი საქონლის წარმოებასა და მომსახურების სფეროს მზარდ მნიშვნელობაზე, ეკონომიკაში ცოდნის განმსაზღვრელ როლზე.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების მამოძრავებელ ძალას განვითარებული ქვეყნები წარმოადგენენ, ხოლო მათი ეროვნული ეკონომიკების განვითარება დამყარებულია ცოდნაზე, ინტელექტზე. შესაბამისად, სწორედ მეცნიერება განსაზღვრავს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და მისი შემდგომი, განვითარების მიმართულებებს. განვითარებულ ქვეყნებში ყალიბდება ე.წ. პროიდეალისტური საზოგადოება, რომელშიც უპირატესი მნიშვნელობა უსაფრთხოებას, პრესტიჟს, რეპუტაციას ენიჭება. ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თითოეული ინდივიდის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობებს.

მსოფლიო ეკონომიკის მკვლევარები მომავალი მსოფლიო საზოგადოების შემდეგ მოდელებზე ამახვილებენ ყურადღებას: ტრანსნაციონალური საზოგადოება - სახელმწიფო საზღვრების ეროზიით; საერთაშორისო საზოგადოება - საერთაშორისო ორგანიზაციების წამყვანი როლით; გავლენის სფეროების მიხედვით დიფერენცირებული საზოგადოება; რეგიონული საზოგადოება - ინტეგრირებული ცალკეული გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით; პოლარიზებული საზოგადოება — სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკურ-პოლიტიკურ კონკურენციაზე გადასვლით;

თანამედროვე ეტაპზე წინააღმდეგობებს წარმოშობს წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის თანაფარდობა, თუ რომელი თამაშობს განმსაზღვრელ როლს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაში, ანუ წინააღმდეგობებს განაპირობებს ერთი მხრივ მეცნირებატევად და მეორეს მხრივ კაპიტალტევად და შრომატევად წარმოების დარგებს შორის თანაფარდობა. ცნობილია, რომ მეცნიერებატევადი დარგები მაღალი ეფექტიანობით გამოირჩევიან, უფრო მაღალი კონკურენტული უპირატესობით და აქედან გამომდინარე, უფრო მაღალი შემოსავლიანობით ხასიათდებიან, ვიდრე კაპიტალტევადი და შრომატევადი დარგები.

ეროვნულ ეკონომიკებს შორის წინააღმდეგობის ერთ-ერთ მიზეზს ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის მიერ დაგროვილი პრაგმატული ცოდნის დონეებს შორის არსებული სხვაობა წარმოადგენს. ცნობილია, რომ პრაგმატიზმი უმთავრესად დასავლეთის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი, რასაც ხელს უწყობდა ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, ე.წ. „ვებერისეული პროტესტანტული ეთიკა“, რამაც აღნიშნულ ქვეყნებში ხელი შეუწყო კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას და მის შემდგომ ევოლუციას, წარმოების განვითარებას შრომატევადიდან კაპიტალტევადისაკენ და თანამედროვე ეტაპზე მეცნიერებატევადისაკენ. წინაალმდეგობების საფუძველი წარმოშვა მეურნეობრიობის ტრადიციებს შორის სხვაობამ, როგორც მაქს ვებერი აღნიშნავდა „მხოლოდ დასავლეთში ვხედავთ მეცნიერებას ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. თეო-

[1] Анилионис Г, Зотова Н. Глобальный мир, единый и разделенный, М., 2005, с. 60

რია, ფილოსოფია, ცხოვრების უმაღლეს პრობლემებზე მსჯელობა ცნობილია ჩინელებისათვის, ინდოელებისათვის, მაგრამ რაციონალური მეცნიერება და რაციონალური ტექნიკა ამ ქვეყნებისათვის უცნობია. პროტესტანტიზმის ასკეტური სექტები არ ცნობდნენ წმინდა თეორიას, მათ ცოდნა აინტერესებდათ იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი უწყობდა ხელს ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ტექნიკური და ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად მეცნიერების მიმართვის მისწრაფება სპეციალურად დამახასიათებელი იყო პროტესტანტიზმისთვის“[1].

განვითარებული ქვეყნების ტნკ-ები ახდენენ კაპიტალტევადი და შრომატევადი წარმოების გადატანას გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, რაც ერთი მხრივ ხელს უწყობს აღნიშნულ ქვეყნებში მოხმარების ზრდას, მაგრამ მეორეს მხრივ განაპირობებს საზოგადოების ქონებრივ სტრატიფიკაციას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები კიდევ უფრო აღრმავებს პოსტინდუსტრიულ და ინდუსტრიულ-აგრარულ საზოგადოებებს შორის წინააღმდეგობებს. საზღვრების გახსნილობის პირობებში (აქ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას ვგულისხმობთ), უახლესი ტექნოლოგიების (კომპიუტერი, ინტერნეტი) გავრცელება განვითარებად ქვეყნებში, აღნიშნული ქვეყნის მოსახლეობისათვის ნათელს ხდის მათ ჩამორჩენას სხვა ქვეყნებისაგან, მრავალი მიმართულებით, რაც იწვევს მათი მხრიდან სუსტი განვითარების მიზეზების ძიების გაძლიერებას. ყოველ ინდივიდს, თუ ინდივიდთა ჯგუფს აქვს მიდრეკილება, რომ მისი წარუმატებლობის მიზეზი საგარეო სფეროში ეძიოს, ამ მხრივ სახელმწიფოები გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული წინააღმდეგობები ივსება რელიგიურ-იდეოლოგიური კომპონენტებით, რომლებიც უფრო მწვავე ხასიათს აძლევენ წინააღმდეგობებს.

[1] Вебер М. История хазяйства: очеркы всеобщей социальной и экономической истории, Пер. с Нем. Петроград, Наука и школа, 1923, с. 198, 228

გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება, გამოხატული სამუშაო ძალის გადაადგილების გზაზე სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობით წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ ნეგატიურ ასპექტს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობისათვის.

სამუშაო ძალის გლობალიზაციის პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე საქონლისა და კაპიტალის ბაზრების, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან და მზარდ მაჩვენებელს წარმოადგენს. გლობალიზაციის პირობებში მიგრაციული პოლიტიკა გადადის ზეროვნულ დონეზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოთაშორის სამუშაო ძალის მიგრაციის ეფექტიან მართვას „მიგრაციული პროცესების მართვაში, რომელიც მიგრაციულ კონტროლს და ინტეგრაციას გულისხმობს, გამოიყენება სხვა მეთოდებიც, როგორიცაა საგარეო დახმარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ასევე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც შეზღუდავს მიგრაციას ქვეყნებიდან, რომლებიც მოსახლეობის ძირითად დონორებს წარმოადგენენ“[1]. ამ სახის დახმარება განვითარებადი ქვეყნებისადმი ხორციელდება როგორც ცალკეული სახელმწიფოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ამდენად, გლობალიზაციის პირობებში სამუშაო ძალის მიგრაცია, რომელიც უდიდეს მას-

[1] Цапенко И. От иммиграционного контроля к управлению эмиграционными процессами, Ж. МЭ и МО, 2001, №10, с. 28

შტაბებს აღწევს, მოითხოვს ზეეროვნულ დონეზე რეგულირებას.

წარმოების გადატანა შედარებით იაფი სამუშაო ძალის ქვეყნებში განაპირობებს უმუშევრობის ზრდას განვითარებულ ქვეყნებში, იზრდება კონკურენცია სამუშო ადგილებისათვის. გლობალიზაცია, რომელიც მწარმოებლების მოგებას მნიშვნელოვნად ზრდის საერთაშორისო რესურსების უფრო ეფექტიანი კომბინაციის შედეგად და გარკვეულწილად აუმჯობესებს მომხმარებელთა მდგომარეობას პროდუქციის მრავალფეროვნებისა და შედარებით დაბალი ფასის გათვალისწინებით, ზრდის განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დონეს.

მსგავსი ტენდენციები აძლიერებს პროტექციონისტულ განწყობას განვითარებულ ქვეყნებში და ძირს უთხრის გლობალური თავისუფალი ვაჭრობის იდეას. ამავე დროს, სწორედ გლობალური თავისუფალი ვაჭრობის ტენდენციების გაძლიერება ხდება ღარიბ ქვეყნებში სიღარიბის მასშტაბების შემცირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

საზოგადოების დიფერენციაცია და მისი სტრატიფიკაცია შემოსავლების დონეების მიხედვით ზრდის სოციალურ დაძაბულობას, რაც საბოლოო ჯამში ასუსტებს დასავლეთის მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ძლიერების საფუძველს და საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი ურთიერთობების სტაბილურობას.

გლობალიზაციის პირობებში, მსგავსი ტენდენციის გაძლიერება, განსაკუთრებით გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მასშტაბით მსოფლიოს აახლოებს განვითარების ე.წ. "ბრაზილიურ მოდელთან", რომელიც სოციალური უთანასწორობის მასშტაბით გამოირჩევა და ნეოლიბერალური გლობალიზაციის რეგულირების გარეშე განვითარების

შემთხვევაში გლობალური მასშტაბით საზოგადოებრივი ურთიერთობების მიკრომოდელად შეიძლება მივიჩნიოთ.

განვითარებადი ქვეყნებიდან იაფი სამუშაო ძალის მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში სოციალური დაძაბულობის ზრდის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. გარკვეულწილად იზრდება ქსენოფობია, რომელიც გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგანაც ყოველი მოძრაობა თავის საპირისპირო მოძრაობას ბადებს და ნაციონალიზმის, სეპარატიზმის, შოვინიზმის თუ ფუნდამენტალიზმის გამოვლინებები მსოფლიოში გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება.

გლობალური ეკონომიკის სოციალურ განზომილებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია განვითარებულ ქვეყნებში თავისუფალი ვაჭრობის შედეგად წარმოების მოცულობის შემცირება, უმუშევრობის ზრდა საშუალო ფენაში და შესაბამისად, მათი შემოსვლების შემცირება, ხოლო განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის მასშტაბების შემცირება.

ამრიგად, არაერთგვაროვანია გლობალიზაციის ზეგავლენა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე და საეჭვოა ანტიგლობალისტთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გლობალიზაცია განვითარებად ქვეყნებს და მათ მოსახლეობას უარეს მდგომარეობაში აყენებს.

გლობალიზაციის სოციალური განზომილების მკვეთრად გამოხატული წინააღმდეგობრივი ხასიათი შეიცავს მნიშვნელოვან ელემენტებს გლობალიზაციის პროცესის დასამუხრუჭებლად. საზოგადოებაში პროტექციონისტული განწყობის ზრდამ, რომელიც განპირობებულია უცხოური კონკურენციისა და იაფი სამუშაო ძალის მიგრაციის ზრდით შეიძლება უბიძგოს განვითარებულ ქვეყნებს პროტექციონისტული პოლი-

ტიკის გატარებისაკენ. განვითარებული ქვეყნების საშუალო ფენა მნიშვნელოვან ზარალს განიცდის გლობალიზაციისაგან. აღნიშნული ფენა წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს და მისი შემდგომი განვითარება სწორედ ამ ჯგუფზეა დამოკიდებული.

გლობალური ეკონომიკა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია შეიცავს არანაკლებ საფრთხეებს განვითარებული სახელმწიფოებისათვის, ვიდრე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. გლობალიზაციის ტენდენციების ანალიზი იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სხვა თანაბარ პირობებში გლობალიზაცია, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში უფრო დიდ საფრთხეს უქმნის განვითარებულ ქვეყნებს, ძირს უთხრის რა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს სოციალურ საფუძვლებს.

გლობალური ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია ნეოლიბერალური გლობალიზაციის მეშვეობით. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სახელმწიფოს როლის შესუსტება გაზრდის პოლიტიკური ფრაგმენტაციისა და ეკონომიკური წინააღმდეგობების რელიგიურ-იდეოლოგიურ კომპონენტებით შევსების საშიშროებას, გააღრმავებს სოციალურ-ეკონომიურ ფრაგმენტაციას და აქედან გამომდინარე შეუძლებელს გახდის არა მარტო აღნიშნული ქვეყნების სრულყოფილ მონაწილეობას გლობალურ ეკონომიკაში, არამედ საერთოდ ეჭვქვეშ დააყენებს რეალური, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განვითარების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგობები არსებობს თვით განვითარებულ სახელმწიფოებს შორის, უმთავრესად ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ სფეროში, რომე-

ლიც არ ივსება რელიგიურ-იდეოლოგიური კომპონენტებით და განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. თუმცა, გლობალიზაციას, რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში განიხილავენ როგორც აშშ-ის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ექსპანსიას, წინააღმდეგობით ეკიდებიან დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია).

თანამედროვე პერიოდში განვითარებულ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობები ეკონომიკურთან ერთად კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხასიათს ატარებს, რომელსაც თავის მხრივ ყოველი ეროვნული კულტურის უნიკალურობა უდევს საფუძვლად. ამრიგად, სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობები მით უფრო ნაკლები სიმწვავისაა, რაც უფრო მეტი ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგადაჯაჭვა არსებობს ეროვნულ ეკონომიკებს შორის და რაც უფრო მაღალია ეკონომიკური განვითარების დონე.

გლობალიზაციის პროცესი მოითხოვს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ხელშეწყობას. განვითარებული ქვეყნები კარგავენ კონკურენტულ უპირატესობას ტრადიციულ სეტორებში და უპირატესობა განვითარებად ქვეყნებზე გადადის, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სტრუქტურის პროგრესული მიმართულებით ცვლილების მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის მოდერნიზებას მოითხოვს.

განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის შემცირების მიზნით სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი მიმართულება, როგორიცაა კადრების მომზადება-გადამზადება გარკვეულწილად კარგავს აქტუალურობას, რამდენადაც გლობალიზაციის პირობებში შესაძლებელია მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძა-

ლის მოძიება გაცილებით ნაკლები დანახარჯებით. შესაბამისად, სახელმწიფოს რჩება ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი მიმართულება, როგორიცაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ახალ სექტორებში ან ეკონომიკის არსებულ კონკურენტუნარიან დარგებში, რაც თავის მხრივ მოითხოვს დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას კვლევით სამუშაოებზე.

განვითარებად ქვეყნებში გლობალიზაციის დადებითი შედეგები არათანაბრად ვრცელდება. ნათელია, რომ იგებს შედარებით კვალიფიციური სამუშაო ძალა და ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა, მაშინ როცა დაბალი განათლებისა და სოფლის მოსახლეობა გარკვეულწილად ზარალდება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, სწორედ სახელმწიფოს როლი, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობისკენ.

გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას მნიშვნელოვანი ძვრები შეაქვს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტებში. განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მაშინ როცა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით კონკურენტული უპირატესობის შეძენის, ამაღლებისა და განვითარების შესაძლებლობები.

10. გლობალიზაციის პოლიტიკური განზომილება

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ერთმანეთისგან იზოლირებულად განხილვა შეუძლებელი გახდა, ხოლო 90-იან წლებში გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციამ ახალი იმპულსი შესძინა მსოფლიო განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების მჭიდრო კორელაციაში განხილვას.

მსოფლიო განვითარების პროცესში ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორები გლობალიზაციის ძირითად დეტერმინანტებს წარმოადგენს, რაც განაპირობებს გლობალიზაციის თანამედროვე პროცესის სისტემურ ხასიათს და განსაზღვრავს მისი შემდგომი განვითარების მიმართულებებს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, როგორც ამერიკელი მკვლევარები ჯ. სპერო და ჯ. ჰარტი აღნიშნავენ "ყველაზე დრამატული ცვლილებები პოლიტიკური ხასიათისაა"[1]. სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ სახე იცვალა მსოფლიოს პოლიტიკურმა რუკამ, რადიკალურად შეიცვალა ევროპა. ევროპაში და მის უახლოეს ტერიტორიაზე ოცზე მეტი ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. აღნიშნული ქვეყნები ისწრაფვიან ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად მსოფლიო თანამეგობრობაში, რაც კარდინალურად ცვლის მსოფლიოს ადრინდელ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სტრუქტურას.

[1] Spero J., Hart J. The Politics of International Economic Relations, Thomson Wadsworth publishing, 2003, p. 7

აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი (მ. ლებედევა, რ. კოხენი, ს. კრასნერი) სახელმწიფო საზღვრის ტრანსფარენტულობის ზრდაში ხედავენ გლობალიზაციის არსს, "ეროვნული სახელმწიფოების საზღვრები თავდაპირველად გამჭვირვალე გახდა ეკონომიკურ სფეროში. შემდეგ აღნიშნული პროცესი გადავიდა სოციალურ, სამხედრო, პოლიტიკურ და სხვა სახის ურთიერთობებზე, ასევე სხვა რეგიონებზე"[1].

თუმცა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მიგრაციის ზრდის გათვალისწინებით განვითარებული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან სახელმწიფო საზღვრების არა გამჭვირვალობით, არამედ მისი განმტკიცებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო საზღვრები საკმაოდ ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნებს თავის ფუნქციას. აქ მხედველობაში არა გვაქვს სახელმწიფო საზღვრის გამჭვირვალობა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ინფორმაციის გადაადგილებისათვის. როგორც რუსი მეცნიერი ვ. პანტინი აღნიშნავს "სახელმწიფო საზღვრის გამჭვირვალობის ზრდა ატარებს არათანაბარ, შერჩევით ხასიათს (საზღვრები ხდება გამჭვირვალე ისეთი რეგიონული პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შიგნით, როგორიცაა ევროპის კავშირი, ნაფტა, მაგრამ სხვებისათვის საკმაოდ დახურული რჩება)"[2]. როგორც ევროპის კავშირის ევოლუციის ისტორია ადასტურებს, სახელმწიფო საზღვრის გაქრობა ხდება ინტეგრაციული დაჯგუფების განვითარების იმ პერიოდში, როცა მასში შემავალი სახელმწიფოები ხასიათდებიან ეკონომიკური განვითარების თითქმის ერთნაირი — მაღალი დონით და ფორმირებულია პოსტინდუსტრიული ეკონომიკა.

[1] Сборник статей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001
[2] Сборник статьей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001, с. 195

ნათელია, რომ მსოფლიო პოლიტიკური რუკის კარდინალური ცვლილების, ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეღწევადობის ხარისხის ზრდის შედეგად სახელმწიფო საზღვარი გარკვეულწილად კარგავს მნიშვნელობას, მაგრამ არ ქრება, არამედ ხდება უფრო გამჭვირვალე, იძლევა სულ უფრო მეტ შესაძლებლობას საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილებისათვის. საზღვრის გამჭვირვალობა არ ნიშნავს, მისი როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული კატეგორიის გაქრობას.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები ერთმანეთს არა მარტო არ ემთხვევა, არამედ ძირფესვიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენადაც ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი ყოველთვის არ განისაზღვრება მისი ტერიტორიის მოცულობით ან მოსახლეობის სიმრავლით. როგორც ცნობილია, ქვეყნების რეიტინგში ერთ სულ მოსახლეზე მშპ—ის სიდიდით, წამყვანი ადგილები შედარებით პატარა სახელმწიფოებს უკავია, ეკონომიკის ორგანიზაციის საბაზრო მოდელით (იაპონია, ბელგია, გერმანია, შვედეთი და ა.შ).

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მსოფლიო ეკონომიკის არსებითი თავისებურება გახდა გეოეკონომიკის უპირატესი მნიშვნელობა გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიასთან შედარებით. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პოლიტიკას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ეკონომიკაზე, ბოლო წლებში დაქვემდებარებული, უფრო სწორად, ადაპტირებული როლი დარჩა, რომელიც უკვე არ განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებას, არამედ ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკურ ურთიერთობებს, ქვეყნის

როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ კურსს. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებს მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს, რომლებსაც განვითარებად ქვეყნებზე ზემოქმედების ისეთი უწყინარი იარაღი გააჩნიათ, როგორიცაა ფინანსური, ტექნიკური თუ სხვა სახის დახმარება, რომელიც განვითარებული ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური არსენალის უმთავრესი შემადგენელი გახდა, რა თქმა უნდა ტრადიციულ (პოლიტიკურ, სამხედრო) ინსტრუმენტებთან ერთად. თანამედროვე ეტაპზე, ადგილი აქვს გლობალური მასშტაბით პოლიტიკური ურთიერთობების ეკონომიზაციისა და ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაციის მზარდ პროცესს.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ისწრაფვის პოლიტიკური დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დანერგვისაკენ, ანუ შეიძლება ითქვას, მიმდინარეობს მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ერთიანი, საერთო საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი, "თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ლიბერალური ბაზარი არის ყველაზე საუკეთესო ფასეულობები, რომელიც კი შეუქმნია კაცობრიობას"[1].

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი ნეოლიბერალური გლობალიზაციის ეგიდით მიმდინარეობდა, რომელმაც პრაქტიკული გამოხატულება ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის" დოქტრინაში ჰპოვა და რომლის უმთავრესი პრინციპი ეკონომიკის ლიბერალიზაცია, დერეგულირება და პრივატიზაციაა. აღნიშნული დოქტრინა არ წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის ფორმირებისა და მისი შემდგომი განვითარების საუკეთესო ვა-

[1] Анилионис Г, Зотова Н. Глобальный мир, единый и раздеденный, М., 2005, с. 187

რიანტს, რამდენადაც არ ითვალისწინებს განვითარების პროცესში ეროვნული თავისებურებების, კულტურის, თვითმყოფადობის მნიშვნელობას.

„ვაშინგტონის კონსენსუსის" დოქტრინა თანდათანობით ცვლილებებს განიცდის, რაც მას „პოსტვაშინგტონურად აქცევს", უმთავრესად განვითარებაში ეროვნული ფაქტორის გათვალისწინების შედარებითი ზრდის თვალსაზრისით. ნეოლიბერალური გლობალიზაცია ამწვავებს მსოფლიოში არსებულ წინააღმდეგობებს და მათ ზოგიერთ შემთხვევაში უმწვავეს ფორმებს აძლევს, რასაც ადასტურებს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, რომელიც განხორციელდა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს აშშ-ის წინააღმდეგ.

როგორც ამერიკელი მეცნიერი ჯ. საქსი აღნიშნავს "კომუნიზმის დაცემის შემდეგ აშშ-მა ევროკავშირთან და იაპონიასთან ერთად განიზრახა გლობალურ კაპიტალიზმზე გადასვლის ხელმძღვანელობა, სთავაზობდა რა მსოფლიოს ვაჭრობისა და და რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფას, ხოლო სსფ-ის მეშვეობით რუსეთის, ლათინური ამერიკისა და სამხრეთ აზიის ქვეყნების ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში. განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის შეთავაზებული გლობალიზაციის მოდელი, კერძო ინვესტიციები და ამერიკელ ექსპერტთა რჩევები განიხილებოდა საკმარის პირობად საყოველთაო აღორძინებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად"[1]. ამავე დროს, "1991 წლის დასაწყისში, ერაყის წინააღმდეგ დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სამხედრო ოპერაციების დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა წამოაყენა იდეა "ახალი მსოფლიო

[1] The Economist, September, 1998, P. 21-25

წესრიგის შესახებ“[1], რომელიც მსოფლიოში აშშ-ის დომინირებად როლს უსვამს ხაზს და თავისი არსით, ერთპოლუსიანი მსოფლიოს კონცეფციაა.

თუმცა, ერთპოლუსიანი მსოფლიო თვით ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურობით ვერ უზრუნველყოფს და ობიექტურად არც შეუძლია უზრუნველყოს მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარება, მისი ეროვნული, კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნების გამო, ხოლო მსოფლიოს ხალხების ერთგვაროვანი მასის ჩამოყალიბება, ერთიანი კულტურით, ფასეულობებით, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული უტოპიაა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მხრიდან ერთპოლუსიანი საერთაშორისო წესრიგის მიუღებლობა განპირობებულია ეროვნული სახელმწიფოების ინტერესებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობებით და ამ ინტერესების რეალიზაციის განსხვავებული მეთოდებით. როგორც ვ. ინოზემცევი აღნიშნავს “პოსტინდუსტრიული მსოფლიოს სწრაფი ექსპანსია მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც ხშირად მოიაზრება გლობალიზაციის ქვეშ, შეუძლებელია“[2].

გლობალიზებული ეკონომიკა, ლიბერალური დემოკრატიის არსებობის პირობებში აიძულებს სახელმწიფოებს გაატარონ ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე პოლიტიკა. თუმცა, გლობალური ეკონომიკის პირობებში ეროვნულ სახელმწიფოებს შორის არსებული რთული ურთიერთდამოკიდებულება იწვევს აღნიშნული კატეგორიების გარკვეულ ტრანსფორმაციას.

[1] Ломакин В. Мировая экономика, М., Финансы, 1998.
[2] Иноземцев В. Расколотая цивилизация, М., Академия-наука, 1999, с. 606

განვითარებული ქვეყნები, უპირველეს ყოვლისა კი აშშ, უსაფრთხოებას უკვე მთელი მსოფლიოს მასშტაბით იცავენ და ცდილობენ საზოგადოების, ეკონომიკის განვითარების არსებული დონის შენარჩუნება-განვითარებისათვის პლანეტარული მასშტაბით კეთილსასურველი პირობების შექმნას, რომლისთვისაც აქტიურად იყენებენ როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებს, უპირატესად, არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. ასევე, ჩნდება გლობალური ინტერესებისა და გლობალური უსაფრთხოების კატეგორიები, რომლებიც მჭიდრო და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ურთიერთობებშია ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების კატეგორიასთან.

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს შორის ფინანსური რესურსების თავისუფალი გადაადგილება, რაც ეკონომიკური გლობალიზაციის უმთავრესი მახასიათებელია, ცალკეულ ქვეყნებში პოლიტიკური ხელისუფლების შესუსტების რეალურ საფრთხეს წარმოშობს. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. მსოფლიო ეკონომიკის მკვლევარებს შორის გავრცელებულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ “ეკონომიკური გლობალიზაციის პოლიტიკის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს წარმოადგენენ სსფ, მსოფლიო ბანკი და ვმო“[1].

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებშიც გადამწყვეტი ხმის უფლება განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ, ვერ აკონტროლებენ საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებს. საერთაშორისო ეკონო-

[1] Анилионис Г., Зотова Н. Глобальный мир, единый и раздеденный, М., 2005, с.254

მიკური ორგანიზაციების არსებულ სისტემას, მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას არ ძალუძს კრიზისების აღმოფხვრა, რადგანაც ეს ინდივიდუალური ინვესტორებისა თუ ტრანსნაციონალური კომპანიების ე.წ. "ბრბოს ეფექტით" მოქმედების შედეგია, რომლებიც გლობალიზაციის აქტიური მომხრეები და მამოძრავებელი ძალები არიან. საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კრიზისების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ დახმარებას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი გააჩნია, რომელიც უფრო მეტად მიმართულია სოციალური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, ვიდრე კრიზისის აღმოსაფხვრელად ან ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების გასატარებლად. როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯ. საქსი აღნიშნავს "1997-1998 წლების საფინანსო კრიზისმა დაასრულა გლობალიზაციის გარკვეული ეტაპი." ჯ. საქსი აკეთებს დასკვნას, რომ "ათწლეულის განმავლობაში "ვაშინგტონის კონსენსუსმა" მიჩქმალა მსოფლიოს რეალური პრობლემები, რომელიც დაყოფილია მდიდრებად და ღარიბებად, ხოლო სსფ ასრულებდა აღნიშნული კონსენსუსის პირობებს, უზრუნველყოფდა რა აშშ-ს ლიდერობას, ახორციელებდა დიქტატს და ყურადღების მიღმა ტოვებდა მასზე დამოკიდებული ქვეყნებისა და პოლიტიკოსების ინტერესებსა და შეხედულებებს"[1].

მსოფლიო მასშტაბით ტნკ-ების საქმიანობის უმთავრეს ხელშემწყობ ფაქტორს მათი ბაზირების ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს. განვითარებული სახელმწიფოები ყოველმხრივ უწყობდნენ და უწყობენ ხელს მათ გასვლას მსოფლიო ბაზრებზე. ამ ქვეყნებში ხორციელდებოდა მიზანმიმართული

[1] The Economist, September, 1998, P.21-25

პოლიტიკა უდიდესი კომპანიების გასაძლიერებლად. ტნკ-ების საქმიანობა არ არის დაკავშირებული მარტო ეკონომიკურ მიზნებთან, არამედ მას თან სდევს გარკვეული პოლიტიკურ-კულტურული და იდეოლოგიური მიზნებიც. ტნკ-ებს მიმღებ ქვეყნებში საქმიანობის განვითარებით შეაქვთ ბაზირების ქვეყნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რასაც ხშირად "კულტურის ექსპორტს" უწოდებენ, ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ რომ „ბურჟუაზიამ მსოფლიო ბაზრის ექსპლუატაციის გზით ყველა ქვეყნის წარმოება და მოხმარება გახადა კოსმოპოლიტური... მრეწველობის ტრადიციული დარგები განადგურებულია და ნადგურდება ყოვლდღე. მათ დევნიან მრეწველობის ახალი დარგები, რომელთა წარმოება ცხოვრების საკითხი ხდება ყველა ცივილიზებული ერისათვის... ეს თანაბრად ეხება როგორც მატერიალურ, ისე სულიერ წარმოებას. ცალკეული ერის სულიერი საქმიანობის ნაყოფი ხდება საერთაშორისო მონაპოვარი"[1].

გლობალიზაციის მთავარი მახასიათებელია არამარტო მთელი მსოფლიოს მასშტაბით "ფინანსური ან ინფორმაციული ბაზრის ფორმირება, არამედ ფინანსურ-ინფორმაციული სივრცის შექმნა, რომელშიც ხორციელდება კაცობრიობის საქმიანობა. თანამედროვე გლობალურ საფინანსო ბაზარზე კაპიტალის მოძრაობის სიჩქარე პრაქტიკულად ტოლია ინფორმაციის მოძრაობის სიჩქარის და რამდენჯერმე აღემატება ინფორმაციის ანალიზის და მითუმეტეს, მისი გაცნობიერების სისწრაფეს"[2].

[1] Маркс К., Энгелс Ф. Сочинения, 2-е изд. Т. 4, с. 427-428

[2] Практика глобализации: игры и правила новой эпохи, Под. ред. М. Делягина, Инфра – М, 2000, с.137

ინფორმაციული საშუალებები, შეიძლება ითქვას, აპატარავებს მსოფლიოს, ხელს უწყობს განსხვავებული კულტურების ურთიერთობებს, რის შემდეგაც ყოველი მათგანი გარკვეულ დეფორმაციას განიცდის, ითვისებს რა სხვა ცივილიზაციის დადებით თუ უარყოფით თვისებებს.

ტნკ-ები მოქმედებენ რა გლობალური სტრატეგიის მეშვეობით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მიმღები ქვეყნების პოლიტიკაზე, რომლებიც ხშირად იძულებულნი არიან ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრირების სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე მოახდინონ ადაპტაცია ტნკ-ების მოთხოვნებთან. შესაბამისად, მიმღები ქვეყნების მხრიდან ტნკ-ების საქმიანობის კონტროლი მინიმუმამდეა დაყვანილი.

ნათელია, რომ ტნკ-ების განმასხვავებელი თავისებურებაა მათი მხრიდან მიმღები სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის ხარისხი. ტნკ-ებს შეუძლიათ გარკვეულწილად შეცვალონ მოცემული ქვეყნის როგორც შიდა, ასევე საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომლის საფუძველს თავის მხრივ ამ კომპანიების უდიდესი ფინანსური რესურსები წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ ძლიერი ლობის შექმნა მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლებაში, რაც არცთუ იშვიათია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ების როლის გაძლიერების საფუძველს წარმოადგენს: 1. ტნკ-ები ახდენენ ძლიერ ზეგავლენას შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე; 2. შიდა პოლიტიკა განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას; 3. ეროვნული სახელმწიფო ახდენს ტნკ-ებზე თავისი უფლებების გარკვეული ნაწილის დელეგირებას, რომლითაც უკეთესად მიიღწევა ეროვნული ინტერესები; 4. თვით ეროვნული ინტერესების განსაზღვრაში დიდი როლს თამაშობენ ტნკ-ები.

ტნკ-ების და ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიზნების ურთიერთმიმართება დამოკიდებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე. სახელმწიფოს შეუძლია ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე, თუ სახეზეა რამდენიმე აუცილებელი ფაქტორი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია:

- კაპიტალის განვითარებული ბაზარი ანუ ფინანსური რესურსების არსებობა;
- მაღალი ხარისხის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და კვალიფიციური სამუშაო ძალა;
- ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონე და უახლოეს ტექნოლოგიებთან მიღწევადობა;
- სახელმწიფოს მიზანმიმართული, თანმიმდევრული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

ნათელია, რომ აღნიშნული ფაქტორები წარმოდგენილია მხოლოდ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებში, შესაბამისად მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში არასათანადო დონეზეა წარმოდგენილი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორები. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების შემოსვლის წახალისებაა ინვესტიციების დივერსიფიკაციის აუცილებლობის გათვალისწინებით, ცალკეულ ქვეყნებზე ცალმხრივი დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით.

ამრიგად, "ტნკ-ები და სახელმწიფოები მსოფლიო ეკონომიკაში თითქმის ერთნაირი სიძლიერის პარტნიორები გახდნენ, რომლებიც თანამშრომლობენ და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ქმნიან რა გლობალური ეკონომიკის ორი თვისობრივად განსხვავებული მარეგულირებელი ქვესისიტემის გარკვეულ სიმბიოზს"[1].

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესმა და მისმა თანამედროვე პარამეტრებმა გარკვეულწილად გაამწვავა ცალკეული ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის, იურისდიქციის, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული ტრადიციების პრობლემა, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს.

გლობალიზაციის პოლიტიკური განზომილება საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, რომლებიც გეოპოლიტიკური ცვლილებებითაა განპირობებული, ასევე ხასიათდება მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს მონაწილეებს შორის თანაფარდობის ტრანსფორმაციით, რაც ხშირად ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირებასთან ასოცირდება.

[1] Шишков Ю. Внешнеэкономические связы в XX веке – от упадка к глобализации. Ж. МЭ и МО, 2001, №8, с. 21.

11. გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფო

გლობალიზაციის არსისა და მისი ძირითადი დეტერმინანტების შესახებ ნებისმიერი დისკუსია საბოლო ჯამში დაკავშირებულია აღნიშნული ყოვლისმომცველი პროცესის ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე ზეგავლენის საკითხთან. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გლობალიზაციის პროცესიდან მიღებული სარგებელი და საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირება ერთ-ერთ ყველაზე განსჯად საკითხს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებების ძირითადი მიმართულებების წარმომადგენელთა შეხედულებები გლობალიზაციისა და ეროვნული სახელმწიფოების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით:

- რეალისტები ეროვნულ სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო ეკონომიკის ძირითად სუბიექტად განიხილავენ, ურთიერთდამოკიდებულება მათი აზრით ეროვნული სახელმწიფოების მიერ წარმართული პროცესია;
- ლიბერალები ხაზს უსვამენ ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებას და ურთიერთდამოკიდებულების ზრდას განიხილავენ, როგორც პოზიტიურ მოვლენას;
- სტრუქტურალიზმის მიმდევრები, რომლებიც ზოგადად ახლოს დგანან ნეომარქსისტებთან, გლობალიზაციას განიხილავენ, როგორც აბსოლუტურად ნეგატიურ მოვლენას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

ზოგადად, გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციის პირობებში სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება დომინირებს:

- გლობალიზაცია ამცირებს ეროვნული სახელმწიფოს როლს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების პროცესში;
- გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს ეროვნული სახელმწიფოს როლის ზრდას.

ცნობილი მეცნიერი ჩ. კინდელბერგერი 30 წლის წინ ასაბუთებდა, რომ "ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი თითქმის დასრულებულია"[1]. აღნიშნულ შეხედულებას იზიარებენ მსოფლიო ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარი (კ. ომაე, ბ. ბადი, ს. კარაგანოვი და სხვა), რომლებიც ხაზს უსვამენ გლობალიზაციის პირობებში ვესტფალის სისტემის მოდიფიკაციის გარდაუვალობას, ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებას და მისი, როგორც ინსტიტუტის გაქრობის საშიშროებას "ცალკეული სახელმწიფოს ეკონომიკური ნაციონალიზმის პოლიტიკა, რომელიც ტარდება ცალკეული ქვეყნის, მისი მოსახლეობისა და ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების შესაბამისად, ხდება უაზრობა"[2]. ამ შეხედულებას ეხმიანება ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის დ. ბელის მოსაზრება "გლობალიზაციის პირობებში ეროვნული სახელმწიფო ხდება ძალიან პატარა გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად და ძალიან დიდი წვრილმანი პრობლემების გადასაჭრელად"[3].

[1] Глобализация мирового хозяйства, М., 2006, с. 272
[2] Глобализация мирового хозяйства, М., 2006, с. 26
[3] Мировая политика и международные отношения, М., 2006, с.164

გლობალიზაციის პრობლემატურ საკითხთა შორის უმთავრესია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაშემქნელ სუბიექტებს შორის თანაფარდობისა და გლობალური განვითარების მიმართულებებზე მათი ზემოქმედების ხარისხი. არსებითი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს სამ სუბიექტს შორის - ეროვნული სახელმწიფო, ტნკ-ები და საერთაშორისო ორგანიზაციები - თანაფარდობის ტრანსფორმაციის ანალიზს.

მსოფლიო ეკონომიკის ზემოთაღნიშნული სამი ძირითადი ინსტიტუტი დროის სხვადასხვა პერიოდში წარმოიქმნა. 1648 წლიდან (ვესტფალის ზავიდან), საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების უმთავრეს მონაწილეს (შემადგენელს) ეროვნული სახელმწიფო (ეროვნული ეკონომიკა) წარმოადგენს.

ტნკ-ების წარმოშობა დაკავშირებულია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისთან, თუმცა აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მათი როლის ზრდა უპირატესად XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, განვითარებული ქვეყნების ტნკ-ების მიერ საზღვარგარეთ კაპიტალის მასობრივი გატანის დაწყებიდან. ასევე, აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ სწორედ ტნკ-ები წარმოადგენენ ეკონომიკური გლობალიზაციის უმთავრეს მამოძრავებელ ძალას, რომელიც მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაშია განვითარებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ თანამედროვე ეტაპზე, ტნკ-ების წონა მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვნად აღემატება ზოგიერთი სა-

ხელმწიფოს, უპირველეს ყოვლისა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების წონას.

ამდენად, ტნკ-ები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აქტიური მონაწილეები არიან და მათი როლი გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება. ეს ფაქტორი ბადებს არაერთგვაროვან მიდგომებს ტნკ-ების საქმიანობასთან დაკავშირებით და ზოგიერთ სახელმწიფოში მათი საქმიანობა განიხილება როგორც "ახალი იმპერიალიზმის" თანამედროვე ფორმა.

თანამედროვე პერიოდში მოქმედი, ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები II მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, როცა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობამ, წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ, რაც უდაოდ ზრდის და ართულებს ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მოითხოვა გარკვეული მარეგულირებელ-შემათანხმებელი ინსტიტუტების — ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების შექმნა, როგორიცაა გაერო, მისი სპეციალიზებული დაწესებულებებით (საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმები სწორედ აღნიშნული ორგანიზაციების რეცეპტების შესაბამისად წარიმართა. ასევე, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ეს ორგანიზაციები უპირატესად განვითარებული ქვეყნების მიერ იმართება და ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებს ემსახურება.

ნათელია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება უპირატესად დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც უმთავრესად მიმართულია ეკონომიკური განვითარების დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი ამაღლებისაკენ.

გლობალური ეკონომიკის ფორმირება და მისი შემდგომი განვითარება გულისხმობს გარკვეული მარეგულირებელი ორგანიზაციული სტრუქტურების არსებობას, რომელთა მიერ გატარებული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის, როგორც ორგანული მთლიანობის სტრუქტურულ ერთეულებს. აღნიშნული სტრუქტურების მოქმედების არეალი მოიცავს როგორც განსაზღვრულ ტერიტორიებს, ისე მთელ მსოფლიოს. ყოველი სტრუქტურული ერთეულის წარმოშობა დაკავშირებულია განსაზღვრული მიმართულებით მოქმედებასთან ან გარკვეული საქმიანობის ხელშეწყობასთან. ეკონომიკური პროცესების ინტენსიფიკაცია და გართულება, რომელმაც მოიცვა ადამიანისეული საქმიანობის მთელი სპექტრი, განაპირობებდა მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ინსტიტუციური სტრუქტურების განვითარების პროცესს. მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ ინსტიტუციურ სტრუქტურებს განსხვავებული ისტორია, საქმიანობის მიმართულებები და ეკონომიკაზე ზემოქმედების განსხვავებული ბერკეტები გააჩნიათ, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ განსხვავებულ წონას გლობალური ეკონომიკის განვითარების პროცესში.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მასში მოქმედი ინსტიტუციური სტრუქტურების ურ-

თიერთქმედებით, რომელთა შორის უმთავრესია ეროვნული სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები და უდიდესი ტრანსნაციონალური კორპორაციები. აღნიშნული სტრუქტურები გარკვეულ მთლიანობას ქმნიან და როგორც გლობალური მთლიანობის ნაწილები გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან, მაგრამ ყოველი მათგანი შეიცავს იმ საერთო ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მსოფლიო ეკონომიკის ერთიანობას. აღნიშნული სტრუქტურები, ერთი შეხედვით ქმნიან მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მისი თვითგანვითარების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ურთიერთგამაწონასწორებელ სისტემებს.

მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აღნიშნული სამი ინსტიტუტის ევოლუციის პროცესში აშკარად იკვეთება შემდეგი კანონზომიერება: ეროვნული სახელმწიფო დანარჩენ ორ ინსტიტუტზე (საერთაშორისო ორგანიზაციები და ტნკ-ები) ახდენდა გარკვეული ფუნქციების დელეგირებას, უმთავრესად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში. ცნობილია, რომ სსფ შეიქმნა ქვეყნებს შორის სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირებისათვის, ვმო — ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისა და სავაჭრო პოლიტიკის ურთიერთშეთანხმებისათვის. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნიდან ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესში განუხრელად იზრდება საგარეო ფაქტორის როლი. თანამედროვე პერიოდში კი საგარეო ფაქტორი გვევლინება ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს განმსაზღვრელად, რაც თავისთავად ზრდის იმ ორგანიზაციების როლს, რომლებზეც ეროვნულმა სახელმწიფოებმა საგარეო სფეროში

ფუნქციების გარკვეული ნაწილის დელეგირება მოახდინა.

ამავე დროს, გლობალიზაციის პროცესების პარალელურად ვითარდება ე.წ. ფრაგმენტაციის ანუ რეგიონული ტერიტორიული ერთეულების მნიშვნელობის ზრდა საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში, რასაც ზოგჯერ „გლობალურ პარადოქსს“ უწოდებენ. ზოგიერთი მეცნიერი რეგიონების მზარდი როლით და მათი გადასვლით უშუალოდ მსოფლიო დონეზე ხსნის ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებას, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ე.წ. ვესტფალის სისტემის ტრანსფორმაციას.

პოლიტიკური ფრაგმენტაციის პროცესი (რეგიონების მზარდი როლი) ზრდის საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას. ცალკეული რეგიონების მზარდი მნიშვნელობა არ უარყოფს ე.წ. ვესტფალის მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ სახელმწიფოებზე, არამედ პირიქით, ამტკიცებს მას. რეგიონების გასვლა საერთაშორისო დონეზე, მათი მზარდი როლი, სხვა არაფერია, თუ არა მათ მიერ ეროვნული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნიშნების შეძენა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ვესტფალის მოდელის ტრანსფორმაციის პროცესის უარყოფას. პოლიტიკური ფრაგმენტაცის პროცესი ზრდის საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში არასტაბილურობის ნიშნებს, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შეიარაღების პირობებში კიდევ უფრო გაზრდის გლობალური სისტემის არასტაბილურობის ნიშნებს.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები შეიძლება განხილულ იქნას როგორც ჭიდილი სახელმწიფო-ცენტრისტულ და საბაზრო ძალების მეშვეობით მსოფლიო ეკონომიკის თვითრეგულირების შესაძლებლობებს შორის. ყოველივე ეს ნათლად ასახავს უკანასკნელ ათწლეულებ-

ში ეკონომიკის პოლიტიზაციისა და პოლიტიკის ეკონომიზაციის მზარდ მასშტაბებზე გადასული პროცესის სირთულეს.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრებები, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- ანტიგლობალისტური მოძრაობის წარმომადგენელთა მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის სრული მიუღებლობა და მათ მიმართ აშკარა წინააღმდეგობა;
- მოსაზრება, რომელიც მიუთითებს აღნიშნული ინსტიტუტების საქმიანობის არაეფექტიანობაზე და მათი მოდერნიზაციის აუცილებლობაზე. აღნიშნული შეხედულება ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში;
- მოსაზრება, რომელიც ეხმიანება "ბაზრის უხილავი ძალების" მოტრფიალეთა შეხედულებებს და რომლის მიხედვითაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში ყოველგვარი ჩარევა მიუღებელია როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და გლობალურ დონეზე;

ამდენად, XX საუკუნის მიწურულს მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებაში არსებულმა პრობლემებმა გარკვეულწილად შეამცირეს საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი (განსაკუთრებით სსფ) ნდობის ხარისხი.

ხაზგასასმელია, გლობალური მართვის საკითხთან დაკავშირებით არსებული თანამედროვე ოთხი ძირითადი კონცეფციის დეტერმინანტები:

1. მსოფლიო მთავრობის კონცეფცია, რომლიც ეროვნული სახელმწიფოს ე.წ "გადიდებულ მოდელს" წარმოადგენს ანუ გლობალური მთავრობა

შეასრულებს იმ ფუნქციებს საერთაშორისო მასშტაბით, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფოები ასრულებენ ცალკეულ ქვეყანაში;

2. გაერო-ს რეფორმირების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უშიშროების საბჭო შეასრულებს მთავრობის ფუნქციას, ხოლო გენერალური ასამბლეა პარლამენტის ფუნქციას;

3. გლობალური განვითარების პოლიტიკური მართვა ან ჰეგემონი სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში აშშ) ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ნატო-ში, ეთგო-ში და დიდ რვიანში (G8);

4. კორპორატიული გლობალური მართვის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კონცეფციას გლობალიზაციის თეორეტიკოსებს შორის, რამდენადაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებისა და მათი რეალიზაციის კოლექტიურ პროცესს[1].

თუმცა აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები შექმნილია სახელმწიფოების მიერ და სახელმწიფოებისათვის. ისინი მოწოდებული არიან დაარეგულირონ სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობები და არა იმისათვის, რომ განსაზღვრონ მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი.

ამავე დროს, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის ფუნქციები, რომლებსაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ასრულებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. ამ კუთხით საინტერესოა შემდეგი მოსაზრებები[2]:

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 216

[2] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 157-158

- ტნკ-ები ასრულებენ მთავარ როლს გლობალიზებად მსოფლიოში, მაშინ როცა სახელმწიფოები ცდილობენ მხოლოდ ზეგავლენა მოახდინონ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესზე;
- ტნკ-ები არსებითად ზემოქმედებენ ბაზირების ქვეყნის პოლიტიკაზე;
- ტნკ-ები მომავალში უფრო გაძლიერდებიან, შესაძლებელია მათ მოახდინონ საქმიანობის მონოპოლიზაცია;
- სახელმწიფოები კარგავენ კონტროლს ტნკ-ების განვითარების პროცესზე, მაშინ როცა მათ საქმიანობაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესება ვერ ხერხდება;
- ტნკ-ებმა საერთაშორისო წესებისადმი დაუმორჩილებლობის მიზნით შეიძლება შექმნან ალიანსები, რომლებიც წარმატებით გაუწევენ კონკურენციას ეროვნულ სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს;
- ტნკ-ების შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათ შეიძლება გაუჩნდეთ "ძალის გამოყენების კანონიერი უფლების" მოპოვების სურვილი, რომელსაც თანამედროვე პერიოდში მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოები ფლობენ. ასეთ პერსპექტივას აქვს არსებობის უფლება, რამდენადაც ტნკ-ები ეკონომიკურ, ფინანსურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან ერთად წარმოადგენენ მონოპოლისტებს ტექნოლოგიების სფეროში, მათ შორის სამხედრო ტექნოლოგიების სფეროში, რომლებიც სწორედ ტნკ-ების სტრუქტურებში მუშავდება. ამდენად, გარკვეულწილად სამართლიანია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ "თანამედროვე პერიოდში ტნკ-ები მიეკუთვნებიან ყვე-

ლაზე განვითარებულ, ეფექტიან და გავლენიან ორგანიზაციათა ტიპს, რომელიც კი შეუქმნია კაცობრიობას".

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნები ხელს უწყობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც ამ ეტაპზე, უმთავრესად ორიენტირებულია კაპიტალტევად დარგებზე. ამ ქვეყნების სწრაფვა მოიზიდონ უცხოური კაპიტალი, იწვევს სახელმწიფოს როლის გარკვეულ ტრანსფორმაციას და შესაბამისად, ამწვავებს გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ ხასიათს. სწორედ, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაცია განაპირობებს სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაციას განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში და ზრდის ამ ქვეყნებში გლობალიზაციისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში და საერთაშორისო ურთიერთობებში ტნკ-ების მნიშვნელოვანი როლის მიუხედავად, მრავალ სახელმწიფოში (მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა) ასეთი კომპანიების არარსებობა, ასევე ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან გატარებული პოლიტიკის (უპირატესად განვითარებული ქვეყნები) და საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობის გათვალისწინებით, შეუძლებელია უახლოეს პერსპექტივაში ტნკ-ებმა მიიღონ "ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლება".

ვესტფალის ზავიდან დაწყებული XX საუკუნის 70-იან წლებამდე სახელმწიფოს პოლიტიკა განისაზღვრებოდა პრივილეგირებული ფენების ინტერესებით და ემსახურებოდა აღნიშნული ინტერესების რეალიზაციას. აღნიშნულ პერიოდში საზოგადოების სტრატიფიკაციის კრიტერიუმს უმთავრესად მატერიალური პირობები განსაზღვრავდა. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სახელმწიფოს პოლიტიკა (განვითარებული ქვეყნების) სულ უფრო მეტად არის ორიენტირებუ-

ლი საზოგადოების ფართო ფენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ანუ ხდება სახელმწიფოს როლის სოციალიზაცია. აღნიშნული თვალსაზრისით სახელმწიფოს ფუნქცია არ შემცირებულა, არამედ გაფართოვდა, რადგან ემსახურება საზოგადოების ფართო და არა ცალკეული ჯგუფების ინტერესების რეალიზაციას. ეს მოვლენა შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის პროგრესული ევოლუცია, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და კერძო სექტორზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების ლოგიკური შედეგი.

ამავე დროს, სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკის მეშვეობით ძალუძს კეთილსასურველი საგარეო პირობების შექმნა, რომლის საფუძველს ეკონომიკური განვითარების დონე და უდიდესი ტნკ-ების არსებობა წარმოადგენს. შესაბამისად, როცა საუბარია სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაციაზე, ეს ნაკლებად ეხება გლობალური ეკონომიკის სრულყოფილ მონაწილეებს (დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს), უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ს. სახელმწიფოს როლის ტრანსფორმაცია ეხება გლობალური ეკონომიკის არასრულყოფილ მონაწილეებს (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნები). ამ უკანასკნელთ ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში საგარეო ფაქტორის ზრდის გამო, სულ უფრო მეტად უხდებათ სახელმწიფოს მარეგულირებელ და ისტორიულ ფუნქციებზე უარის თქმა. აღნიშნულმა ქვეყნებმა იმისათვის, რომ მოიზიდონ უცხოური კაპიტალი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებს შორის მიმოიქცევა, იძულებულნი არიან უარი თქვან სახელმწიფოს გარკვეულ პრეროგატივებზე. როგორც მაქს ვებერი აღნიშნავდა „ყოველი სახელმწიფო ცდილობდა მოეზიდა თავისუფლად მიმოქცევადი კაპიტალი, ხოლო ეს უკანასკნელი კარნახობდა

პირობებს, რომლის მიხედვითაც ის თანხმდებოდა ემსახურა[1]“.

თუმცა, მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ების როლი ხშირ შემთხვევაში გაზვიადებულია ბაზრის აპოლოგეტების ნაშრომებში, მაშინ როცა სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩოების ჩამომყალიბებელ ინსტიტუტს. ასევე მნიშვნელოვანია ე.წ. “ბაზრის ჩავარდნების“ გათვალისწინება, რომელიც უდავოა, როგორც ცალკეული ეროვნული, ისე რეგიონული და გლობალური ეკონომიკის დონეებზე.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები ვითარდება იმ ფარგლებში, რომელსაც ეროვნული სახელმწიფოები ადგენენ. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გატარებული პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მონაწილეობის მაღალი ხარისხი. ამდენად, ეროვნული სახელმწიფოები (უმთავრესად განვითარებული სახელმწიფოები) იღწვიან იმ წესების გლობალურ დონეზე დასამკვიდრებლად, რომელიც თანხვედრაშია მათ შიდა და საგარეო ეკონომიკურ ინტერესებთან, რაც ხშირ შემთხვევაში ტნკ-ების მიერაა ნაკარნახევი და მათ მიერვე არის ინიცირებული.

სახელმწიფო წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებისა და მათი განხორციელების პროცესში მონაწილე უმთავრეს ინსტიტუტს. სახელმწიფო გლობალიზებად ეკონომიკაში იძენს სხვა ფუნქციებს, რომელთა შორის გამოსაყოფია: საერთა-

[1] Сборник статей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001, с. 195

შორისო წესების შემუშავებაში მონაწილეობა, რომელიც ყოველთვის შიდა ეკონომიკური მიზნებით განისაზღვრება, ამ წესებთან ეროვნული ეკონომიკის ადაპტაცია, ეკონომიკის დაცვა, რაც ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული მიზნითაა განპირობებული, ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში სრულყოფილი ინტეგრირების ხელშეწყობა, რომლიც ძირითადად კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში სრულყოფილი მონაწილეობით და ამ ქვეყნის მოსახლეობის განვითარების დონით განისაზღვრება. ასევე, ეროვნული მწარმოებლებისათვის მისაღები საერთაშორისო წესების დამკვიდრების ხელშეწყობა, შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც უპირველეს ყოვლისა ცალკეულ ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირების, უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს, ორმხრივი და კოლექტიური დიპლომატიის გამოყენება საერთაშორისო წესების დასამკვიდრებლად და ა.შ. თუმცა სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ "პლანეტის ეკონომიკური გაერთიანების კვალდაკვალ მოხდება პოლიტიკური გლობალიზაცია, რომელიც დამთავრდება მსოფლიო მთავრობის წარმოქმნით"[1].

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული სახელმწიფოს როლი ტრანსფორმირდება და ის არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან ფუნქციების დაკარგვას. გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან გლობალურ ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 179

სრულყოფილი ინტეგრირების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას, რომელიც შემდეგი ძირითადი მიმართულებებით ხორციელდება:

1. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება და კონკურეტუნარიანობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების განვითარების ხელშეწყობა;
2. ეროვნული ეკონომიკის ჩართვა რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება-განვითარების ხელშეწყობა;
3. სახელმწიფოს აქტიური სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებისკენ და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისკენ, განსაკუთრებით ეკონომიკის უახლეს დარგებში.

გლობალიზაციის პროცესის განვითარება ეჭვქვეშ არ აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებლობას. გლობალიზაციის განვითარების შედეგად სახეზეა ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციების ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გამოხატულია, როგორც გარკვეული ფუნქციების დაკარგვით, ასევე ახალი ფუნქციების შეძენით.

თანამედროვე მსოფლიოში იცვლება თანაფარდობა მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს სუბიექტებს შორის და აქ აშკარაა ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ ფუნქციებზე უარის თქმა. მსოფლიო ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს ეროვნული სახელმწიფოს შემდეგ ოთხ ფუნქციას:

1. ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების გარანტი;
2. ფულადი მასის პარამეტრებზე კონტროლი;

3. ეროვნული ინტერესების მიზნების შემუშავება და რეალიზაცია;

4. ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ფორმირება და გლობალური ეკონომიკური პროცესებისადმი ეროვნული ეკონომიკის ადაპტაცია[1].

ამდენად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ფუნქციებიდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ეროვნული ეკონომიკის ორგანული, სრულყოფილი ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში. ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. გლობალიზაციის პროცესი ამ ქვეყნების წინაშე აყენებს სპეციალიზაციის, კონკურენციისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის პროფილის გამოკვეთისა და ეროვნული ეკონომიკის გლობალური კვლავწარმოებითი პროცესის შემადგენელ ნაწილად გადაქცევის პრობლემატურ ამოცანას. თუმცა აღსანიშნავია, რომ "გლობალური წარმოების 9/10 ხორციელდება ეკონომიკური სუბიექტების მიერ, რომლებიც არ შედიან ტრანსნაციონალურ კვლავწარმოებით პროცესში"[2].

სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სახის ეკონომიკური, სოციალური და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმოება, რომელიც სისტემურად შეუწყობს ხელს აღნიშნული ფუნქციის რელიზაციას.

სახელმწიფო-ცენტრისტული მიდგომა გლობალიზებად ეკონომიკაში დომინანტურ კონცეფციას წარ-

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 186

[2] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 187

მოადგენს. სახეზეა სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფუნქციების შეძენისა და არა მხოლოდ მათი დაკარგვის პროცესი, რომელიც ხშირად მოიაზრება ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში.

ამავე დროს, მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელ ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკაში ტნკ-ების არარსებობიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები მოკლებულნი არიან ეროვნული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ატრიბუტებს და შესაბამისად, არ ძალუძთ ამ უკანასკნელის ყველა ფუნქციის სრულყოფილი განხორციელება, გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ინსტიტუციურ საფუძველს ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს. აღნიშნული აუცილებელია გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობისათვის რამდენიმე მიზეზის გამო:

- პოლიტიკური ფრაგმენტაციის მიუღებლობა;
- შერეული ეკონომიკური სისტემის მშენებლობის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ფრაგმენტაციის შესუსტება;
- ქონებრივი სტრატიფიკაციიდან ინტელექტის მიხედვით სტრატიფიკაციაზე გადასვლის დაჩქარება;
- არ არსებობს ინსტიტუტი, რომელზეც სახელმწიფოს ყველა ფუნქციის დელეგირება შეუძლია;
- აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნია ტნკ-ები, რომლებზეც ის გარკვეული ფუნქციების დელეგირებას მოახდენდა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში გადამწყვეტი ხმის უფლება განვითარებულ ქვეყნებს აქვთ,

რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს.

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლის გაძლიერების გარეშე გარდაუვალია ცალკეულ ქვეყნებს და საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის უფსკრულის ზრდა, რაც განპირობებულია გლობალიზაციის პირობებში ცალკეული სოციალური ჯგუფების შემოსავლების ასიმეტრიული ზრდით, როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, ამავე საერთაშორისო ინსტიტუტის მოხსენებაში "სახელმწიფო ცვალებად მსოფლიოში" აღნიშნავს "ეფექტიანი ეროვნული სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია მდგრადი განვითარება, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური"[1].

გლობალურ ეკონომიკაში ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელებად ეროვნული სახელმწიფოები რჩებიან, რომლებიც ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციის ხარისხის ზრდის შედეგად ამ ფუნქციებს ზეეროვნულ ორგანოებს გადასცემენ, თუმცა უშუალოდ მონაწილეობენ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

თანამედროვე ეპოქაში, ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან ზეეროვნულ ორგანოებზე გარკვეული უფლებების დელეგირება არ შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ სახელმწიფოთა უფლებების შეზღუდვად. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაბიჯით ეროვნული სახელმწიფოები ცდილობენ ეროვნული ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მიღწევას უკვე რეგიონული და გლობალური მასშტაბით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალური თეორია ეროვნულ სახელმწიფოებს შედარებით მცი-

[1] Мунтян М., Урсул А. Глобализация и устойчивое развитие, М., 2003, с. 201

რე როლს ანიჭებს, გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ინსტიტუციურ საფუძველს ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს.

ეკონომიკური გლობალიზაციის, შესაბამის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ გლობალიზაციასთან სინთეზში განვითარება წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული გლობალური ეკონომიკის ფორმირების უმთავრეს ინსტრუმენტსა და საშუალებას.

12. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ევოლუცია: ძირითადი დეტერმინანტები

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე საყოველთაო გლობალიზაციის პროცესი ხაზს უსვამს საერთაშორისო ეკონომიკურ და მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს შორის არსებულ განსხვავებას.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი ასახავს წესრიგის გარკვეულ ფორმას ანუ ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების იმ პრინციპების ერთობლიობას, რომლებსაც ეფუძნება ქვეყნებს შორის არსებული საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი გულისხმობს წესრიგს როგორც ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობებში, ასევე წესრიგს ცალკეული ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მოიცავს საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს და გულისხმობს წესრიგს შიდა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ურთიერთგანპირობებულია.

XX საუკუნის მე-2 ნახევარში მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურმა წესრიგმა ცვლილებების ორი ეტაპი განვლო: პირველი ეტაპი მოიცავს II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს 80-იანი წლების ჩათვლით, როცა მსოფლიო სამ ნაწილად იყო დაყოფილი: კაპიტალისტური, სოციალისტური და განვითარებადი, ე.წ. "მესამე სამყარო", რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ეკონომიკური განვითარების დონით, ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათით, მსოფლმხედველობით და ა.შ.

მეორე ეტაპია XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი, როცა სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ გარკვეულწილად შესუსტდა დასავლეთ-აღმოსავლეთის წინააღმდეგობა, მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის სამხედრო-იდეოლოგიური წინააღმდეგობის მოსპობით, რასაც ადასტურებს ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების სწრაფვა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისაკენ. შედეგად, წინა პლანზე წამოიწია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა და სიმძიმის ცენტრი ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ სფეროზე გადავიდა. ორი ანტაგონისტური ბლოკის მთავარი სახელმწიფოები - აშშ და საბჭოთა კავშირი - ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ორბიტაში მოექციათ სხვა სახელმწიფოები, უმთავრესად "მესამე სამყაროს" ქვეყნები. ორ სისტემას (კაპიტალისტური და სოციალისტური) შორის წინააღმდეგობები მოიცავდა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მთელ სპექტრს: როგორც პოლიტიკურ, ასევე იდეოლოგიურ, ეკონომიკურ, სამხედრო სფეროებს.

გლობალიზაციისაკენ სწრაფვა XX საუკუნის მეორე ნახევრის მთავარი პოლიტიკური მიმართულება იყო, რომელშიც თავისებური წვლილი შეჰქონდა საბჭოთა კავშირსაც. გლობალიზაციისკენ სწრაფვაში აღნიშნულ ქვეყნებს შორის განსხვავება იყო ის, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმის, კომუნიზმის იდეებს იყენებდა, რაც შეიძლება დახასიათდეს როგორც სოციალისტური გლობალიზაცია ანუ გლობალიზაცია იდეოლოგიის მეშვეობით.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, კომუნიზმის, როგორც უტოპიური იდეოლოგიის დასამარებამ დაამტკიცა სოციალისტური გლობალიზაციის უპერსპექტივობა. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით აშშ დე-

მოკრატიის, სიტყვის თავისუფლების, კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის იდეებით გამოდიოდა, რასაც ეკონომიკურ-პოლიტიკური გლობალიზაცია შეიძლება ეწოდოს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განვითარებული ქვეყნების, განსაკუთრებით კი აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო.

XX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული წინააღმდეგობების გარდა არსებობდა წინააღმდეგობები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, ე.წ. ჩრდილოეთ-სამხრეთის წინააღმდეგობა, რომელიც უმთავრესად პოლიტიკურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა და თავისი სიმწვავით ჩამორჩებოდა კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის არსებულ ყოვლისმომცველ წინააღმდეგობას.

II მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო წესრიგი და მათ შორის საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი ეფუძნებოდა აშშ-ს წამყვან როლს მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში. აშშ წარმოადგენდა ე.წ. კაპიტალისტური სისტემის შიგნით არსებული წესრიგის განმსაზღვრელ სახელმწიფოს. აღნიშნული პერიოდი გაგრძელდა 1971 წლის 15 აგვისტომდე, როცა აშშ-ს პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა უარი განაცხადა დოლარის ოქროზე ფიქსირებული კურსით გაცვლაზე. ამავე პერიოდისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის განმსაზღვრელი სამი ფუძემდებლური ფაქტორის არსებობა:

1. ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმი აშშ დოლარის წამყვანი როლით;

2. ვაჭრობის ლიბერალიზაცია ამ საკითხზე მრავალმხრივი მოლაპარაკებების ინტენსიფიკაციით;
3. აშშ-ს ეკონომიკური დახმარება დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და იაპონიისადმი, რომელიც ძირითადად ემსახურებოდა აშშ-ს მოკავშირეების რიცხვის ზრდას.

ამდენად, II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდებოდა აშშ-ს ჰეგემონური როლით ე.წ. კაპიტალისტური სისტემის შიგნით და ის წარმოადგენდა ჰეგემონს, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

სოციალისტური სისტემის შიგნით საერთაშორისო წესრიგი ემყარებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის პრინციპებს მისთვის დამახასიათებელი საკმაოდ პრიმიტიული ხასიათის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში უბრალო საქონელგაცვლით შემოიფარგლებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ II მსოფლიო ომის შემდეგ "აშშ-ს საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიის "მარშალის გეგმის" საწინააღმდეგოდ, საბჭოთა კავშირმა შეიმუშავა ე.წ. "მოლოტოვის გეგმა" რომლის განხორციელებაც დამთავრდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფორმირებით"[1].

ამავე დროს, განსხვავდებოდა ცალკეული საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ფუძემდებლური პრინციპები. კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი ეფუძნებოდა საბაზრო ეკონომიკის განსხვავებულ მოდელებს, ვაჭრობის ევოლუციური ლიბერალიზაციის პრინციპს და

[1] Повалихина Т. История мировой экономики и международных экономических отношении, М., 2007,с. 172

საბოლოო ანგარიშით, საბაზრო და ღია ეკონომიკის თანდათანობით დამკვიდრების კონცეფციას.

სოციალისტური სისტემის ფარგლებში საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ძირითად დეტერმინანტებს წარმოადგენდა გეგმიანი ეკონომიკა, სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი, საბაზრო პრონციპების არარსებობა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო მართვადობის მაღალი ხარისხი.

ამავე დროს, XX საუკუნის 60-იან წლებამდე დასავლეთ ევროპის და იაპონიის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს ომის დროს დანგრეული ეკონომიკის აღდგენა წარმოადგენდა. თუმცა, აღნიშნული პერიოდიდან დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის მხრიდან ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მიღწევის შემდეგ, აშშ კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში ეკონომიკური თვალსაზრისით აბსოლუტური ჰეგემონიდან "შეფარდებით ჰეგემონად" გარდაიქმნა.

XX საუკუნის 70-იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა განვითარებადი ქვეყნების სწრაფვამ "ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის" დასამკვიდრებლად. 1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურმა სესიამ მიიღო დეკლარაცია "ახალი საერთაშორისო წესრიგის შესახებ" და „სამოქმედო პროგრამა", რომლის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინატს ეროვნული სახელმწიფოების როლის ზრდა წარმოადგენდა მიმღები ქვეყნების მხრიდან ტნკ-ებისათვის ქცევის წესების შემუშავების აუცილებლობის თვალსაზრისით. იმავე წლის დეკემბერში, განვითარებადმა ქვეყნებმა სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოების მხარდაჭერით, გაერო-ს გენერალური ასამბლეის მომდევნო სესიაზე მიაღწიეს „სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტიის" მიღებას, რომელიც ავსებდა და აკონკრეტებდა წინა დადგენილებას მსოფლიო ეკონომიკის რეგულირების შესახებ"[1].

ამავე დროს, "1976 წელს რომის კლუბმა გამოაქვეყნა მეცნიერთა ჯგუფის მოხსენება "მსოფლიო წესრიგის" შესახებ ცნობილი ეკონომისტის ი. ტინბერგენის რედაქციით[2]". თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ კონცეფციების ძირითადი პარამეტრები შეუსრულებელი დარჩა, რაც განპირობებული იყო მრავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზით, მათ შორის, ორი ანტაგონისტურად განწყობილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არსებობით.

"ახალი საერთაშორისო წესრიგის" კონცეფცია ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციას და მასში ჩადებული იდეები პროტექციონისტული თეორიების ძირითდი პრინციპების გათვალისწინების შედეგს წარმოადგენდა. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ევოლუცია მიმდინარეობდა ლიბერალურ და პროტექციონისტულ კონცეფციებს შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობებით.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ყველა კონცეფცია შემოსაზღვრული იყო მხოლოდ ე.წ. კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებით და ის ნაკლებად ეხებოდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს. ამ პერიოდამდე მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი რეალურად არ არსებობდა და წარმოადგენდა კაპიტალისტური, სოციალისტური და

---

[1] Грани глобализации: Трудные вопросы современного развития, М.,Альпина Паблишнер, 2003, с. 134.

[2] Грани глобализации: Трудные вопросы современного развития, М.,Альпина Паблишнер, 2003, с. 135.

Пересмотр международного порядка, Под редакцией Я. Тинбергена. М., 1973

ე.წ. "მესამე სამყაროს" ქვეყნების მონაწილეობით არსებულ საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგთა ერთობლიობას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო გახდა ერთპოლუსიანი სისტემა. აღნიშნული პერიოდიდან, აშშ-ს და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში წესრიგი, ანუ საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი, დაფუძნებულია ქვეყნებს შორის აღნიშნული ურთიერთობების ლიბერალიზაციაზე, რაც გამოიხატება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციით. ამავე დროს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შიდა ეკონომიკური ურთიერთობებიც ძირითადად ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებს ეყრდნობა. აქედან გამომდინარე სწორედ ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზმი წარმოადგენს არსებული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის წინააღმდეგობრივი ხასიათის უმთავრეს განმაპირობებელ მიზეზს და ობიექტური აუცილებლობით აყენებს ახალი სამართლიანი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონცეფციის შემუშავების საკითხს.

13. გლობალური მართვის თეორიულ-ინსტიტუციური ასპექტები

გლობალიზაციის ისტორიულმა პროცესმა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სპონტანურად ვითარდებოდა, XX საუკუნის ბოლოს სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების თანხვედრიდან გამომდინარე მიაღწია განვითარების იმ დონეს, როცა მისი მართვა ობიექტური აუცილებლობა გახდა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გლობალურ დონეზე გარკვეული მასშტაბით მართვადი პროცესი.

საერთაშორისო დონეზე მარეგულირებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა პერიოდში დაიწყო. თუმცა, გლობალიზაციის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთგამაწონასწორებელი ინსტიტუციური სტრუქტურებით ინტეგრირებული მსოფლიოს აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს გლობალური წინააღმდეგობების შესუსტებას.

მსოფლიო წესრიგის პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტები განსხვავებული, მაგრამ მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის საფუძველი გლობალიზაცია და ლიბერალიზაციაა. რაც შეეხება მსოფლიო წესრიგის პოლიტიკურ კომპონენტებს, აქ უმთავრესია პოლიტიკური დემოკრატიის გავრცელების პროცესები საერთაშორისო ურთიერთობების ახალი, სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბების მეშვეობით.

ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, გლობალიზაციის როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ხელ-

შემწყობ ფაქტორად გადაქცევა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მოდერნიზაციის პროცესთან. მსოფლიო ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს ე.წ "ეკონომიკური გაეროს" შექმნის შესახებ, რომელიც პოლიტიკურისგან განსხვავებით, ნაკლებ ბიუროკრატიულ ორგანიზაციად უნდა ჩამოყალიბდეს, რამდენადაც ფინანსური რესურსები გადაადგილების მაღალი სისწრაფით გამოირჩევა და შესაბამისად, მოითხოვს რეგულირების უფრო მეტ სისწრაფეს და ეფექტიანობას, ვიდრე პოლიტიკური პროცესები.

თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების რეფორმირება. აღსანიშნავია, რომ არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების რეფორმირების საკითხი იხილება თვით აღნიშნული ორგანიზაციების სპეციალისტების მიერ "საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობისადმი კრიტიკული მიდგომა პირობითად შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს... მეოთხე ჯგუფი კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აგრეთვე მსოფლიო ბანკის წამყვანი ექსპერტების შეხედულებებს მოიცავს ფონდის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ[1]". ასევე, აშშ თანამედროვე ეტაპზე, კრიტიკულად არის განწყობილი ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ როგორიცაა სსფ, მსოფლიო ბანკი, ვმო და აქტიურად განიხილება მათი რეფორმირების აუცილებლობის საკითხი, "რომლებმაც უნდა აიღონ დამატებითი პასუხისმგებლობა განვითარების, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ჯანდაცვის, განათლების პრობლემების გადაწყვეტაზე[1]". აღნიშნული ორგანიზაციების დახმარებები განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისადმი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მიმართულ იქნეს ამ ქვეყნებში განათლების დონის ამაღლებისაკენ და არა მოკლევადიანი პრობლემების გადაწყვეტისაკენ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, გლობალიზაციის დადებითი შედეგებით სარგებლობა პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის განვითარების დონეზე და სწორედ საზოგადოების განვითარების, განათლების დონის ამაღლება უნდა წარმოადგენდეს საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირების უმთავრეს მიზანს.

[1] პაპავა ვლ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში, მიღწევები და შეცდომები, თბ., 2001, გვ. 36-37

გლობალური რეგულირების თავისებურ ხედვას გვთავაზობს ინგლისელი მეცნიერი ე. გიდენსი, რომლის მიხედვითაც გლობალური მართვის სისტემა შეიძლება ჩამოყალიბდეს იგივე სქემით, რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის კავშირის პოლიტიკურ ინსტიტუტებს: წარმომადგენლობითი ორგანო (პარლამენტი), ადმინისტრაციული (კომისია) და მთავრობათაშორისი ორგანო (მინისტრთა საბჭო), ასევე სრულუფლებიანი სასამართლო, მაგალითად: ვმო, სსფ და მსოფლიო ბანკი შეიძლება ერთ ორგანოდ გაერთიანდეს, ხოლო გაერო დაიყოს პარლამენტად და საბჭოდ. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია უნდა გაფართოვდეს გლობალურ დონემდე და გააძლიეროს პრეროგატივები თანამედროვე ევროპის კავშირის უფლებების დონემდე.

რამდენადმე განსხვავებულ კონსტრუქციას გვთავაზობს ცნობილი გერმანელი მეცნიერი, სოციოლოგი უ. ბეკი. როგორც გიდენსი, უ. ბეკიც თვლის, რომ

[1] Загладин Н. США: общественно-политическое развитие на рубеже нового века, Ж. МЭ и МО, 2001, №5, с. 13

ევროპის კავშირს შეუძლია იქცეს ისეთ ინსტიტუციურ წარმონაქმნად, რომელიც ეფექტიან წინააღმდეგობას გაუწევს ნეოლიბერალურ გლობალიზაციას და თავისი ბრიტანელი კოლეგისაგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ ევროპის კავშირი უნდა გახდეს „ტრანსნაციონალურ სახელმწიფოთა სისტემის“ მხოლოდ ერთი ელემენტი, რომელსაც ძალუძს გლობალიზაციის შემობრუნება კონსტრუქციულ ჩარჩოში[1]“. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ევროპის კავშირის ინსტიტუციური სტრუქტურა წარმოადგენს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის, საზოგადოების ნაყოფს და ნაკლებ სავარაუდოა ის წარმატებით მოერგოს მსოფლიოში არსებულ ინდუსტრიულ-აგრარულ საზოგადოებებს.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში უმთავრეს როლს თამაშობს გლობალური ეკონომიკის სრულყოფილი მონაწილეების — დიდი შვიდეულის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრები, რომელიც 1975 წელს იღებს სათავეს და ყოველწლიურ ხასიათს ატარებს. ცნობილია, რომ აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილება მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემატური საკითხები და ხდება მათი გადაწყვეტის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ამ შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებები თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

თუმცა, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში “დიდი რვიანის მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა“[2]. ამის მიზეზად მკვლევარებს მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში გამართულ სამიტებზე სულ უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა “დიდი რვიანის“ ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების განხილვას და აქცენტი უფრო მეტად საერთაშორისო ტერორიზმისა და საერთაშორისო უსაფრთხოების გლობალურ საკითხებს ეთმობა. ეს ხდება იმ პერიოდში, როცა აღნიშნული ქვეყნების წინაშე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პრობლემები დგას (უმუშევრობა, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, ინფლაცია და ა.შ).

[1] Перегудов С. Неолиберальная глобализация: есть ли альтернатива, Ж. МЭ и МО, 2002, №4, с. 25-26

[2] Большая восьмерка: возрождение лидерства, Ж Россия в глобальной политике, №2, 2003

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პერსპექტივები ეჭვქვეშ აყენებს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ქმედითუნარიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში და მათ შესაბამისობას გლობალიზებული ეკონომიკის განვითარების რეალიებთან. გლობალური ეკონომიკის ფორმირება მოითხოვს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ფუნქციების ტრანსფორმაციას. აუცილებელია აღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან ეროვნული სახელმწიფოს გარკვეული ფუნქციების ან უკიდურეს შემთხვევაში სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაციის განხორციელება.

ამ კუთხით არსებული მოსაზრებებიდან აღსანიშნავია მსოფლიო მთავრობისა და მისი შესაძლო კონფიგურაციის საკითხი. ახალი საერთაშორისო წესრიგის კონცეფციებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ე.წ. “მსოფლიო გენერალური კომიტეტის“ ფორმირების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც საჭიროა გლობალური მართვის ცენტრალური ორგანოს ჩამოყალიბება აშშ-ს, იაპონიის და ევროკავშირის ქვეყნების მონაწილეობით[1].

[1] Циганков П. Теория международных отношении, М., 2006, с. 485

მსოფლიო მთავრობის იდეასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებას ვარაუდობს XX საუკუნის შუა პერიოდში (ტ. ბოსველი, ჟ. უაგარი) ან საუკუნის ბოლოს. აღნიშნულ იდეასთან დაკავშირებით საინტერესოა ჯ. სტიგლიცის მოსაზრება იმის თობაზე რომ "სამწუხაროდ, არ არსებობს მსოფლიო მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ყველა ქვეყნის მოსახლეობის წინაშე და გააკონტროლებდა გლობალიზაციის პროცესს მეთოდებით, რომლებიც თანაფარდობაში იქნებოდა იმ მეთოდებთან, რომელთა მეშვეობითაც ეროვნული მთავრობები მართავდნენ მოსახლეობის განათლების პროცესებს"[1].

მსოფლიო მთავრობის ფორმირების აუცილებლობის საკითხი პირდაპირ კავშირშია ჭეშმარიტად გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობასთან და ფუნქციონირების მსაგავსი ხასიათის მქონე გლობალური ეკონომიკის ფორმირების სისწრაფესთან.

გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების პერსპექტივა გარკვეულ არგუმენტებს მატებს ე.წ. "მსოფლიო მთავრობის" იდეას. თუმცა, რამდენად მისაღები იქნება ეს ეროვნული სახელმწიფოებისათვის და რამდენად ქმედითუნარიანი იქნება აღნიშნული ინსტიტუტი, მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ ბუნდოვანია. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეროვნული სახელმწიფოები პასუხს აგებენ კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის და არა გლობალური საზოგადოების წინაშე, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ ყოველთვის არ დაემთხვეს მათი ეროვნული და მსოფლიო თანამეგობრობის გლობალური ინტერესები.

[1] Stiglitz Joseph E. Globalization and Its Discontents, 2002

მსოფლიო მთავრობის იდეამ, რომელიც ამ ეტაპზე საკმაოდ უტოპიურად გამოიყურება, შესაძლებელია გრძელვადიან პერსპექტივაში გარკვეული კონტურები შეიძინოს. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია ყოველგვარ ბარიერებს მოკლებული გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების პროცესთან. გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების სისწრაფე თავის მხრივ განვითარებული ქვეყნების შიდა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზეა დამოკიდებული.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერების მოსაზრებას, რომლებიც მიუთითებენ "გლობალიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ან გაერო-ს შესაბამისი ქვედანაყოფის" შექმნის აუცილებლობაზე"[1]. მიგვაჩნია, რომ უპრიანია გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემადგენლობაში "გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების" კომისიის ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციონირების უმთავრესი მიზანი იქნება ცალკეული ქვეყნისათვის გლობალიზაციის პრობლემების მეტ-ნაკლები ზომით დაძლევის, მსოფლიოში გლობალიზაციის დადებითი ეფექტების სიმეტრიული განაწილების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კომისიაში ყველა ქვეყნის თანასწორუფლებიანობა, მათი ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის წესით და მათი სავალდებულო ხასიათი როგორც ეროვნული სახელმწიფოებისათვის, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციები-

[1] მესხია ი., კვარაცხელია ვ. გლობალიზაციისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის საკითხისათვის, ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა", 2003, №3, გვ. 112-113.

სა და ინდივიდუალური ინვესტორებისათვის. ყოველივე ზემოთაღნიშნული გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოების მიერ, მათი განვითარების დონისა და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეოეკონომიკური ურთიერთობების ცალკეული მიმართულებების (კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების მოძრაობა) ლიბერალიზაციის გარკვეულ რეგულირებას აღნიშნული კომისიის მეშვეობით.

ამ მექანიზმის სრულყოფილი ამოქმედება შეასუსტებს გლობალიზაციისადმი ნეგატიურ დამკიდებულებას და შექმნის პირობებს, როცა ლიბერალიზმზე და არა ულტრალიბერალიზმზე დაფუძნებული გლობალიზაცია დაამტკიცებს თავის პროგრესულობას. ამ კომისიის ჩამოყალიბებით შეიქმნება გლობალიზაციის პროცესის მარეგულირებელი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც თვითდამკვიდრების შემდეგ შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ავტონომიურ უნივერსალურ ორგანიზაციად - "მეგაეკონომიკის და გლობალიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის" სახელწოდებით. ასევე მიზანშეწონილია აღნიშნულ გლობალურ ინსტიტუტში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ორგანული ინტეგრირება და მისი მეშვეობით ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი პროცესის პლანეტარული მასშტაბით რეგულირება.

ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციას არაერთგვაროვანი შედეგები მოაქვს მსოფლიოს ცალკეული რეგიონის ქვეყნებისათვის, აუცილებელია ამ ორგანიზაციაში ჩამოყალიბდეს გლობალიზაციის რეგიონული კომიტეტები აფრიკისათვის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებისათვის, აზიის ქვეყნებისათვის, ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის (ცნობილია, რომ რეგიონული კომიტეტები არსებობს გაერო-ს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში).

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბება ეროვნული სახელმწიფოებს (განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს) გლობალიზაციის ნეგატიური ასპექტების შესუსტება-აღმოფხვრის შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, აღნიშნული კოლექტიური ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელშიც გაერო-ს ყველა წევრი სახელმწიფო გაწევრიანდება, გარკვეულწილად გაზრდის ეროვნული სახელმწიფოს როლს გლობალიზაციის პროცესის რეგულირებაში და საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკაში.

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესმა არ უნდა უარყოს ეროვნული სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში.

14. რეგიონული ინტეგრაციის კონცეფციების შედარებითი ანალიზი

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წინააღმდეგობრივად განვითარებად პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესს წარმოადგენს, სადაც ნათლად ვლინდება წინააღმდეგობრივი ურთიერთობები ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპების თანაფარდობას შორის.

გლობალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური თეორიების ჭრილში განხილვა წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების მიზეზების, მიზნებისა და თვისებურებების გაცნობიერების უმთავრეს შესაძლებლობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ დისციპლინათაშორისი და ინტერდისციპლინარული მიდგომაა ცალკეული პროცესებისა თუ მოვლენების შეცნობის საუკეთესო ინსტრუმენტი. ინტეგრაციისა და გლობალიზაციის კვლევა, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკურ-პოლიტიკური ფენომენია, სწორედ ეკონომიკურ-პოლიტოლოგიურ მიდგომას მოითხოვს, რაც მოვლენის ცალმხრივ ინტერპრეტაციას გამორიცხავს და პროცესს მასზე ზემოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით განიხილავს.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარებისას ძირითადად ორი მიმართულება დომინირებს:

1. ბაზრების ურთიერთდაახლოების საფუძველზე ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა;
2. ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც სახელმწიფოს მაორიენტირებელი როლით ძლიერდება;

ცნობილია, რომ გლობალიზაციის და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურ კონცეფციებს, რომლებშიც ხაზგასმულია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის მნიშვნელობა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინტეგრაციის ეკონომიკური თეორიები ლიბერალური საერთაშორისო ვაჭრობის ზოგადი თეორიის ნაწილია და ადრინდელი მკვლევარები (ა. სმითი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი) ყურადღებას უპირატესად საერთაშორისო ვაჭრობის შედეგებზე ამახვილებდნენ.

თუმცა, XX საუკუნის მე-2 ნახევარში ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების შედეგად გაფართოვდა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის კვლევის საგანი და ის მოიცავდა არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობას, არამედ ეკონომიკური ურთიერთობების მთელ სპექტრს (კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მობრაობა, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ა.შ).

ეკონომიკური ინტეგრაციის შედარებით გვიანდელ თეორიებში (ადრეული ნეოლიბერალიზმი, გვიანი ნეოლიბერალიზმი, სტრუქტურალიზმი, დირიჟიზმი, ნეოკენსიანელები და ა.შ) აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკური ინტეგრაციის ცალკეულ ასპექტებზე (ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირება, საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეთანაწყობა, კოორდინაცია, უნიფიკაცია და ა.შ)[1]. ამავე დროს, ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული მიმართულებების წარმომადგენლები ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში

[1] მსოფლიო ეკონომია, გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001, გვ. 406-408.

უპირატესობას ხშირ შემთხვევაში კომპანიებს ანუ საბაზრო ძალებს ანიჭებენ.

ცნობილი ჰოლანდიელი ეკონომისტი ი. ტინბერგენი განასხვავებს "პოზიტიურ" და "ნეგატიურ" ინტეგრაციას. ნეგატიური ინტეგრაცია გულისხმობს საქონლის, მოსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობის გზაზე ბარიერების უბრალო გაუქმებას, რასაც როგორც ეკონომიკური თეორიიდანაა ცნობილი თან ახლავს კონკურენციის ზრდა, ფასების შემცირება, პროდუქციის ხარისხის ზრდა და საბოლოო შედეგით, ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება. პოზიტიური ინტეგრაცია კი გულისხმობს რეგულირების გარკვეული წესებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომლებიც კიდევ უფრო ზრდიან საქონლის, მომსახურების და წარმოების ფაქტორების მობილურობას. აღნიშნულ მოსაზრებაშიც წინა პლანზეა წამოწეული ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირებისა და ზეეროვნულ დონეზე ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობა.

ბ. ბალასას უმთავრესი დამსახურებაა ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების სტადიების ერთიანი, მდგრადი კონცეფციის ჩამოყალიბება. რეგიონული ინტეგრაციული პროცესების პირველი ეტაპია თავისუფალი ვაჭრობის ზონა. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემთხვევაში ინტეგრაციული დაჯგუფების წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერები მცირდება ან უქმდება. ამავე დროს, ინტეგრაციის პირველ საფეხურზე, ინტეგრაციული დაჯგუფების წევრი ქვეყნები მესამე ქვეყნების მიმართ ავტონომიურად აწესებენ საბაჟო გადასახადებს. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმება მთლიანად შეესაბამება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონცეფციას, რომელიც მიმართულია ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ. აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შემთხვევაში არ ხდება ზეეროვნული მარეგულირებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბება ანუ არ მიმდინარეობს პოზიტიური ინტეგრაცია. ამავე დროს, მსოფლიოში არსებული ინტეგრაციული დაჯგუფებების უმრავლესობა სწორედ თავისუფალი ვაჭრობის ზონის საფეხურზე იმყოფება, რაც განპირობებულია სახელმწიფოთა სწრაფვით, შეინარჩუნონ ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების უფლება, ანუ ადგილი აქვს ნეგატიურ ინტეგრაციულ პროცესებს.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების შედარებით მაღალი საფეხურია — საბაჟო კავშირი. ინტეგრაციული გაერთიანების შიგნით სავაჭრო შეზღუდვები უქმდება. მესამე ქვეყნების მიმართ ტარდება ურთიერთშეთანხმებული სავაჭრო პოლიტიკა და წესდება ერთიანი საბაჟო გადასახადები. საბაჟო კავშირიც ასევე ვმო-ს წესების ფარგლებში მოქმედებს და ადგილი არა აქვს პოზიტიურ ინტეგრაციას.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარების შემდგომი საფეხურია საერთო ბაზარი, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ინტეგრაციული დაჯგუფების შიგნით საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას. საერთო ბაზრის შემთხვევაში გარკვეულწილად ადგილი აქვს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას. საერთო ბაზრის ჩამოყალიბება მრავალი სამართლებრივი ნორმის ჰარმონიზაციას გულისხმობს. ამ შეთხვევაში კავშირი გადის ვმო-ს კონცეფციის ფარგლებს გარეთ, მაგრამ პოზიტიურ ინტეგრაციას ჯერ კიდევ არა აქვს ადგილი.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების შემდეგი საფეხურია ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბება, რომელიც გულისხმობს გარკვეული მიზნების მისაღწევად ეკონომიკური პოლიტიკის შეზღუდულ კოორ-

დინაციას. სწორედ ამ საფეხურზე იწყება პოზიტიური ეკონომიკური ინტეგრაცია.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების უმაღლესი საფეხურია სრული ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ფულად-საკრედიტო და სოციალური პოლიტიკის უნიფიკაციას, ერთიანი ვალუტის შემოღებას, ერთიანი ცენტრალური ბანკის არსებობას და ა.შ. ამ შემთხვევაში უკვე სახეზეა პოზიტიური ინტეგრაცია.

მსოფლიოში არსებული ინტეგრაციული გაერთიანებებიდან მხოლოდ ევროკავშირმა შეძლო თანმიმდევრულად გაევლო ინტეგრაციული პროცესების ყველა ზემოთაღნიშნული საფეხური, რაც იძლევა შესაძლებლობას ევროკავშირს ინტეგრაციული პროცესების კლასიკური მაგალითი ვუწოდოთ.

ასევე არსებობს "ბაზრების ინტეგრაცია" და "პოლიტიკის ინტეგრაცია" ანუ ინტეგრაცია "ზემოდან" პოლიტიკური ფაქტორების პრიმატით, და ინტეგრაცია "ქვემოდან" ანუ ეკონომიკური ფაქტორების პრიმატით. ინტეგრაციული პროცესების ისტორია სწორედ "ბაზრების ინტეგრაციის" ანუ "ქვემოდან" ინტეგრაციის უპირატესობას ადასტურებს.

ცხადია, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ინტეგრაციისა და გლობალიზაციის სტატიკურ და დინამიკურ ეფექტებს შორის. სტატიკური ეფექტები ვლინდება ინტეგრაციული პროცესის ან ქვეყნის გლობალურ ეკონომიკაში ჩართვის დაწყებისთანავე ანუ იმ პირობებში, როცა ქვეყნის ეკონომიკა იწყებს ფუნქციონირებას ღია ეკონომიკის პრინციპზე დაფუძნებით. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის დინამიკური ეფექტები ვლინდება გრძელვადიან პერიოდში, რაც უპირატესად ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებში, რესურსების ოპტიმალურ განაწილებაში და ზოგადად, ეკონომიკის საერთო ეფექტიანობის

ზრდაში გამოიხატება. სწორედ, პოზიტიური დინამიკური ეფექტების მაქსიმიზაცია წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციას.

ინტეგრაციის ეკონომიკურ თეორიაში პირველად ბ. ბალასამ მოახდინა ეკონომიკური ინტეგრაციის დინამიკური ეფექტების სისტემატიზაცია და ინტეგრაციული დაჯგუფების წევრი-ქვეყნების მშპ-ს ზრდაზე ინტეგრაციის ზეგავლენის შეფასება. ბ. ბალასას მიხედვით ინტეგრაციის დინამიკური ეფექტებია:

1. წარმოების გაფართოების შედეგად მასშტაბის ეკონომია, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის გაფართოება აძლევს ფირმებს და ცალკეულ დარგებს იმ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც არ იყო გამოყენებული ინტეგრაციული პროცესების დაწყებამდე;
2. საგარეო ეკონომია, რომელიც გამოიხატება მთლიანად ეკონომიკაში სპეციფიკური დანახარჯების შემცირებით;
3. პოლარიზაციის ეფექტი, რომელიც გამოიხატება ბაზრების გახსნის შედეგად ცალკეული ქვეყნის არაკონკურენტუნარიანი დარგებიდან წარმოების ფაქტორების გამონთავისუფლებაში;
4. რეალური ინვესტიციების განთავსებაზე ზემოქმედება;
5. საერთო ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედება.

თავისუფალი ვაჭრობის ზონის და საბაჟო კავშირის უპირატესობებს ა. მ. ელ-აგრას კონცეფციის მიხედვით მიეკუთვნება:

1. შეფარდებითი უპირატესობის კანონის შესაბამისად სპეციალიზაციის გაღრმავების შედეგად წარმოების ეფექტიანობის ზრდა;

2. წარმოების მოცულობის ზრდა მასშტაბის ეკონომიის ეფექტის უკეთ გამოყენების შედეგად;
3. კონკურენციის გამწვავების შედეგად წარმოების ეფექტიანობის ამაღლება;
4. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად წარმოების ფაქტორების რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები.

ეკონომიკური ინტეგრაციის შედარებით მაღალი ეტაპი იძლევა დამატებით უპირატესობებს:

1. წარმოების ფაქტორების მობილურობის ამაღლება ბარიერების მოსპობის შედეგად;
2. ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის კოორდინაცია;
3. ეკონომიკური ზრდის, სრული დასაქმების და შემოსავლების სამართლიანი განაწილების ინტეგრაციული დაჯგუფების ქვეყნების საერთო მიზნად გადაქცევა;

აქვე აღსანიშნავია პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლების განსაკუთრებული წვლილი ინტეგრაციის თეორიის განვითარებაში. საერთაშორისო ინტეგრაციის პოლიტიკური თეორიებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ფედერალიზმი, ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი, ახალი და ისტორიული ინსტიტუციონალიზმის კონცეფციები.

ფედერალიზმის მიმართულების წარმომადგენლები ასაბუთებენ ზეეროვნული მარეგულირებელი ორგანოების არსებობის აუცილებლობას, რომელთაც უკეთესად შეუძლიათ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა, ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებს. ამდენად, ფედერალიზმის წარმომადგენლები გარკვეულწილად ასუსტებენ ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში და უპირატესობას ზეეროვნულ ორგანოებს ანიჭებენ.

ფუნქციონალისტები ეწინააღმდეგებიან ფედერალიზმის და ე.წ. "მსოფლიო მთავრობის" შექმნის იდეას, რომელიც საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე ეპოქაშიც. აღსანიშნავია, რომ ფუნქციონალისტების ბევრი იდეა გამართლდა, მათ შორის მრავალი სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციების (ვმო, სსფ და ა.შ) წარმოქმნა, რომელთა საქმიანობაც მსოფლიო ეკონომიკის კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტადაა მიმართული.

ნეოფუნქციონალიზმის მიმართულების წარმომადგენლები ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოლიტიკურ ფაქტორს ანიჭებენ და მათი აზრით, ინტეგრაცია სპონტანური პოლიტიკური ურთიერთქმედების შედეგია, რომელიც ობიექტურად განაპირობებს ზეეროვნული რეგულირების აუცილებლობას. ნეოფუნქციონალისტების აზრით, ზეეროვნული რეგულირება ხელს შეუწყობს ინტეგრაციულ დაჯგუფებაში მყოფი ქვეყნების საერთო ინტერესების გამოვლენას და რეალიზაციას. ამავე დროს, ზეეროვნული რეგულირება მიჩნეულია რეგიონული ინტეგრაციული პროცესების წარმატებული ფუნქციონირების ყველაზე მყარ გარანტად. ამ მიმართულების წარმომადგენელთა აზრით, ზეეროვნული ორგანოები ფლობენ მდგრადობის უფრო მეტ ხარისხს, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოები.

ამრიგად, სამივე პოლიტიკური კონცეფციის (ფედერალიზმის, ფუნქციონალიზმის და ნეოფუნქციონალიზმის) საერთო დამახასიათებელი თავისებურებაა ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირება.

საერთაშორისო ინტეგრაციის პოლიტიკური თეორიებიდან მხოლოდ ახალი ინსტიტუციონალიზმის და ისტორიული ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები ანიჭებენ გარკვეულ მნიშვნელობას ეროვნული სა-

ხელმწიფოების როლს ინტეგრაციულ პროცესებში, თუმცა ასევე მიუთითებენ რეგულირების ზეეროვნული ორგანოების მნიშვნელობაზე.

ორივე მიმართულების წარმომადგენლების აზრით "ინსტიტუტებს აქვთ მნიშვნელობა", თუმცა განსხვავებულია მათი შეხედულებები ინსტიტუტების ფუნქციონირების მიმართულებებზე. ახალი ინსტიტუციონალისტების აზრით, ზეეროვნული ინსტიტუტები სასარგებლოა ეროვნული სახელმწიფოებისათვის და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პრიმატზე მიუთითებენ, ხოლო ისტორიული ინსტიტუციონალისტები ხაზს უსვამენ ცალკეული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას და მათ აქტიურ პოლიტიკურ როლს.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარების ანალიზისას ყურადღება მახვილდება ინტეგრაციული პროცესების საფუძვლებზე. ამ კუთხით არსებულ მოსაზრებებს შორის მთავარია:

1. საბაზრო ძალების ურთიერთქმედება ან ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის ობიექტური საფუძვლების არსებობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფაქტორი არასაკმარისი პირობაა რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის (ეკონომიკური ფაქტორი).
2. ფორმალური ინტეგრაციული ჯგუფების ჩამოყალიბება, როცა ცალკეული სახელმწიფოები, მათ შორის გაფორმებული შეთანხმებების შესაბამისად ქმნიან ინტეგრაციულ ჯგუფებს (პოლიტიკური ფაქტორი). თუმცა აღნიშნულიც არასაკმარისი პირობაა წარმატებული ინტეგრაციისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ეკონომიკურ-პოლიტიკური თეორიების მოკლე მიმოხილვიდან ნათელია, რომ აღნიშნული პროცესების განვითარებაში ეროვნული სახელმწიფოს როლი ერთი შე-

ხედვით შესუსტების, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო ეკონომიკის სხვა მონაწილეების (ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები) მნიშვნელობა გაძლიერების ტენდენციით ხასიათდება.

წარმატებული ეკონომიკური ინტეგრაცია რთული, კომპლექსური მოვლენაა, რომელიც უპირატესად ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების სინთეზის საფუძველზე ვითარდება. მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების ისტორია ადასტურებს "ბაზრების" ანუ ეკონომიკური ფაქტორების პრიმატით განპირობებული ინტეგრაციის უპირატესობას პოლიტიკური ფაქტორების პრიმატით განპირობებულ ინტეგრაციასთან შედარებით.

შესაბამისად, რეგიონული ინტეგრაცია და გლობალიზაცია უპირატესად ეკონომიკური ფენომენია და სწორედ ეკონომიკური ურთიერთობების ინტესიფიკაცია და გაღრმავება წარმოადგენს ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების განვითარების საფუძველს. ამდენად, ვერ დავეთანხმებით საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "გლობალიზაცია არც მთლად ეკონომიკური მოვლენაა, ისტორიულ პერსპექტივაშიც ის უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური მოვლენა[1]".

[1] Линдси Б. повторение пройденного, пер. с английского, М., 2006, с. 26.

15. გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაცია: ერთიანობა და წინააღმდეგობრივი ხასიათი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელ ტენდენციებს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესებს შორის შეინიშნება გარკვეული შიდა წინააღმდეგობები. აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის გარკვეული შეუთავსებლობისა და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის თაობაზე "საერთაშორისო რეგიონალიზაცია წარმოადგენს გლობალიზაციის დიალექტიკურ უარყოფას, რადგან რეგიონული კავშირები მოიცავს მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებს"[1].

ნათელია, რომ რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციისა და გლობალიზაციის განვითარების წინააღმდეგობრივი ურთიერთობების თეორიული ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ეპოქაში.

რეგიონული ინტეგრაცია ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ფენომენია, რომელიც ძირეულად ცვლის სახელმწიფოს (როგორც ინსტიტუტის) ფუნქციონირების თავისებურებებს. რეგიონალიზმი თანამედროვე მსოფლიო განვითარების უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა, რაც თავის მხრივ მსოფლიოში, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მსოფლიო წესრიგის ცვლილებების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.

გლობალიზაციის, ისევე როგორც რეგიონული ინტეგრაციული პროცესების სირთულე და წინააღმდეგობრივი ხასიათი განპირობებულია შემდეგი უმთავრესი მიზეზებით: 1. ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების შეუსაბამობა, ანუ ზოგადად ეკონომიკას და პოლიტიკას შორის წინააღმდეგობა, რომელიც ხშირად სახელმწიფოსა და ბაზრის წინააღმდეგობად განიხილება და 2. ლიბერალიზმის თეორიას და პროტექციონისტულ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა.

[1] Глобализация мирового хозяйства, М., 2006, с. 16

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში, ცალკეული ქვეყანა შესაძლოა ჩაერთოს პირდაპირ, ანუ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობის გარეშე, რაც დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის სტრატეგიაზე, მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსზე, თუ რა ფორმით ჩაერთოს ის გლობალიზაციის ობიექტურ პროცესში. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან რეგიონული ინტეგრაციული პროცესები ინტენსიურად ვითარდება, იქმნება ახალი დაჯგუფებები და ცალკეული სახელმწიფოები წარმოდგენილნი არიან არაერთ ინტეგრაციულ გაერთიანებაში. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ამავე პერიოდს ემთხვევა გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება.

გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება ობიექტური აუცილებლობაა. თუმცა გლობალურ დონეზე ეროვნულ ეკონომიკებს შორის თანამშრომლობის ტემპებისა და ეკონომიკური ურთიერთობების მრავალმხრივი მარეგულირებელი წესების შემუშავების შენელება, რომლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ვმო-ს ფარგლებში ე.წ. "განვითარების რაუნდის" (დოჰას რაუნდი) შეფერხება, მნიშვნელოვნად ზრდის რეგიონული ინტეგრაციული ჯგუფების მნიშვნელობას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალური მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირების შეუძლებლობა უბიძგებს ეროვნულ სახელმწიფოებს გააღრმავონ ეკონომიკური ურთიერთობები რეგიონულ ფარგლებში. ამ თვალსაზრისით რეგიონული ინტეგრაციული პროცესები წარმოადგენს პასუხს გლობალური მართვის ეფექტიანი სისტემის არ არსებობაზე.

ამავე დროს, რეგიონული ინეტგრაციული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის ყველაზე წარმატებულ და აპრობირებულ ფორმას სავაჭრო და სავალუტო პოლიტიკის ურთიერთშეთანხმებისათვის. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გლობალური, გლობალიზებული ეკონომიკა ფორმირების პროცესშია და ამ ეტაპზე, მსოფლიო ქვეყნების ნაწილი გლობალიზებული ეკონომიკის მილმა იმყოფება. რეგიონული ინტეგრაცია ასევე წარმოადგენს რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის უფრო ეფექტიანი და სამართლიანი მექანიზმების გამოყენების ინსტრუმენტს, რომლებზეც არ არის მიღწეული შეთანხმება მრავალმხრივ, გლობალურ დონეზე.

რეგიონული ინტეგრაცია არის თანამშრომლობის გაღრმავების უმთავრესი ინსტრუმენტი და ინტეგრაციული პროცესების მსგავსი მიმართულებით განვითარება დასტურია იმისა, რომ ამ ეტაპზე ჩამოყალიბებული საერთაშორისო წესრიგი არ შეესაბამება ცალკეული ქვეყნის ინტერესებს. რეგიონული ინტეგრაციული პროცესები ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ განვითარებული ქვეყნები ეწინააღმდეგებიან შიდა ბაზრის გახსნას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის

ქვეყნების პროდუქციისათვის (კერძოდ, შრომატევადი და აგრარული პროდუქცია).

გლობალური ეკონომიკის პირობებში ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ყველა ეროვნული ეკონომიკის საერთო მახასიათებელ ნიშანს, მათი განვითარების დონის მიუხედავად. შესაბამისად, რეგიონული ინტეგრაციის პროცესები ღებულობს გლობალურ მასშტაბებს. აღნიშნული პროცესი უმთავრესად განპირობებულია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ინტეგრაციული პროცესების პოზიტიური ზეგავლენით. ამ მოსაზრებას ადასტურებს ევროკავშირის განვითარების ისტორია და მისი ფუნქციონირების თავისებურებები. ევროკავშირი ეკონომიკური ინტეგრაციის კლასიკურ და ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესზე ინტეგრაციის გაღრმავების პოზიტიური ეფექტის გავრცელების შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენს. ევროპის საგალუტო-ეკონომიკური კავშირის შექმნა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება არ ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესს.

თანამედროვე ეტაპზე, ეროვნულ სახელმწიფოთა მხრიდან ეკონომიკური განვითარების სტიმულირების მიზნით მიმდინარე რეგიონალიზაციის პროცესები შეიძლება განვიხილოთ როგორც გლობალიზაციის ყოვლისმომცველი პროცესის ევოლუციური და გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი განვითარება. თუმცა, ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებები არ წარმოადგენენ ჩაკეტილ ციხესიმაგრეებს ნათელია, რომ რეგიონალიზაცია, უფრო სწორად კი ღია რეგიონალიზმის პრინციპზე დაფუძნებული რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება გლობალიზაციის წინა ეტაპს

წარმოადგენს და ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური "ინტეგრაცია გლობალიზაციის პროცესით ძლიერდება"[1]. ამდენად, გარკვეულწილად გაუგებარია ზოგიერთი მეცნიერის პოზიცია, რომლებიც გლობალიზაციაში ლამის "მსოფლიო კატასტროფას" მოიაზრებენ, ხოლო მის საფუძველს ინტერნაციონალიზაციას და მისგან გამომდინარე რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებს ობიექტურ მოვლენად მიიჩნევენ.

რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ანალიზისას იკვეთება შემდეგი კანონზომიერება: განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა განვითარების იგივე დონის ქვეყნებთან ნაკლები სარგებლის მომტანია, ვიდრე განვითარების შედარებით მაღალი დონის სახელმწიფოებთან. ამას ძირითადად განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ეკონომიკის ერთგვაროვანი სტრუქტურა, რაც აფერხებს დარგთაშორისი ვაჭრობის განვითარებას;
- განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ძირითად საექსპორტო პროდუქციას შრომატევადი პროდუქცია და ნედლეული წარმოადგენს, რაც თავის მხრივ დიფერენციაციის ნაკლები ხარისხით ხასიათდება. შესაბამისად, შიდადარგობრივი ვაჭრობის განვითარების პოტენციალი საკმაოდ დაბალია;
- აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთშევსებადობის პოტენციალი საკმაოდ მცირეა, რაც წარმატებული ინტეგრაციული პროცესების განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა;

[1] ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 48

გლობალიზაციის პროცესი ეროვნულ ეკონომიკურ მოდელებზე მოქმედებს აღნიშნული მიმართულებითაც. ცნობილია, რომ ინტეგრაციული პროცესები გააქტიურდა სწორედ გლობალიზაციის მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელ მოვლენად ჩამოყალიბებისა და გამოკვეთის პერიოდში. გლობალიზაცია, იძულებულს ხდის ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი მოდელის ქვეყანას ჩაერთოს რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში.

ამავე დროს, ნათელია, რომ ინტეგრაციული პროცესები უპირატესად ევროპული პოსტინდუსტრიული ეკონომიკების მახასიათებელი თავისებურება გახლდათ. თუმცა, ბოლო პერიოდში ინტეგრაციული პროცესებისკენ სწრაფვა წარმოადგენს ყველა ეროვნული ეკონომიკის მახასიათებელ თავისებურებას, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების მოდელებისა.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში ეროვნული ეკონომიკებისათვის რეგიონალიზმის უპირატეს მნიშვნელობას ადასტურებს XX საუკუნის 90-იან წლებამდე შეიძლება ითქვას „ჩაკეტილი ეროვნული ეკონომიკების" მონაწილეობა ინტეგრაციულ პროცესებში. ამ უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ ჩინეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეის ეროვნულ ეკონომიკებს, „ჩინეთის წინსვლამ ეკონომიკის რეფორმების გზაზე... მისი ეკონომიკური გავლენის ზრდამ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში და მსოფლიო ეკონომიკაში ერთ-ერთ ლიდერად მისი გადაქცევის პერსპექტივამ შექმნა ახალი პირობები მეზობელი სახელმწიფოების დაახლოებისათვის. სამმა ქვეყანამ, (ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა) გადალახავს რა მწარე ისტორიული მემკვიდრეობა და არსებული პო-

ლიტიკური უთანხმოებანი, დაადგნენ აღმოსავლეთ-აზიური თავისუფალი ბაზრის ფორმირების გზას[1]".

ინტეგრაციული დაჯგუფებების წარმატებით ფუნქციონირების მაგალითი არც ისე ბევრია. წარმატებული ეკონომიკური ინტეგრაციისათვის აუცილებელია რამდენიმე წანამძღვრის არსებობა. ამ უკანასკნელიდან უმთავრეს როლს თამაშობს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის არსებობა, ან აუცილებლობას წრმოადგენს თუნდაც ერთი პოსტინდუსტრიული სახელმწიფოს არსებობა, რომელიც ინტეგრაციული პროცესების ლოკომოტივის როლს ითამაშებს. ამ უკანასკნელ თეზისს ადასტურებს ევროპის კავშირის ისტორია. ევროპის ქვეყნების გადასვლა ინტეგრაციული პროცესების უმაღლეს საფეხურზე – ეკონომიკურ და სავალუტო კავშირზე მოხდა მის ცალკეულ სახელმწიფოებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების შემდეგ.

ასევე აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესების შედეგად კონკურენციის გამწვავებამ ობიექტური აუცილებლობით მოითხოვა ქვეყნებს შორის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ ინტეგრაციული პროცესების საწინდარია. ასე მაგალითად, „ევროკავშირის უახლეს ათწლეულში ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიის შემმუშავებელი ავტორების ამოსავალი წერტილია, რომ კვლევითი სამუშაოებისათვის აუცილებელი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების საჭიროება მუდმივად იზრდება და არცერთ ევროპულ სახელმწიფოს არ ძალუძს დამოუკიდებლად უზრუნველყოს ტექნოლო-

[1] Федоровский Д. Развитие интеграционных процессов в АТР: роль и приоритеты Южной Кореи. Ж. МЭ и МО, 2001, №6, с. 55-57

გიური გარღვევები, რომლებიც ახალი ბაზრის „დაპყრობის" გარანტია იქნება"[1].

ეროვნული ეკონომიკების ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის წარმატებულობა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების დონეზე. აგრარულ-ინდუსტრიულ სტადიაზე წარმატებული ინტეგრაცია შეუძლებელია. ამას ადასტურებს ინტეგრაციის წარუმატებლობა აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში. ამას უმთავრესად განაპირობებს შემდეგი მიზეზები: 1. აღნიშნული სახის ქვეყნები უფრო მეტად არიან დამოკიდებულები და უფრო ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ განვითარებულ ქვეყნებთან, ვიდრე ერთმანეთთან. აქ უმთავრესია აღნიშნული ქვეყნების ტექნოლოგიური დამოკიდებულება განვითარებულ სახელმწიფოებზე. 2. თანამედროვე ეტაპზე რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვისას ესა თუ ის სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკურ მიზეზებს, ვიდრე ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპს.

ცნობილია, რომ რეგიონალური ინტეგრაციული პროცესები ხელს უწყობს მასში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ანუ მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის დონის ამაღლებას, რაც პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების ერთი წინაპირობაა. ამავე დროს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეგიონული ინტეგრაცია არის ძლიერი ხელშემწყობი პირობა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისათვის.

ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყნების ინტეგრაციული დაჯგუფებების განუვითარებლობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მათი გრძელვადიანი მიზნები,

[1] Шелюбская Н. Глобализация и кооперация в сфере ниокр, Ж. Проблеми теории и практики управления, 1999, №6

რომლებიც განვითარებული ქვეყნების ინტეგრაციულ ბლოკებში ჩართვას გულისხმობს. ამას ადასტურებს აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების სწრაფვა გაერთიანდნენ ევროკავშირში, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი, ასევე ლათინური ამერიკის ცალკეული ქვეყნების (ეკვადორი, გვატემალა, სალვადორი) ძალისხმევა შეუერთდნენ ნაფტას. ამრიგად, ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყნების ინტეგრაციული დაჯგუფებები წარმოადგენენ გარდამავალ ეტაპს ანუ საფეხურს, რომელიც აუცილებელია განვითარებული ქვეყნების ინტეგრაციულ დაჯგუფებებში გაწევრიანებისათვის.

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ზემოთაღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ბევრი მკვლევარი მიუთითებს, მოსალოდნელია სამი უდიდესი ინტეგრაციული დაჯგუფების წარმოქმნა (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, ევროკავშირი, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები იაპონიისა და ჩინეთის წამყვანი როლით. აღნიშნულ რეგიონებში (ლათინური ამერიკის ქვეყნები, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, ჩინეთის გარდა) პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების შემდეგ ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ ევროპის კავშირის ანალოგიურ დაჯგუფებად (ერთიანი ვალუტით).

გლობალიზაციის პირობებში, ყოველი ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებას წარმოადგენს არა ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა თავისთავად (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისათვის იმავე დონის ქვეყნებთან), არამედ მიერთება (გაწევრიანება) იმ ინტეგრაციულ დაჯგუფებებთან, რომლებშიც წარმოდგენილი არიან განვითარებული ქვეყნები.

თუმცა, რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარებას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც განვითარების განსხვავებულ საფეხურებზე იმყოფებიან, გააჩნია განვითარების პოტენციალი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციით და ერთიანი მონეტარული და სამრეწველო პოლიტიკის გატარებით. გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში აქტიური ჩართვის და მათი მონაწილეობით არსებული დაჯგუფებების ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის დადებითი ეფექტი იქნება: 1. აღნიშნული ქვეყნები აქტიურად იქნებიან ჩართული გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში. 2. ამ ქვეყნების განვითარებულ ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხი შემცირდება. 3. აღნიშნული ურთიერთობები ხელს შეუწყობს ინტეგრაციულ პროცესში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. 4. ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების თანმდევი, დადებითი პოლიტიკური, სოციალური ეფექტი საკმაოდ მაღალია. 5. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს გლობალური, კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ უფრო მშვიდობიანი მსოფლიოს საწინდარია. ამ ქვეყნების ფარგლებში რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება ხელს შეუწყობს მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას, მათ საექსპორტო დარგებს მჭიდროდ დააკავშირებს ეკონომიკის სხვა დარგებთან, რაც აღნიშნულ ქვეყნებს ნაკლებად დამოკიდებულს გახდის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკისაგან.

მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს საცვლელი კურსების მართვის ღონისძიე-

ბების კოორდინირება, რომლიც ერთიან ფულად ერთეულზე გადასვლის წინაპირობას შექმნის ინტეგრაციული პროცესების წარმატებისათვის აუცილებელი სხვა წინაპირობების უზრუნველყოფის ფონზე.

როგორც, გაერო-ს ვაჭრობის და განვითარების კონფერენციის მოხსენებაშია აღნიშნული, მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებადი ქვეყნების ინტეგრირებიდან მოგების მიღება დამოკიდებულია:

1. შიდა საწარმოო პოტენციალის, კვალიფიკაციის და ტექნოლოგიების განვითარების დონეზე;
2. ბაზრის მხარდაჭერის ინსტიტუტების განვითარებაზე;
3. ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე[1].

ასევე, განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარება ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებში პუი-ს მოზიდვას და მათ მიერ კოლექტიური დიპლომატიის ეფექტიან გამოყენებას გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ეფექტიანი ინტეგრირების უზრუნველყოფის მიზნით.

გლობალიზაციის და რეგიონალიზაციის ურთიერთკავშირის განხილვისას არსებითია შემდეგი: რეგიონალიზაციის პროცესი არ ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესს, არამედ წარმოადგენს გლობალიზაციის ევოლუციური განვითარების ამ ეტაპისთვის დამახასიათებელ თავისებურებას. ამდენად, იკვეთება გლობალიზაციის და რეგიონული ინტეგრაციის ურთიერთმიმართების შემდეგი კანონზომიერებები:

- გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაცია წარმოადგენს დიალექტიკურად განვითარებად პროცესს;

[1] UNCTAD, Доклад о торговле и развитии, 2007

- რეგიონულ ინტეგრაციას სახელმწიფოები განიხილავენ გლობალიზებულ ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხის ამაღლების ინსტრუმენტად;
- რეგიონალიზაცია წარმოადგენს გლობალიზაციის უარყოფითი ასპექტების შერბილების ინსტრუმენტს;
- რეგიონული ინტეგრაცია წარმოადგენს ეტაპს გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების გზაზე;
- რეგიონული ინტეგრაციის პროცესების განვითარების შემდეგ შესაძლებელი ხდება გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირება;

მსოფლიო ეკონომიკაში რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ტენდენციის გაძლიერების მიუხედავად, თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული პროცესი არ ხასიათდება სტაბილური თანმიმდევრულობის პრინციპით, რაც თავის მხრივ დასტურდება მსოფლიოში მრავალი რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფების ინტეგრაციული პროცესების პირველ საფეხურზე — თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე შეჩერებით. "საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებების რიცხვი 20-დან 1990 წელს გაიზარდა 159-მდე 2007 წელს. ბოლო 20 წლის განმავლობაში ასეთი სახის შეთანხმებები ძირითადად ორმხრივ დონეზე ფორმდებოდა და მეტწილად განვითარებად და განვითრებულ ქვეყნებს შორის"[1]. აღნიშნული განპირობებულია ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპთან შედარებით სახელმწიფოთა მიერ პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპზე უპირატესობის მინიჭებით.

რეგიონული ინტეგრაციის პროცესი არის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციის საფუძველზე განვითარებული რთული ეკონომიკურ-პოლი-

[1] UNCTAD, Доклад о торговле и развитии, 2007

ტიკური ფენომენი, სადაც ინტეგრაციის პოზიტიური ეკონომიკური ფაქტორები (საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალის და სამუშაო ძალის მიგრაცია) ეროვნულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ მიზნებთან ერთად გარკვეულ სიმბიოზს ქმნიან და ინტეგრაციული პროცესების წარმატებისა და გლობალიზაციის ნეგატიური ასპექტების შემცირების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენენ. ცალკე აღებული ეკონომიკური ეფექტიანობისა და პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე წარმოქმნილი ინტეგრაციული გაერთიანებები ვერ უზრუნველყოფენ ინტეგრაციული დაჯგუფების წარმატებულ ფუნქციონირებას, ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურებზე გადასვლას და საბოლოო ჯამში, გლობალიზაციის უარყოფითი ასპექტების მინიმიზაციას.

თანამედროვე ეტაპზე თანამშრომლობის გაღრმავება მიმდინარეობს არამარტო ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკებს (რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვით), არამედ თვით რეგიონულ ინტეგრაციულ ბლოკებს შორის, რაც გლობალიზაციის როგორც ეროვნულ ეკონომიკებზე და მათი ფუნქციონირების მოდელებზე, ისე რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებზე ზემოქმედების მახასიათებელია.

როგორც ცნობილია, 1997 წელს დაიდო თანამშრომლობის შეთანხმება „მერკოსურს“ და ევროკავშირს შორის, ასევე ნაფტას და ევროკავშირის ეკონომიკური პოტენციალის გაერთიანების საფუძველზე გადაწყვეტილია ახალი ტრანსატლანტიკური ეკონომიკის წარმოქმნა. აღსანიშნავია, რომ 1996 წელს შეიქმნა კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია — ასემი, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის და ასეანის ქვეყნებს, იაპონიას, ჩინეთს, სამხრეთ კორეას. ყოველივე ზემოთაღნიშნული მიუთითებს ეროვნული ეკონომიკების სწრაფვისაკენ შეათანხმონ რეგიონა-

ლიზმის და გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

ამრიგად, ცალკეული ქვეყნის მხრიდან მეგაეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის, გლობალიზაციის პოზიტიური ეფექტების მაქსიმიზაციისა და მისი ნეგატიური ასპექტების შესუსტების ერთ-ერთი უმთავრესი გზაა ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, რომელიც არ უარყოფს სახელმწიფოს წარმმართველ როლს ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისა და მათი განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის თვალსაზრისით.

16. გლობალური ეკონომიკა, როგორც განვითარებადი სისტემა

გლობალიზებადი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების ერთიან საფუძველს ქმნის. გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს ემყარება და გლობალური ეკონომიკური სისტემის განვითარების მიმართულებებსა და დინამიზმს განსაზღვრავს.

გლობალური ეკონომიკა ფორმირების პროცესშია. რამდენად სწრაფად არის შესაძლებელი გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირება? ეკონომიკის გლობალიზაციის, გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ვექტორზე, რომელიც უმთავრესად მიმართულია ეკონომიკური განვითარების დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მისი ამაღლებისაკენ. ნათელია, რომ აღნიშნული პროცესის განვითარების ტემპები დამოკიდებულია განვითარებული ქვეყნებისა და მათი ტნკ-ების ინტერესებზე.

გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების იდეა სიცოცხლისუნარიანია იმ საზღვრამდე, სანამ ტნკ-ების ინტერესები ემთხვევა განვითარებული ქვეყნების ეროვნული მთავრობების ინტერესებს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის წარმოების შედეგად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხელს შეუწყობს გლობალური ეკონომიკის ფორმირების დაჩქარებას. ეკონომიკური ნაციონალიზმის გაძლიერება განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად დაამუხრუჭებს გლობალიზებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. გლობალიზებული ეკონომიკის ფორმირების მხარდასაჭერად ეროვნული სახელმწიფოები იძულებულნი არიან შეინარჩუნონ სოციალური სტაბილურობა და შეანელონ პროტექციონისტული განწყობის გაძლირება ანუ შეინარჩუნონ "საშუალო ფენის" სტაბილურობა და ხელი შეუწყონ მის განვითარებას.

გლობალური ეკონომიკის ფორმირება და მისი შემდგომი განვითარება არის რთული, წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებული ეროვნული ინტერესებიდან, რადგან ხშირ შემთხვევაში რთულია ლიბერალური ბაზრის პრინციპების ეროვნული ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ მიზნებთან შეხამება და ამავდროულად სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ უარყოფს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობას. თუმცა, საჭიროა ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის პოლიტიკის თავსებადობა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან და რაც მთავარია, აუცილებელია საბაზრო მექანიზმის მოქმედების მაღალი ხარისხი, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მაორიენტირებელი ფუნქციით ივსება. თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარება ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს გლობალიზაციის პოლიტიკისა და ცალკეული ქვეყნის (განსაკუთრებით გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები) ინტერესებს შორის თავსებადობის მაღალ ხარისხს.

გლობალური ეკონომიკის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო განვითარებული

ქვეყნებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების პოლიტიკაზე, არამედ მასზე დიდ გავლენას ახდენს გლობალური პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტა აღემატება ნებისმიერი სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ძალას და მოითხოვს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ძალისხმევის კონსოლიდაციას.

გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განვითარება თავის მხრივ წარმოშობს ახალ პრობლემებს, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს (კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, სამუშაო ძალის მიგრაცია და ა.შ), რომ არაფერი ვთქვათ ეკოლოგიურ პრობლემებზე.

ზემოთაღნიშნული პრობლემები ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში უფრო მეტ სიმწვავეს იძენს. წმინდა საბაზრო მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ აღნიშნული პრობლემების გადაჭრას და რამდენადაც ლიბერალიზაციის პირობებში ეროვნული სახელმწიფოს როლი აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში შეზღუდულია და პრობლემები ატარებს გლობალურ ხასიათს, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს გლობალური, ზეეროვნული რეგულირების აუცილებლობაზე.

სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობის შედეგად საერთაშორისო სავალუტო კრიზისების აღმოსაფხვრელად აუცილებელია კაპიტალის გადაადგილებაზე გადასახადის დაწესება, მსოფლიოში არსებულ ოფშორულ ცენტრებში აქტივების განთავსების მარეგულირებელი ქმედითი მექანიზმის შემუშავება. ფულადი კაპიტალის გადაადგილებაზე გადასახადის დაწესების იდეა ეკუთვნის ცნობილ ეკონომისტს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჯ. ტობინს, რომლის მიხედვითაც უცხოური ვალუტით ყველა გარიგებაზე საჭიროა დაწესდეს გადასახდი 1%-ის ოდენობით. ეს ხელს შეუწყობდა ეროვნული სახელმწიფოს მხრიდან კაპიტალის მოძრაობის კონტროლს, აცილებული იქნებოდა სპეკულაციური შეტევები ცალკეული ვალუტის მიმართ, ცენტრალურ ბანკებს მისცემდა შესაძლებლობას ემართათ საპროცენტო განაკვეთი ისეთი მეთოდებით, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციასთან, მოეხდინათ სავალუტო კურსების სტაბილიზაცია ინტერვენციების მეშვეობით და ა.შ რაც შეეხება სამუშაო ძალის მიგრაციას, ამასთან დაკავშირებით ჯ. ბჰაგვატის და სხვა მეცნიერების მიერ შემოთავაზებული იყო იდეა, რომლის მიხედვით, პირებმა, რომლებიც მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, აუცილებელია გადაიხადონ გადასახადი, რომლის სიდიდეც ტოლი იქნება ბიუჯეტიდან მიგრანტების განათლებასა და სხვა მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების. კერძოდ, „ბჰაგვატის მიერ შემოთავაზებულ იქნა გადასახადი ე.წ. „ტვინების გადინებაზე“, მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტების მიგრაციის ზრდის გამო. ეს გადასახადი მოახდენს ქვეყნის საზოგადოებრივ საქონელზე და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების კომპენსაციას, მისი შემოღება სრულიად დასაბუთებულია[1]“. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის, საიდანაც, სამუშაო ძალის გადინებამ, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.

როგორც ცნობილია, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების საფუძველს სწორედ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჯ. ბჰაგვატის მიერ შემოთავა-

[1] Линдерт П. Экономика мирохозиственных связей, М., Прогресс, 1993, с. 439

ზებული გადასახადი სრულიად მისაღებია. ამავე დროს, გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გამწვავება, რომელიც კონკურენტებს შორის არსებული მცირე განსხვავების პირობებში ხელს უწყობს პროგრესს, უფრო სუსტი მხარის მიერ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალისხმევის კონცენტრაციის გამო, თანამედროვე პირობებში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის დიდი განსხვავების გათვალისწინებით შეიცავს გლობალური მონოპოლიზმის, სტიქიური საბაზრო ურთიერთობების და აქედან გამომდინარე, არასამართლიანი კონკურენციის წარმოქმნის საშიშროებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეუძლებელს გახდის განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებას და აქედან გამომდინარე გლობალური ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მიკრო ანუ კორპორაციების დონეზე ერთიანი მოდელის, სტანდარტის შემუშავებაზე, სადაც აქცენტი კეთდება ამერიკული კორპორაციების მოდელზე, რამდენადაც, სწორედ ამ კორპორაციების ძლიერებასა და ეფექტიანობაზე არის დაფუძნებული აშშ-ს ეკონომიკა. გლობალიზაციის პროცესმა აშკარად წარმოაჩინა ამერიკული მენეჯმენტის უპირატესობა იაპონურთან შედარებით, რომელშიც გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესმა გამოკვეთა სუსტი მხარეები. ამავე დროს, აღსანიშნავია თვით პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნების (აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები) კომპანიათა მოდელებს შორის არსებული განსხვავება. აშშ-ში კომპანიების მიერ ფინანსური რესურსების მოზიდვა უმთავრესად საფონდო ბირჟების, კაპიტალის ბაზრის

მეშვეობით ხორციელდება, ანუ ჩამოყალიბებულია ე.წ. „აქციონერული კაპიტალიზმი“.

ევროპის ქვეყნებში დაფინანსების აღნიშნული წყარო ნაკლებად არის განვითარებული და უპირატესობა დაფინანსების სხვა წყაროს ენიჭება. მაგალითად გერმანიაში „რეინის კაპიტალიზმის“ სახელწოდებით ცნობილი პრინციპის მიხედვით, დაფინანსება სტრატეგიული პარტნიორების (ბანკების, სადაზღვევო კომპანიების) მეშვეობით ხორციელდება, საფრანგეთში ასეთ წყაროს ზოგჯერ სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს, ხოლო სკანდინავიის ქვეყნებში „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ფარგლებში კორპორაციულ საქმიანობაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ზეგავლენა.

გლობალიზაციის პირობებში, დასავლეთევროპული მოდელი გარკვეულწილად კარგავს მიმზიდველობას, რის გამოც აქტუალური ხდება რეფორმების გატარება, რომელიც კომპანიებს შეუნარჩუნებს და აუმაღლებს კონკურენტუნარიანობას. მსოფლიოს მასშტაბით კორპორაციული საქმიანობის სფეროში, ორიენტირება ხდება ანგლო-საქსურ მოდელზე, რომელიც გლობალიზაციის პირობებში კორპორაციული საქმიანობის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა ხდება. კონტინენტური ევროპის ქვეყნების კომპანიათა მოდელის უპირატესობა მის სოციალურ ორიენტაციაში პოულობს გამოხატულებას, რაც კონკურენციის გამწვავების ფონზე კონკურენტუნარიანობის დაცემის საფუძველი შეიძლება გახდეს.

საბოლოო ანგარიშით, პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკებში არსებული კორპორაციული საქმიანობის სახეებს შორის კონკურენცია გრძელდება, შეითვისებენ რა ერთმანეთისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაცია უპირატესად რეგიონალიზმის მეშვეობით ხორციელდება. გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება უპირატესად რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც თავის მხრივ წევრი-ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკით განისაზღვრება, რომლის ნათელი დადასტურებაა ევროკავშირის ფუნქციონირების თავისებურებები.

ნათელია, რომ ერთიანი ფულადი ერთეულის შემოღება და ფართო უფლებამოსილების მქონე ევროპის ცენტრალური ბანკის (ეცბ) შექმნა წარმოადგენს დიდ ნახტომს ევროპული ინტეგრაციის განვითარებაში. როგორც ეროვნული ბანკები, ისე ევროპის ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელია პოლიტიკური ხელისუფლებისაგან. ეცბ-ის უფლებამოსილებანი არის დელეგირებული. მას ეს უფლებები გადასცეს ეროვნულმა სახელმწიფოებმა. თუმცა, დელეგირების მექანიზმი ისეთია, რომ ეროვნულ სახელმწიფოებს აქვთ ძალიან ცოტა შესაძლებლობები დაიცვან თავიანთი და თავიანთი მოსახლეობის ინტერესები.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნით ეროვნულ სახელმწიფოებს რჩებათ დამოუკიდებლობა ფისკალური პოლიტიკის გატარებაში. ეკონომიკის რეგულირების ამ მეთოდის მნიშვნელობა იზრდება, რადგანაც წევრი სახელმწიფოები ამ მიზნისათვის ვერ გამოიყენებენ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ევროს გარეშე საერთო ბაზარი არ იქნებოდა სრულყოფილი და ვერ შეძლებდა თავისი მიზნების მიღწევას: დასავლეთ ევროპის კონკურენტუნარიანობის გაზრდას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან, რომელთაც გააჩნიათ წარმოების დაბალი დანახარჯები და აშშ-ს მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკასთან შედარებით. ამის გარდა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ძლიერ ევროპას შეეძლო აღმოსავლეთით გაფართოება.

ევროს შემოღება არის ეკონომიკური ინტეგრაციის ლოგიკური ეტაპი და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაზე ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ადექვატური პასუხი. საბოლოო ანგარიშით, ევროკავშირის ერთიანი ფულადი ერთეულის შემოღება საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების განვითარებას ემსახურება. ინტეგრაციული პროცესები დასავლეთ ევროპაში განვითარდა რეგიონის სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესების დაახლოების ფონზე, ხოლო ეს ინტერესები განმტკიცებულ იქნა ისტორიულად მჭიდრო კულტურული ურთიერთობებით, რაც იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ევროპა დაიბრუნებს პირვანდელ პოზიციებს, რამდენადაც სწორედ ევროპაში დაირწა მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი.

საბოლოო ანგარიშით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი არის ძლიერი, დემოკრატიული და განათლებული ერი-სახელმწიფოების პირმშო. ევროკავშირზე ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან ზოგიერთი უფლებების გადაცემამ კი არ შეასუსტა, არამედ პირიქით, გააძლიერა ისინი. ზეეროვნული ორგანოები გამოიყენება მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც მათ შეუძლიათ უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება, ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებს. ძლიერი ეროვნული სახელმწიფოების გარეშე არ იყო და არც იქნება მყარი ინტეგრაცია.

რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება, ევროკავშირის ანალოგიური დაჯგუფებების წარმოქმნა (ერთიანი ვალუტით), სხვა დადებით შედეგებთან ერთად შეამცირებს გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი თავისებურების (განსაკუთრებით განვი-

თარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებისათვის), სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობის მასშტაბებს.

ევროკავშირის ფუნქციონირების ზემოაღნიშნული თავისებურებები გვაფიქრებინებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, წარმატებული ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩარჩოებში არსებული ვალუტათა უფრო მცირე რაოდენობა ან საერთოდ, ერთიანი მსოფლიო ფულადი ერთეული საერთაშორისო საფინანსო სისტემის შედარებით მაღალი სტაბილურობის გარანტად გვესახება. ამ შეხედულებაზე ევროკავშირის ერთიანი ვალუტის – ევროს წარმატებულმა ფუნქციონირებამ მიგვიყვანა, რადგანაც ევროპა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების ერთგვარ საცდელ ლაბორატორიას წარმოადგენს.

სრული რეგიონული ინტეგრაცია რთულ, წინაღმდეგობრივ, ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. ეროვნული სახელმწიფოები ძნელად თუ შეელევიან ეროვნული დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ატრიბუტს – ეროვნულ ვალუტას (განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც რეალური დამოუკიდებლობის უქონლობიდან გამომდინარე, დამოუკიდებლობის "სიმბოლოებს" ებღაუჭებიან). თუმცა, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოების მიერ ფულად-საკრედიტო სფეროში ავტონომიური პოლიტიკის გატარების ისედაც შეზღუდული შესაძლებლობა ადრე თუ გვიან უბიძგებს მათ რეგიონული ვალუტის შემოღებისაკენ, რომელიც ინტეგრაციული პროცესების სიმწიფის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ეს ხანგრძლივვადიანი პროგნოზია, თუმცა აკადემიკოს ნ. ანჩიშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ "მთავარი პრინციპული განსხვავება პროგნოზირებასა და ყავის ნალექზე მკითხაობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ მეორე ხანდახან ახდება".

გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარება, არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების რეფორმირების საკითხი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალური ეკონომიკის მდგრადი, სტაბილური განვითარებისათვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობა და ჩამოყალიბება.

მსოფლიო წესრიგთან დაკავშირებით, როგორც მკვლევარები მიუთითებენ არსებობს კანონზომიერება, რომელიც შეინიშნება 1815 წლის ვენის კონგრესის პერიოდიდან. აღნიშნული კანონზომიერების მიხედვით ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი იცვლება მრავალპოლუსიანით, შემდეგ ორპოლუსიანი წესრიგით. აღნიშნული ლოგიკის მიხედვით თანამედროვე პერიოდში არსებული მსოფლიო გახდება მრავალპოლუსიანი რეგიონული ინტეგრაციული პროცესების გაძლირების საფუძველზე, შემდეგ ორპოლუსიანი, რომელიც მსოფლიო წესრიგის სახეებს შორის ყველაზე მყარ სტრუქტურად არის მიჩნეული.

საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკის ზოგიერთი მკვლევარი (მაგ. კანადელი მეცნიერი ა. ბეტლერი) ხაზს უსვამს ბიპოლარული სისტემის უპირატესობას ერთპოლარულთან შედარებით და მეორე პოლუსად ჩინეთს მოიაზრებენ. თუმცა ცნობილია, რომ ორპოლუსიანი სისტემა არსებობდა მსოფლიო ისტორიაში, რომლის დროსაც გამალებული შეიარაღება მიმდინარეობდა, სხვადასხვა ქვეყანაში იყო სახელმწიფო გადატრიალების მრავალი მცდელობა თუ რეალიზაცია (ირანი, ავღანეთი, კონგო და სხვა), ადგილი ჰქონდა უძლიერესი სახელმწიფოების არაპირდაპირ სამხედრო დაპირისპირებას.

მსოფლიო ერთპოლუსიანი სამყაროდან მიისწრაფვის ორ და მრავალპოლუსიანი მსოფლიოსაკენ. ამავე დროს გასათვალისწინებელია პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და იდეოლოგიური კომპონენტების სინთეზი, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოში ერთი ან რამდენიმე პოლუსის ფორმირებას. ცნობილია, რომ მრავალპოლუსიანი მსოფლიოს იდეის მხარდამჭერებად გამოდიან საფრანგეთი და რუსეთი.

თუმცა, მრავალპოლარულობა იმ შემთხვევაში იქნება სტაბილურობის უფრო მყარი გარანტი, როცა პოლუსებს შორის არ არსებობს იდეოლოგიური წინააღმდეგობა, რომელიც თავის მხრივ პოლუსად ფორმირების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ მხარეს აღმოჩნდება აშშ-ევროკავშირი, ხოლო მეორე მხარეს სხვა დანარჩენი. თუმცა ამ შემთხვევაში არ ირღვევა ზემოთაღნიშნული კანონზომიერება პოლუსების ევოლუციის შესახებ.

თანამედროვე მსოფლიოში, მეორე პოლუსად ჩამოყალიბების საკმაოდ დიდი პოტენციალი არსებობს აზიაში იაპონიის ან ჩინეთის მეთაურობით. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზიის როლი მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე დინამიურად განვითარებად რეგიონს წარმოადგენს. თუმცა, არსებობს რამდენიმე გარემოება, რომელიც ხელს უშლის აზიის, როგორც ერთიანი ცენტრის ფორმირებას: 1. რეგიონის ფარგლებში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების ჯერჯერობით ფორმალური ხასიათი. 2. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკების საექსპორტო ორიენტაცია, რაც მნიშვნელოვნად დამოკიდებულს ხდის მათ დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებზე. 3. ისტორიული არაკეთილგანწყობილება აზიის უდიდეს სახელმწიფოებს შორის. 4. რეგიონში გამოკვეთილი ლიდერი-სახელმწიფოს (როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით) არ არსებობა, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს რეგიონის ერთიანი გავლენის ზრდისათვის. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება იაპონია-ჩინეთი-სამხრეთ კორეას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების და ერთიანი ეკონომიკური ზონის შექმნისაკენ სწრაფვის ტენდენცია, რაც უდავოდ გაზრდის რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ გავლენას. ამავე დროს, იაპონიის მონაწილეობა აღნიშნულ პროცესებში, მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პრინციპების რეგიონის მასშტაბით დამკვიდრებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ აზიის რეგიონში არსებობს რამდენიმე ცენტრის ჩამოყალიბების ტენდენცია (იაპონია, ჩინეთის და/ან ინდოეთის მეთაურობით), რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების წინაპირობა, რამდენადაც აღნიშნულ ქვეყნებს შესწევთ უნარი კონკურენცია გაუწიონ დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებს.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალური ეკონომიკის მდგრადი, სტაბილური განვითარებისათვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს ბიპოლარული მსოფლიო წესრიგი, სადაც პოლუსებს წარმოადგენენ ის ქვეყნები თუ ქვეყანათა ჯგუფი, რომლებშიც ფორმირებულია პოსტინდუსტრიული ეკონომიკა (აშშ და ევროკავშირი) და არა ეკონომიკური განვითარების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ქვეყნები. ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი, რადიკალურად განსხვავებული სახელმწიფოების მონაწილეობით საერთაშორისო ორგანიზაციების თანამედროვე ეტაპზე არსებული ფუნქციების ფონზე, კიდევ უფრო გააღ-

რმავებს მსოფლიოში არსებულ წინააღმდეგობებს. ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი მხოლოდ მაშინ არის პროგრესული, როცა პოლუსები თითქმის ერთნაირი ეკონომიკური განვითარების დონით ხასიათდებიან და მათ შორის ადგილი არა აქვს იდეოლოგიურ-რელიგიურ წინააღმდეგობებს. აღნიშნულ ქვეყნებს (აშშ და ევროპის კავშირის ქვეყნები) შორის პროგრესული კონკურენცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებას და არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლებას.

რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების როლის ზრდა, გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლება, უახლოეს პერსპექტივაში, პოსტინდუსტრიული ქვეყნების მონაწილეობით ბიპოლარული მსოფლიო წესრიგი, ხოლო ხანგრძლივვადიანი პროგნოზით აზიაში ძლიერი პოსტინდუსტრიული ქვეყნების (იაპონია, სამხრეთ კორეა) მონაწილეობით ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის შედეგად მრავალპოლუსიანი საერთაშორისო წესრიგი მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს გლობალური წინააღმდეგობების შესუსტებას.

გლობალური ეკონომიკის შემდგომი, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ნეოლიბერალური და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელების გარკვეული სინთეზით წარმართვა, რამდენადაც მსოფლიო მასშტაბით ნეოლიბერალური გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი თავისებურება — შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციის, ასევე არსებული სხვა სოციალური პრობლემების შემცირება სოციალური საბაზრო ეკონომიკის გარკვეული პრინციპების გლობალური მასშტაბით დამკვიდრებას შეუძლია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში არსებული ეროვნული სახელმწიფოს როლის გარკვეული ნაწილი.

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ძირითადი მიმართულებები აუცილებელია ითვალისწინებდეს ქვეყნების განვითარების დონეებს შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებას. შესაბამისად, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან ცალკეული ქვეყნისადმი (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) უნიფიცირებული მიდგომა აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომით შეცვალოს. ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კონცეფციის ძირითადი მიმართულებები უნდა ასახავდეს გლობალიზაციის პროცესის უარყოფითი შედეგების შემცირების, მათი განვითარების სტიმულატორად ტრანსფორმაციის მიმართულებებს.

არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა აუცილებელია მიმართული იყოს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობისაკენ. ამ უკანასკნელი მიზნის რეალიზაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპეკულაციური კაპიტალის მოძრაობაზე ე.წ. „ტობინის გადასახადის“ დაწესება, რაც მხოლოდ განვითარებული ქვეყნების ძალისხმევით არის შესაძლებელი.

გლობალიზაციის პროცესის შემდგომი განვითარება მოითხოვს ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების გათვალისწინებას, საზოგადოებრივ ურთიერთობებში საბაზრო მიდგომებისა და სტანდარტების,

საბაზრო საზოგადოების ფორმირების დაუშვებლობის, ყველა რელიგიის თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპის მსოფლიო მასშტაბით აღიარებას, გლობალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების პროცესში სოციალური ორიენტაციის ამაღლებას.

გლობალური ეკონომიკის ფორმირება, რომელიც ფუნქციონირების ერთიან ფუნდამენტზე იქნება დაფუძნებული, არ უარყოფს ქვეყნებს და ქვეყანათა ჯგუფებს შორის წინააღმდეგობებს, არამედ გადაჰყავს ის ახალ თვისობრივ განზომილებაში, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებულია სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების, სახელმწიფოთაშორის და რეგიონთაშორისი ურთიერთობების, ტნკ-ების და საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციონირების ახალ საფეხურზე.

17. ეკონომიკური დიპლომატიის არსი და მიზნები გლობალიზაციის პირობებში

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორთა შორის თანაფარდობის ცვლილება გეოეკონომიკური ფაქტორის სასარგებლოდ ნათლად ავლენს გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პროცესში ეკონომიკური კომპონენტის დომინირებად როლს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარეობს და მზარდი ტენდენციით ხასიათდება საგარეო პოლიტიკის ეკონომიზაციისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიზაციის პროცესი, რაც განსაკუთრებულად გამოკვეთილია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. საგარეო პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ამაღლებს დიპლომატიის ეკონომიკური კომპონენტის ანუ ეკონომიკური დიპლომატიის ადგილს და როლს ცალკეული ქვეყნის განვითარების პროცესში. რ. ხასბულატოვის განმარტებით "ეკონომიკური დიპლომატიის ცნება აღნიშნავს, ჩვეულებრივი დიპლომატიის ტრადიციული არსენალიდან სახელმწიფოს მიერ მრავალმხრივი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებას, მათ გაფართოებას ეკონომიკური ღონისძიებებით (სავაჭრო პოლიტიკა, დახმარების, სესხის, ტექნოლოგიის გადაცემა ან მიღება და ა.შ.), რომელიც გააფართოებს სახელმწიფოს დიპლომატიურ საქმიანობას. საუბარი მიდის როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ურთიერთობებზე გაერო-ს, საერთაშორისო კონფერენციების და ა.შ. ჩარჩოებში, როგორც ეროვნული, ისე გლობალური პრობლემების

გადასაჭრელად“[1]. ნათელია, რომ ეკონომიკური დიპლომატია დიპლომატიის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად განმსაზღვრელ როლს თამაშობს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში.

ეკონომიკური დიპლომატია არის საგარეო პოლიტიკის, ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების სრული სპექტრის სინთეზი და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების დიპლომატიური მეთოდების გამოყენებით განხორციელების უმთავრეს ინსტრუმენტს.

ეკონომიკური დიპლომატიის რეალური პოტენციალის თანმიმდევრული, მიზანმიმართული განხორციელების “კლასიკურ“ ნიმუშს წარმოადგენს ევროკავშირის მიღწევები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავალუტო, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში. სწორედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით კი გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიკური დიპლომატიის დამსახურებაა მსოფლიოში უდიდესი, ანალოგის არმქონე ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნა[2].

ეკონომიკური დიპლომატიის შინაარსი, ფორმები და რეალიზაციის მექანიზმები ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე და მის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ეკონომიკურ დიპლომატიას გააჩნია როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები, როგორც ცალკეული სახელმწიფოსათვის, აგრეთვე რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია სხვდასხვა ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები. სახელმწიფოთა

[1] Хасбулатов Р. Мировая экономика, М., Инсан., 1994, с. 721
[2] Шемятенков В. Евро: две стороны одной монеты М., экономика, 1998

ეკონომიკური განვითარების დონეების მიხედვით ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები ზოგადად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები;
2. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის მიზნები.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის მიზანია არსებული ეკონომიკური განვითარების დონის შენარჩუნება-განვითარება და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთლიანად მსოფლიო მასშტაბით. აშშ-ის დიპლომატიაში “უკანასკნელ წლებში პირველ ადგილზე დგას საერთაშორისო ეკონომიკის ისეთი პრობლემები, როგორიცაა ნავთობი, ფინანსები, ვაჭრობა“[1].

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური დიპლომატიის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრაციის გზით. თუმცა აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გამწვავება და აქედან გამომდინარე, ეროვნული მწარმოებლების ინტერესების დაცვა და საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის განვითარების სპეციფიკური მიზნების განხორციელების მნიშვნელოვანი გართულება წარმოაჩენს და განსაზღვრავს ეკონომიკური დიპლომატიის მზარდ აუცილებლობას და მნიშვნელობას მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

ეკონომიკური დიპლომატია ხორციელდება სამ დონეზე:

[1] Попов В. Современная дипломатия: теория и практика. М., Международные отношения, 2004, с. 449

1. მიკრო დონე — ცალკეულ კომპანიებს შორის ურთიერთობები, ე.წ. "კორპორაციული დიპლომატია", რომლის ნათელი დადასტურებაა მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის გავრცელებული ე.წ. "სტრატეგიული ალიანსები".

2. მაკრო დონე — ცალკეულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები — ზოგადად, ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური დიპლომატია, ქვეყნებს შორის ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები.

3. მეგა დონე - საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური დიპლომატია ან ქვეყნების "კოლექტიური ეკონომიკური დიპლომატია".

მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მოქმედი სუბიექტების (ეროვნული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ცალკეული პირები) რაოდენობის ზრდა აფართოებს ეკონომიკური დიპლომატიის მოქმედების არეალს. თუმცა ნათელია, რომ მრავალ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში ტნკ-ების არარსებობიდან გამომდინარე აღნიშნული ქვეყნები ეკონომიკურ დიპლომატიას ანხორციელებენ უპირატესად მაკრო და მეგა დონეზე.

როგორც აღვნიშნეთ გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა განისაზღვრება არა მარტო კაპიტალის მოძრაობაში მონაწილეობით და ტექნოლოგიური განვითარების დონით, არამედ, არსებული ტექნოლოგიების გამოყენების უნარით, რაც თავის მხრივ, სამუშაო ძალის კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული. ამრიგად, იკვეთება განვითარებადი და გარდამავალი ეკო-

ნომიკების ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის უმთავრესი მიზნები:

1. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში ქვეყნის მონაწილეობის ხარისხის ამაღლება. კერძოდ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაციის, ეროვნული კაპიტალის საზღვარგარეთ დაბანდების, ერთობლივი საწარმოების ფორმირების და საერთოდ, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა და ა. შ.

2. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარების ანუ ზოგადად, მეცნიერებატევადი წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

3. საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში კოლექტიური ეკონომიკური დიპლომატიის გამოყენება ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნების გათვალისწინებით.

4. რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა.

ეროვნული ეკონომიკური დიპლომატიის მოკლევადიანი მიზანია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა განვითარების საგარეო ფაქტორის გამოყენების მეშვეობით, ხოლო გრძელვადიანი მიზანს ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრირებისა და შესაბამისად, ინტეგრაციის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე ეკონომიკის ფუნქციონირების მაქსიმალურად ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ცალკეული ქვეყნის მხრიდან მსოფლიო ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის ერთ-ერთი უმთავრესი გზაა ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური დიპ-

ლომატიის მიზნებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობა.

ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების შედეგად მათ ეძლევათ შესაძლებლობა, კოლექტიური დიპლომატიის ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენებით უფრო აქტიურად იმოქმედონ და დაიცვან თავიანთი ინტერესები საერთაშორისო ორგანიზაციებში. რეგიონული ინტეგრაციის დადებითი შედეგი იქნება ისიც, რომ ამ ქვეყნებს ძალისხმევის კონსოლიდაციის შედეგად ეძლევათ შესაძლებლობა, მიაღწიონ მათი საქონლისათვის განვითარებული ქვეყნების ბაზრის გახსნას, რომელშიც ამ ქვეყნების საქონლისათვის შესვლა შეზღუდულია სხვადასხვა არასატარიფო ბარიერებით (ეკოლოგიური, ტექნიკური და ა.შ), ასევე მიაღწიონ განვითარებული ქვეყნების მხრიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სუბსიდირების შემცირებას, რომელიც განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პროდუქციას არაკონკურენტუნარიანს ხდის მსოფლიო ბაზარზე.

ყოველივე აღნიშნულიდან ნათელია, რომ სწორედ რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებისკენ (როგორც თვით ამ ქვეყნების ფარგლებში, ასევე განვითარებული ქვეყნების მონაწილეობით არსებული ინტეგრაციული ბლოკებთან მიერთების თვალსაზრისით) უნდა იყოს მიმართული განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური დიპლომატიის ვექტორი, რაც შეამცირებს მათი განვითარების პროცესზე გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების ხარისხს.

საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს სრულყოფილი ინტეგრაცია წარმოუდგენელია აქტიური ეკონომიკური დიპლომატიის გარეშე, რომელიც შექმნის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ინტენსიური

ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლებს და ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებას.

ეკონომიკური დიპლომატია მოწოდებულია ხელი შეუწყოს როგორც ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების, უახლესი ტექნოლოგიების მოზიდვას, ასევე ეროვნული სამეწარმეო კაპიტალის ექსპანსიას, საზღვარგარეთ ინვესტიციების განხორციელებას, როგორც პირდაპირი, ისე პორტფელური ინვესტიციების სახით, რაც გაზრდის ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის ხარისხს და საერთოდ, საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების დონეს.

ქვეყნის საგარეო ურთიერთობებში ეკონომიკური კომპონენტის პრიორიტეტულობის აღიარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნის ევროკავშირში და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება, რაც უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებაზეა დაფუძნებული.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში შიდა ინვესტიციების სიმცირიდან და ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დაბალი დონიდან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციის დონეზეა დამოკიდებული. ეს თავის მხრივ მოითხოვს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დიპლომატიური უზრუნველყოფის ინტენსიფიკაციას.

18. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღნიშნული სახელმწიფოს არაბუნებრივი, უტოპიური იდეოლოგიის დასამარებით ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში დადგა დეიდეოლოგიზაციის ეპოქა, ანუ წარმოიქმნა იდეოლოგიური ვაკუმი, რაც წინააღმდეგობაში მოდის კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებასთან.

საბოლოო ანგარიშით, ცივილიზაციის მიღწევები რაციონალური იდეოლოგიის შედეგს წარმოადგენს. იდეოლოგია მძლავრი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ხელში, რომელიც შეიძლება იქცეს საზოგადოების, ეკონომიკის განვითარების როგორც დამამუხრუჭებელ (კომუნისტური იდეოლოგია), ასევე განვითარების ხელშემწყობ ძალად. ნათელია, რომ ყოველი იდეოლოგიის არსი, მის პროგრესულობაში პოულობს გამოხატულებას.

გლობალიზაციის პირობებში, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ეროვნული იდეოლოგიის შესუსტებაში დებენ ბრალს, ობიექტური აუცილებლობით აყენებს შესაბამისი ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების საკითხს. თუმცა, გლობალიზაციის პროცესი ასუსტებს განვითარების დაბალი დონის ქვეყნების ეროვნულ თავისებურებებს, რამდენადაც მას არ ძალუძს განვითარების უდიდესი მიღწევების მქონე ერების ეროვნული თავისებურებების შესუსტება, რადგანაც გლობალიზაციის საფუძველს სწორედ განვითარების მაღალი დონე წარმოადგენს.

ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია თავისი არსით თეორიული კონცეფციაა, რომელშიც ასახულია ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები,

მათი მიღწევის მეთოდები და ინსტრუმენტები, სრულიად შეესაბამება ქვეყნის გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს და გამომდინარეობს მისგან. ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ეროვნული ეკონომიკური სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნის მიღწევის მიზნით სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების ამსახველი თეორიული კონცეფცია. ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის, როგორც ყოველი ეროვნული იდეოლოგის შემუშავება სახელმწიფოს პრეროგატივაა და მას გააჩნია თეორიული, პრაქტიკული და შემეცნებითი ფუნქცია.

თანამედროვე ეტაპზე (გლობალიზაციის პირობებში) ყოველი ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს მისი შესაბამისობა მსოფლიო განვითარების ტენდენციებთან, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან და აუცილებელია ითვალისწინებდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების არსებულ დონეს "მხოლოდ იმ ერს და სახელმწიფოს შეიძლება წარმატებული განვითარების იმედი ჰქონდეს, რომელიც ნათლად გააცნობიერებს დროის იმპერატივებს და პრიორიტეტს ზოგადსაკაცობრიო მიზნებს მიანიჭებს"[1]. ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის შემეცნებითი ფუნქცია გამოხატულებას ჰპოვებს საზოგადოების მხრიდან მის მხადაჭერაში ანუ ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია უნდა ასახავდეს საზოგადოების განვითარების გრძელვადიან ინტერესებს და ემსახურებოდეს მისი რეალიზაციის ხელშეწყობას. ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის არსი ისაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მოკლევადიანი თუ გრძელვა-

[1] Сборник статьей, Отчуждение человека в перспективе глобализации мира, С-ПБ, 2001, с. 255

დიანი ღონისძიება აუცილებელია შეაბამისობაში იყოს იდეოლოგიის მიზნებთან ანუ არ ეწინააღმდეგებოდეს ეროვნული სტრატეგიული მიზნის მიღწევას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სიცოცხლისუნარიანი შეიძლება იყოს მხოლოდ რაციონალურ- ლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგია, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მსოფლიო განვითარების ტენდენციებს და სრულიად შეესაბამება სილრმისეულად გაცნობიერებულ გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს. ამავე დროს, აღნიშნული იდეოლოგია მაქსიმალურად ითვალისწინებს ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებს და რაც მთავარია, ეკონომიკის განვითარების არსებულ დონეს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველო, დაადგნენ ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზას, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რაც ამ ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის ძირითად დეტერმინანტს წარმოადგენს. როგორც ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ ,,გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები, ისევე როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემები, რთული, გრძელვადიანი და ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით“, ხოლო “გარდამავალი ეკონომიკა ფაქტიურად არის ძველი ცენტრალიზებული, ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო სისტემად გადაქცევისა და იმავე დროს, ნეოეკონომიკის ანუ

პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შესაბამისი წანამძღვრების, საფუძვლების შექმნის პროცესი“[1].

ცნობილია, რომ საქართველოში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში “გაფართოვდა სიღარიბის საზღვრები - უმეტესად საშუალო კლასის - მაღალკვალიფიციური მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, მედიცინის მუშაკთა ხარჯზე“[2]. აქედან გამომდინარე, უპირატესად გაუარესდა საზოგადოების იმ ნაწილის მდგომარეობა, რომელიც პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების საფუძველს წარმოადგენს. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა საქართველოში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების წანამძღვრების შექმნის დამუხრუჭება და მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქვეყნის ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის გაღრმავება. ამას სხვა ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის მიზეზებთან ერთად განაპირობებდა მეცნიერებასა და განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯების მკვეთრი შემცირება. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განათლებაზე /მშპ(%) 1993 წელს შეადგენდა 0.6%, 1997 წელს 1.6%, მაშინ როცა აღნიშნული ხარჯები 1990 წელს 7.2% იყო. ამდენად, აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში აღებული კურსი, რომელმაც ეკონომიკის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს როლის, განათლებასა და მეცნიერებაზე დანახარჯე-

---

[1] ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 93, 103-104

[2] ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 113

ბის შემცირებაში ჰპოვა გამოხატულება, შეუძლებელს ხდიდა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელი წანამძღვრების ჩამოყალიბებას.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არ შეინიშნებოდა მოკლევადიან თუ საშუალოვადიან პერსპექტივაში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების არცერთი წანამძღვარი, რომელიც წარმოუდგენელია ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბების გარეშე. ამ უკანასკნელში უმთავრესად ცოდნის მატარებელი კლასია წარმოდგენილი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე სოციალური პირამიდის ქვედა ნაწილშია მოქცეული. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში რეფორმები მიმდინარეობდა ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ნეოლიბერალური ხასიათის რეფორმებით, რასაც ხელს უწყობდა სსფ-ის პოზიცია. თუმცა, „ვაშინგტონის კონსენსუსის“ რეცეპტების პრაქტიკული რეალიზაცია ავლენს როგორც წარმატების მაგალითებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ასოცირებულია ცენტრალური ევროპის ქვეყნებში პრივატიზაციისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამების ეფექტიან რეალიზაციასთან, ისე დსთ-ის ბევრი ქვეყნის ფაქტიურ წარუმატებლობას, სადაც საბაზისო რეკომენდაციები არ იქნა მიყვანილი ბოლომდე, ან არ მიგვიყვანა ეკონომიკური ზრდის განახლებასთან[1]“.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის წლები შეიძლება დაკარგულ წლებად ჩაითვალოს, რადგან აღნიშნულ პერიოდში ვერ მოხერხდა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების წანამძღვრების შექმნაც კი “საბაზრო ეკონომიკის თვითდამკვიდრებისა და რეგულირების იმედით ერთი ხელის მოსმით

[1] Афонцев С. Экономическая политика и модели экономического развития, Ж. МЭ и МО, 2002, №4, с. 42

დავანგრიეთ არსებული სისტემა ისე, რომ მის ადგილას, ახლის თუნდაც ყლორტებიც კი არ შეგვიქმნია“[1].

ეროვნული ეკონომიკის იდეოლოგიის მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა მარტო პოსტინდუსტრიული ეკონომიკური მოდელის ფორმირება, არამედ მისი სოციალიზაციის ფუნქციის რეალიზაცია. ცნობილია, რომ „ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი არის ეროვნული მეურნეობის მთლიანობის შემქმნელი ელემენტების ერთობლიობა და მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ ელემენტების მჭიდრო კავშირს და ურთიერთქმედებას. თავისი ხასიათით ისინი არიან ბუნებრივი, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, კონფესიური“[2]. ეკონომიკურ ლიტერატურაში უმთავრესად საუბარია სამი ტიპის ეკონომიკურ მოდელზე, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური მოდელებით. აღნიშნული მოდელებია: ნეოლიბერალური მოდელი, სოციალურად ორიენტირებული (მრავალი მსგავსი მახასიათებლის გათვალისწინებით აქვე ვაერთიანებთ სოციალ-დემოკრატიული ტიპის ეკონომიკასაც) და აღმოსავლეთ-აზიური, რომელთა უმთავრეს განმასხვავებელ თავისებურებად მიჩნეულია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში.

გლობალიზაციის პროცესი ეროვნული ეკონომიკების მოდელებზე ზემოქმედებს რამდენიმე მიმართულებით, რომელთა შორის უმთავრესია სახელმწიფოს როლის ცვალებადობა და რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობის ხარისხი. ყოველი ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებებს

[1] გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1996, გვ. 27

[2] მსოფლიო ეკონომიკა, გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001, გვ. 183

უმთავრესად განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარების დონე და საზოგადოების ინტერესები. ანგლოსაქსურ ნეოლიბერალურ მოდელში (უპირატესად აშშ-ში) სოციალური თანასწორობის იდეა დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, ანუ „აშშ-ში არ დგას საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის მიღწევის ამოცანა“[1]. მაგრამ ასევე აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ეკონომიკაში არსებობს ისეთი მწვავე პრობლემები, როგორიცაა სიღარიბის პრობლემა. „მოსახლეობის თითქმის 13%-ისათვის უწინდებურად არ არის გადაწყვეტილი სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხი, 44 მლნ-ზე მეტ ადამიანს არა აქვს არავითარი სამედიცინო დაზღვევა და ა.შ“[2].

XX საუკუნის II ნახევრიდან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ინტენსიურად ვითარდება "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კონცეფცია, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისა და აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში გაიზარდა სახელმწიფო სექტორის წილი და სახელმწიფოს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა: კერძო სექტორის სტიმულირება სუბსიდიებით ან სხვა ხელშემწყობი ღონისძიებებით, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის საკითხები და ა.შ. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელის მქონე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება

[1] გოგოხია რ, საბაზრო ეკონომიკა, თბ., საქპროფგამი, 1996, გვ. 128

[2] Супян В. Роль государства в реализации приоритетов социально-экономического развития США. Ж. Проблемы теории и практики управления, 2000, №5

სოციალური თანასწორობის იდეას. საბაზრო ეკონომიკის გერმანული, შვედური მოდელები სწორედ სოციალური თანასწორობის პრინციპის პრაქტიკაში რეალიზაციის მცდელობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

ამდენად, ვლინდება საზოგადოებრივი ინტერესების სხვაობა, რომელიც არსებობს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებში. აღნიშნული იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განვასხვავოთ ამერიკული პოსტინდუსტრიული და ევროპული პოსტინდუსტრიული ეკონომიკა. პირველი შეიძლება დახასიათდეს როგორც ლიბერალური ეკონომიკა სახელმწიფოს შედარებით მცირე როლით ეკონომიკის რეგულირების პროცესში, ხოლო მეორე როგორც სოციალური პოსტინდუსტრიული ეკონომიკა. ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათის განმაპირობებელი საზოგადოებრივი ინტერესები გარკვეულწილად ევოლუციური გზით ვითარდება და მასზე ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ხასიათის ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა გაჩნია ისტორიულ ფაქტორს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ისტორიულ როლს.

ქვეყნებში, რომლებშიც სახელმწიფოს როლი ისტორიულად მაღალი იყო (ევროპა), ხოლო საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარ სუბიექტს ინდივიდი წარმოადგენდა, საზოგადოებრივი ინტერესის ევოლუცია სოციალური თანასწორობის იდეის რეალიზაციის მიმართულებით მიმდინარეობს. როგორც ცნობილი ინგლისელი პოლიტოლოგი ლ. ჰიდენტოპი აღნიშნავს „ევროპული კაპიტალიზმის საფუძვლები და ის, რაც შემდეგ სამრეწველო რევოლუციაში გადაიზარდა, საჭიროა ვეძიოთ შუა საუკუნეების ქალაქების ინდივიდუალიზმში. სწორედ იქ წარმოიშვა სა-

ზოგადოების, როგორც ინდივიდთა და არა ოჯახების ერთობლიობის კონცეფცია".[1] ხოლო სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარ სუბიექტს ინდივიდი წარმოადგენს, მაგრამ სახელმწიფოს როლი ისტორიულად შედარებით დაბალი იყო, საზოგადოებრივი ინტერესი არ არის მიმართული სოციალური თანასწორობის იდეის რეალიზაციისკენ. ყოველივე ზემოთაღნიშნული ანუ საზოგადოებრივი ინტერესებისა და სახელმწიფოს ისტორიული როლის განსხვავებულობა განაპირობებს ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს განსხვავებულ როლს და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მიზნით სახელმწიფოთა განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ამერიკულ და ევროპულ პოსტინდუსტრიულ ეკონომიკებს, მიუხედავად ეკონომიკის რეგულირების პროცესში სახელმწიფო როლის განსხვავებისა გააჩნიათ მრავალი საერთო თავისებურება. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე სახის პოსტინდუსტრიული საზოგადოება დაფუძნებულია ინდივიდუალიზმის პრინციპზე და ინდუსტრიულ-აგრარული ეკონომიკებისაგან განსხვავებით, რომელშიც სმითისეული „მატერიალისტი ეგოისტი ადამიანის" ზეობაა, მიმართულია უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება-რეალიზაციისაკენ. პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში „მატერიალისტი ეგოისტი ადამიანი" ტრანსფორმირდება „იდეალისტ ეგოისტ ადამიანად". ორივე სახის პოსტინდისტრიულ ეკონომიკაში უპირატესი ყურადღება ეთმობა ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას, მისი შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციისათვის პირობების გაუმჯობესებას, განათლების, მეცნიერების, ანუ საერთოდ საზოგადოების განვითარების დონის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში „სკსსს-ზე დანახარჯებმა 1999 წელს გადააჭარბა 247 მლრდ დოლლარს (მშპ-ის 2,7%)... აშშ-ზე სკსსს-ზე მსოფლიო დანახარჯების 46% მოდის[1]". ამავე დროს, ზოგადად, "როგორც სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება სახელმწიფო ხარჯები ეროვნულ პროდუქტში არ მცირდება, ის გაიზარდა 28.3%-იდან 1960 წელს, 43.8%-მდე საუკუნის დასასრულს"[2].

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი პროცესი გახდა, მიმდინარეობს ნეოლიბერალური და სოციალური საბაზრო ეკონომიკების პრინციპების შერწყმა სოციალური თანასწორობის, სასტარტო შესაძლებლობების გამთანაბრების იდეის ცხოვრებაში რეალიზაციისკენ მისწრაფების გათვალისწინებით, რაც ე.წ. „კონსენსუსის, ადამიანთა შორის ჰარმონიული ურთიერთობების" საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

თანამედროვე ეტაპზე აღინიშნება პოსტინდუსტრიული ეკონომიკების აღნიშნული ტიპების დაახლოება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ეკონომიკა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების საწყის ეტაპზე მოახერხებს ორივე ტიპის სინთეზის რეალიზაციას. ეს უკანასკნელი თვით პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ევოლუციის შედეგს წარ-

[1] Зидентоп Л. Демократия в Европе, М., Логос, 2001, с. 201

[1] Супян В. Роль государства в реализации приоритетов социально-экономического развития США, Ж. Проблемы теории и практики управления, 2000, №5

[2] Анилионис Г, Зотова Н. Глобальный мир, единый и раздеденный, М., 2005, с. 492

მოადგენს და მისი ერთბაშად რეალიზება შეუძლებელია.

საქართველოს ეკონომიკური იდეოლოგიის მიზანი უნდა იყოს ევროპული ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირება, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება ქვეყნის ისტორიულ წარსულს, გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს, საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას და წარმოადგენს გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს სრულყოფილი მონაწილეობის საწინდარს.

ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორიის პრინციპები ვერ უზრუნველყოფს ევროპული ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებას, რამდენადაც უშვებს მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციას და სახელმწიფოს მცირე როლს სოციალური თანასწორობის მისაღწევად. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ „როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, კარგად ფუნქციონირებადი კონკურენტული ბაზრები იმთავითვე არ წარმოიქმნება. ამისთვის აუცილებელია კარგად მომზადებული სოციალური ინფრასტრუქტურა და ინსტიტუტები, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ ბაზრის დამანგრეველ ძალებს. სახელმწიფოს როლი აუცილებელია იმ პირობების შესაქმნელად, რომელიც ბაზრებს მისცემს ფორმირების და კანონმორჩილად, ეფექტიანად, კონკურენტულად ფუნქციონირებისა და განვითარების შესაძლებლობას“[1]. ნეოლიბერალური ხასიათის რეფორმების ამოსავალ წერტილს კი ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში სახელმწიფოს ჩაურევლობა წარმოადგენს.

[1] Мировая экономика в XX веке, Ж. МЭ и МО, 2001, №1, с. 13

ცნობილია, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ერთიანი, უნიფიცირებული მოდელი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ცალკეული ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების სპეციფიკურობის გამო. ამავე დროს, არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ სახელმწიფო ყოველთვის და ყველგან ხელს უშლის ეკონომიკის სტაბილურ ფუნქციონირებას.

ყოველი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში და მის შემდგომ განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობდა ეროვნული სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ყოველი ეროვნული ეკონომიკა ფუნქციონირებს ცალკეული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი კონკრეტული რეგულირების მექანიზმით შედარებით ერთგვაროვან ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში, რომელსაც განაპირობებს საერთო კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა, საზოგადოების განვითარების დონე და მისი ინტერესები. ამავე დროს „სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სახელმწიფო ანუ სოციალური საქონლის (სიკეთეების) წარმოება, რომელიც წარმოდგენილია განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების სახით, რასაც საბაზრო სისტემა საერთოდ არ აწარმოებს, ან კიდევ არ შეუძლია საკმაო რაოდენობით აწარმოოს“[1]. თუმცა, როგორც პროფესორი ვლ. პაპავა აღნიშნავს “სახელმწიფო რეგულირების სფერო საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია, რაც ქმნის იმის ილუზიას, თითქოს ეს ანგლო-ამერიკული მოდელის სქემაში ჯდებოდეს. ყველაზე მკაფიოდ ეს სიღარიბისა და უთანასწორობის საკითხის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაში იკვეთება, რაც გარკვეული გულგრილობით (რასაც, ყოვლად გაუმართლებლად, ჩვენში რატომღაც ლიბერალიზმს

[1] გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა, თბ, საქპროფგამი, 1996, გვ. 149

უწოდებენ) გამოირჩევა, როცა უთანასწორობა რეალურად არც არანაირად არის ხელისუფლების საზრუნავი, ხოლო სიღარიბის დაძლევა კი უმთავრესად იძულებითი (სახელმწიფოს მხრიდან) კერძო ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება“[1].

სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში დამოკიდებულია მის ეფექტიანობაზე ანუ რამდენად უწყობს ხელს სახელმწიფო ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, კონკრეტულად საქართველოში კი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკით შესაძლებელია საქართველოში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების დაჩქარება.

საქართველოს არასრულყოფილი მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკაში მიუთითებს არა სახელმწიფოს როლის შესუსტების, არამედ პირიქით, მისი გაძლიერების აუცილებლობაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნული ეკონომიკისა და საზოგადოების სრულყოფილი ინტეგრირება მსოფლიო თანამეგობრობაში ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნების გათვალისწინებით, „ეროვნულმა სახელმწიფომ კიდევ უნდა ითამაშოს უმთავრესი როლი, კერძოდ გლობალიზაციის პირობებში და სახელდობრ იმიტომ, რომ განვითარება მიმდინარეობს არათანაბრად“[2].

ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია აუცილებელია ემსახურებოდეს ეკონომიკის პროგრესული მიმართულებით გარდაქმნის პროცესს. გლობალიზაციის,

[1] პაპავა ვლ. თანამედროვე ეკონომიკური რეფორმების არსის შესახებ, ანუ რამდენად ევროპულია პოსტრევოლუციური საქართველოს არჩევანი? ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, 2007, №5, გვ. 64-65

[2] Симония Н. Глобализация и неровномерность мирового развития, Ж. МЭ и МО, 2001, №3, с. 40

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში წამყვან მიმართულებას წარმოადგენს ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობა, ინტელექტის მიხედვით საზოგადოების სტატიფიკაცია, ინდივიდუალიზმის პრინციპის დამკვიდრება, სასტარტო პირობების გამოთანაბრება, ეკონომიკის სოციალიზაცია, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება-განვითარება და ა.შ. ანუ ის უმთავრესი მიზნები, რომელიც ახასიათებს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, ნეოეკონომიკას. როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფუძემდებელი დ. ბელი აღნიშნავდა “განსხვავება დაკავებულ მდგომარეობასა და მიღებულ შემოსავლებში განპირობებულია სხვაობით ტექნიკური ცოდნისა და განათლების დონეებს შორის. აღნიშნული ატრიბუტების გარეშე შეუძლებელია შესაბამისობა შრომის ახალი სოციალური დანაწილების მოთხოვნებთან, რომელიც ამ საზოგადოების უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს“[1].

თანამედროვე ეტაპზე პირველხარისხოვანი ამოცანაა ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონის ამაღლება. ამავე დროს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პოსტინდუსტრიული ეკონომიკა, საზოგადოება ფორმირდება იქ, სადაც ადამიანის განვითარების დონე მატერიალური უზრუნველყოფის ფაზიდან გადადის ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის ფაზაზე, სადაც კოლექტივიზმის პრინციპთან შედარებით ინდივიდუალიზმის პრინციპს ენიჭება უპირატესობა და სადაც საზოგადოების სტრატიფიკაციას ინტელექტუალური განვითარების დონე განსაზღვრავს. ინტელექტის მიხედვით საზოგადოების სტრატიფიკაცია გაცილებით სამართლიანია, ვიდრე

[1] Белл Д. Грядущее постиндустряльное общество: опыт социального прогнозирования, М., 1999

მატერიალური უზრუნველყოფის დონით, რამდენადაც ინტელექტი თანდაყოლილია, ბუნებრივია და არა შეძენილი, ხოლო ყოველი პროგრესული იდეოლოგია მხოლოდ ბუნებრივი შეიძლება იყოს და ისეთი, რომელიც ბუნებრივის ევოლუციას უწყობს ხელს. ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის უმთავრეს მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ინდივიდის, საზოგადოების განვითარების დონის ამაღლება, რამდენადაც როგორც ზევით აღვნიშნეთ, გლობალიზაციის დადებითი შედეგებით სარგებლობა პირდაპირპროპორციულად საზოგადოების განვითარების დონეზეა დამოკიდებული.

საქართველოში ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს და ბაზრის არა დაპირისპირება, არამედ ოპტიმალური ურთიერთქმედება, რომელიც არ დაუშვებს მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციას, უზრუნველყოფს სწრაფ გადასვლას ინტელექტის, ცოდნის მიხედვით საზოგადოების სტრატიფიკაციაზე. ეს, თავის მხრივ ხელს შეუწყობს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელი წანამძღვრების ჩამოყალიბებას, რამდენადაც როგორც ცალკეული ეროვნული ეკონომიკის, ისე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების მიზანს ადამიანის, როგორც ყველაზე დიდი ფასეულობის მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება და მისი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ამრიგად, აუცილებელია, რომ ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდეს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების წახალისება, იმ მოტივით, რომ ჩვენ ისტორიულად აგრარულ ქვეყანას წარმოვადგენდით, არამედ, აუცილებელია ეროვნული იდეოლოგია მიმართული იქნას მეცნიერებატევადი, რთული, უნიკალური საქონლის წარმოების წახალისება-ხელშეწყობისაკენ. სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს სამეცნიერო კვლევებისა და განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

საქართველოში აუცილებელია შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებაში, როგორც პროფესორი რ. გოგოხია აღნიშნავს, „მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი რეგულირების როლი, ამ უკანასკნელს არ ძალუძს შეცვალოს კონკურენტული საბაზრო ორგანიზაცია. ის უნდა მიესადაგოს მას და ორივე უნდა რეალიზდებოდეს როგორც შერეული ეკონომიკის ქვესისტემა“[1]. პოსტინდუსტრიულ და ინდუსტრიალურ-აგრარულ საზოგადოებებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება არის სწორედ ის პუნქტი, რომელიც მიუთითებს სახელმწიფოს დიფერენცირებულ როლზე ეკონომიკაში, ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის მიხედვით. საქართველოში, სადაც ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმი სუსტია და ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას, სწორედ სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი თვითრეგულირების მაღალი ხარისხის მქონე საბაზრო მექანიზმების ჩამოყალიბებას.

სტიქიურ საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლის გარეშე არ ძალუძს პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელი წანამძღვრების შექმნა. როგორც ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნეოკეინსიანური მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელი ე. ჰანსენი აღნიშნავდა

[1] მსოფლიო ეკონომიკა, გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001, გვ. 491

"მიმითითეთ ქვეყანაზე დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯებით და მე დაგისახელებთ ქვეყანას ცხოვრების დაბალი დონით. აშშ-ში განათლების სფეროში დაბანდებული 100 დოლარი გამოიწვევს შრომის მწარმოებლურობის უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე 100 დოლარი დაბანდებული საწარმოო შენობებში, მანქანებსა და მოწყობილობებში"[1].

ცნობილია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არსებობს ტნკ-ები. შესაბამისად, გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში აქტიური ჩართვისათვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს ხელშემწყობი როლი. კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია კომპანიების ხელში არის სწორედ ის პუნქტი, საიდანაც იწყება გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში სრულყოფილი მონაწილეობა. თანამედროვე მსოფლიოში ურთიერთობის ერთ-ერთი ვექტორი სწორედ კომპანიებს შორის ურთიერთობაზე გადის, რაც მოითხოვს ეროვნული ეკონომიკის შიგნით ძლიერი კომპანიების ფორმირების, მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობას. ეროვნულმა სახელმწიფომ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი ეროვნული კაპიტალის ექსპანსიას, საზღვარგარეთ ინვესტიციების განხორციელებას, როგორც პირდაპირი, ისე პორტფელური ინვესტიციების სახით, რაც გაზრდის ეროვნული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის ხარისხს და საერთოდ, ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების დონეს. გლობალური ეკონომიკის არეალის გაფართოება და მისი ცალმხრივი განვითარების (განვითარებული ქვეყნების ჩარჩოებში) აღმოფხვრა დაკავშირებულია გარდამავალი ეკონომიკის

[1] Худакормова Н. История экономических учении, М., 1997, с. 42

ქვეყნებში, კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე უდიდესი კომპანიების შექმნისათვის ხელშეწყობაში, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული ნიშის დაკავება მსოფლიო ბაზარზე.

ასევე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ტნკების არ არსებობა მიუთითებს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს როლზე მეცნიერების, განათლების, კვლევითი სამუშაოების დაფინანსების თვალსაზრისით. როგორც ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ "სწორედ ტრანსფორმაციული კრიზისის დროს 1990-1993 წლებში უნგრეთში მშპ-ში საბიუჯეტო ხარჯებმა მიაღწიეს მაქსიმალურ დონეს – 62%, პოლონეთსა და სლოვაკეთში კი ეს მაჩვენებელი 50%-ის დონეზეა სტაბილიზებული. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა ამ ხარჯების სტრუქტურა. ყველა ქვეყანაში აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის თავსებადობა მასშტაბურ სახელმწიფო ხარჯებთან განათლებასა და მეცნიერებაზე. მაგ. უნგრეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა 90-იანი წლების განმავლობაში შეძლო შეენარჩუნებინა განათლებაზე ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. იგივე უნდა ითქვას მეცნიერებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებზე სახელმწიფო ხარჯებისა და ეკონომიკური ზრდის დინამიკის თავსებადობაზე. იქ სადაც ეს ხარჯი მაღალია, ზრდა მნიშვნელოვანია და პირიქით[1]." ამავე დროს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს როლი ისტორიულად მაღალი იყო, ასევე თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს ხარჯების წილი, მათ შორის მეცნიერებასა და განათლებაზე სახელმწიფოს დანახარჯები მშპ-ში საკმაოდ მა-

[1] ბასილია თ., სილაგაძე ს., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ. 2001, გვ. 115

ღალია. რაც შეეხება საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც ევოლუციურად ვითარდება, და რომელზეც ისტორიული წარსული დიდ ზეგავლენას ახდენს, მიმართულია სოციალური თანასწორობისაკენ. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში არ არსებობს მკვეთრი ქონებრივი დიფერენციაცია. ხუთ ქვეყანაში (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, სლოვენია, უნგრეთი) მდიდრების ათი პროცენტის სულადობრივი მაჩვენებელი ყველაზე უფრო ღარიბების შესაბამის შემოსავლებს 4.5 – 5.5-ჯერ აღემატება"[1]. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს ამ ქვეყნებში ევროპული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების წანამძღვრების არსებობაზე. ამას ასევე განაპირობებს 2004 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცალკეული პოსტსოციალისტური ქვეყნების, ხოლო 2007 წელს ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრიანება ევროპის კავშირში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ცალკეულ სახელმწიფოებთან და რეგიონალურ გაერთიანებებთან ურთიერთობების დამყარებისა და ამ ურთიერთობების გაფართოება-გაღრმავების საკითხი.

XX საუკუნის მიწურულს განსაკუთრებული სიმწვავით დადგა საკითხი საგარეო ვაჭრობისა და ზოგადად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად ქვეყნების მზარდი ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. ეს განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ღია ეკონომიკის საფუძველზე საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება ამცირებს მთავრობის მიერ ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას და ზოგადად, გარკვეულწილად ზღუდავს ქვეყნის სუვერენიტეტს.

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში გაიზარდა ეკონომიკის სფეროში ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რომლის შემცირების მიზნით სახელმწიფოები უპირატესობას ანიჭებენ ცალკეულ საკითხებზე მრავალმხრივ მოლაპარაკებებს. შესაბამისად, მრავალმხრივი შეთანხმებები ასახავენ ეროვნული სახელმწიფოების მიდგომას ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესისადმი. ეროვნული სახელმწიფოები ვაჭრობას მიიჩნევენ როგორც ყოვლისმომცველი ეროვნული ეკონომიკური რეფორმების ნაწილს, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის, ისევე როგორც საქართველოსათვის ლიბერალიზაცია არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი. თუმცა, ლიბერალიზაცია თითქმის არასდროს და არსად არ ატარებდა და არ ატარებს "სავალდებულო" ხასიათს.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის, განსაკუთრებით სავაჭრო პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობის პრინციპების დაცვა და აღნიშნული პოლიტიკის შესაბამისობა ეროვნული ეკონომიკის წინაშე განვითარების ცალკეულ ეტაპზე არსებულ პრობლემებთან.

ნათელია, რომ სავაჭრო პარტნიორების მრავალფეროვნება ნაკლებად მგრძნობიარეს ხდის ეროვნულ ეკონომიკას საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე რყევებისადმი. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო საქონელგაცვლაში მონაწილეობის ოპტიმალური დონისა და კონკურენტუნარიანობის ფაქტორების განსაზღვრას.

[1] ბასილია თ., სილაგაძე ს., ჩიკვაიძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 115

წარმოებისა და გაცვლის სფეროში არაკონკურენტული სტრუქტურების არსებობა, ეკონომიკის ფუნქციონირების პროცესში სხვადასხვა მიმართულებით სახელმწიფოს არაეფექტიანი ჩარევა მნიშვნელოვნად ზღუდავს და სახეს უცვლის თავისუფალი ვაჭრობის პირობებს. ყოველი ქვეყანა სხვა ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების, განვითარებისა და რეგულირების მიზნით, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს დასახული მიზნების შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებასა და გამოყენებას. სახელმწიფოთა უმრავლესობა ფლობს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ფართო არსენალს, შედეგად, ისინი აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ არამარტო თავიანთი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე, არამედ სხვა ქვეყნების საგარეო ვაჭრობასა და საერთოდ, საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებებსა და დინამიკაზე.

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის დონის ამაღლება მხოლოდ საგარეო-ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციითაა შესაძლებელი, რომლებიც დინამიურად ვითარდება ბოლო წლების განმავლობაში, როგორც დასავლეთის განვითარებულ, ისე დსთ-ის ქვეყნებთან, "ცხადია, საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი მიმართულება ღია ეკონომიკაზე გადასვლაა.... ამავე დროს, საქართველოში ღია ეკონომიკის ჩამოყალიბება "გააძლიერებს საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს, რაც ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურულ გარდაქმნათა ინტენსიური ფაქტორია.... დააჩქარებს

ქვეყანაში საბაზრო ინსტიტუტებისა და მექანიზმების ფორმირებას და ა.შ.[1]".

ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორია ცალსახად ავლენს პოზიტიურ კავშირს სავაჭრო ლიბერალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის, "ლიბერალური პოლიტიკის ქვეყნების მაგალითი ნათლად მეტყველებს თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობაზე[2]". თუმცა, "საბოლოოდ ისიც დადასტურდა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე[3]".

თანამედროვე გლობალიზებადი ეკონომიკისა და კონკრეტულად, ცალკეული ეროვნული ეკონომიკის განვითარების უმთავრეს დეტერმინანტს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, რეგიონული და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების ინტენსიფიკაცია და ქვეყნების მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს.

გლობალიზაციის პირობებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში აქტიური მონაწილეობის ერთ-ერთი ინსტრუმენტია აღნიშნულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთოებების გაღრმავება ანუ ეკონომიკური ინტეგრაცია, რამდენადაც ინვესტიციების მოძრაობის ზოგადი კანონზომიერება ისაა, რომ ერთნაირი ეკონომიკური განვითარების დონის ქვეყნებს შორის იზრდება ურთიერთგადამკვეთი ინვესტიციები. დსთ-ს სივრცეში ინტეგრაციული პროცესები სამი

---

[1] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ. 38

[2] ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 1997, გვ. 389

[3] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ. 36-37

მიმართულებით ვითარდება: მთლიანად დსთ-ს ფარგლებში (ეკონომიკური კავშირი), სუბრეგიონულ დონეზე (ცენტრალური აზიის კავშირი, სუამი) და ორმხრივი ურთიერთობების სისტემის საფუძველზე. ინტეგრაციის მრავალი ფორმის და მიმართულების რეალიზაცია პარტნიორთა შორის ინტერესთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარეობს.

თუმცა, დსთ-ის ფორმირება რუსეთის მხრიდან უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება იყო, რათა ზეგავლენის სფეროში დაეტოვებინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. დსთ ფაქტიურად ფორმალურ გაერთიანებად რჩება და ნაკლებად მოსალოდნელია რომ ის წარმატებულ ინტეგრაციულ დაჯგუფებად გადაიქცეს. ამ მხრივ საქართველოს მხრიდან ბოლო დროს გადადგმული ნაბიჯი დსთ-ს დატოვების თაობაზე გარკვეულწილად დაგვიანებულიცაა. რაც შეეხება სუამ-ს, არსებობს რეგიონული დაჯგუფების წარმატებულ ინტეგრაციულ ბლოკად ჩამოყალიბების პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზები. პოლიტიკური მოტივების ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპთან სინთეზი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს ეკონომიკური პროცესების გააქტიურება და თანმიმდევრული, სწრაფი გადასვლა ინტეგრაციული პროცესების საწყისებიდან ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურებზე.

საქართველოში ევროპული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, ეკონომიკის რეგულირების პროცესში სახელმწიფოს როლის ზრდასთან ერთად ევროკავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირებისთვის აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების თანმიმდევრული გატარება წარმოადგენს.

საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და საბაზრო ეკონომიკის წარმატებული განვითარება ევროკავშირის სტრატეგიული და გრძელვადიანი ინტერესების სფეროშია, რაც გამომდინარეობს ევროკავშირის ინტერესებიდან ჰყავდეს პოლიტიკურად სტაბილური და მზარდი ეკონომიკის მქონე მეზობელი სახელმწიფოები, ჰქონდეს ორმხრივი მომგებიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები.

ევროკავშირის მსგავსი ინტერესები პირდაპირ კავშირშია განვითარებული ქვეყნების ჩვენს მიერ არაერთგზის ხაზგასმულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მიზნებთან, რომელიც ეროვნული ეკონომიკების განვითარებისათვის სტაბილური და უსაფრთხო გლობალური გარემოს ფორმირებაში და შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური მასშტაბით უზრუნველყოფაში პოულობს გამოხატულებას.

ფუძემდებლური დოკუმენტების შესაბამისად "ევროპული სამეზობლო პოლიტიკა" არის ევროკავშირის პოლიტიკური კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ევროპაში ახალი "გამყოფი ხაზების" გაჩენის სანაცვლოდ, ევროკავშირსა და მის "მეგობართა სარტყელს" შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთდაახლოების პროცესის განვითარებას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მონაწილე ქვეყნებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, კეთილდღეობის ზრდას[1]. ზოგადად, ევროკავში-

[1] ყარაულაშვილი ა. საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობები ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ნაშრომთა კრებულში გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, თბ., 2008 გვ. 398

რის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება იძლევა ევროკავშირთან საქართველოს უფრო მაღალი ხარისხის ინტეგრირების შესაძლებლობას.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გახორციელების მიზანია თავიდან იქნა აცილებული ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა, რომელიც არსებობდა XX საუკუნის 90-იან წლებამდე და მეზობელ სახელმწიფოებს შესთავაზოს პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის გაფართოება.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ეკონომიკურ განზომილებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით სისტემური ეკონომიკური, სტრუქტურული, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და საგანმანათლებლო რეფორმების გატარების აუცილებლობა, რაც მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში იძლევა საქართველოში ევროპული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების წანამძღვრების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

სამეზობლო პოლიტიკის ეკონომიკური განზომილების საგარეო ფაქტორთა შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ გაერო-ს განვითარების პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული კვლევა, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მოსალოდნელია დადებითი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების მიღწევა, განსაკუთრებით, გრძელვადიან პერსპექტივაში.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის დაახლოებას ევროკავშირის საერთო ეკონომიკურ მოდელთან და კერძო სექტორის განვითარების მიზნით გამჭვირვალე, სტაბილური სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებას. ამავე დროს, საკმაოდ მაღალია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის დონის ამაღლებისა და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის პოტენციალი.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიების თანმიმდევრული გატარება წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ინსტრუმენტს, ითვალისწინებს რა ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

თუმცა, ამ ეტაპზე საქართველოში მოქმედი ეკონომიკური კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი განსხვავდება ევროკავშირის სამართლებრივი აქტებისაგან, განსაკუთრებით გამოსაყოფია შრომით ურთიერთობებთან და კონკურენციის რეგულირებასთან დაკავშირებული კანონები.

აღსანიშნავია, რომ ღია ეკონომიკური სისტემის პირობებში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციიდან მიღებული შემოსავლები არათანაბრად ნაწილდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

აუცილებელია სოციალური პოლიტიკის ორიენტაცია იმ ჯგუფების მოთხოვნილებათა უკეთესად

დაკმაყოფილებაზე, რომლებიც ღია ეკონომიკის პირობებში ვერ ღებულობენ დამატებით შემოსავალს ან საერთოდ კარგავენ მათ, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, რომელიც ზოგადად, ზრდის ქვეყნის კეთილდღეობას. ნათელია, რომ საგარეო ურთიერთობების ლიბერალიზაცია თავის მხრივ განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის წარმოებას. შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი დამატებითი განმაპირობებელი ფაქტორია.

ევროპული ტიპის პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების დაჩქარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცვალებად ეკონომიკურ მდგომარეობასთან ადაპტაციის გაადვილების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის შემუშავება და გატარება იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომელიც გამოწვეულია ლიბერალიზაციის შედეგად შემოსავლების არათანაბარი განაწილებით. ეს თავის მხრივ აყენებს "ღია ეკონომიკის ფორმირებისა და იმავდროულად ეროვნული საზოგადოებრივი კვლავწარმოების მოდელის მოძიებისა და ამოქმედების ამოცანას[1]". ეფექტიან, აქტიურ სოციალურ პოლიტიკას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი სავაჭრო ლიბერალიზაციის პოტენციურ ნეგატიურ ეფექტებთან საზოგადოების ადაპტაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საზგასასმელია ის გარემოება, რომ არ შეინიშნება არავითარი გარდაუვალი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის მაღალ

[1] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ. 38

ხარისხსა და სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის ღონისძიებების შემცირების აუცილებლობას შორის. თუმცა, ცალსახაა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური, განსაკუთრებით სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის დაბალმა ხარისხმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში პროტექციონისტული განწყობის გაღრმავებას. თუმცა, როგორც ცალკეული ქვეყნის და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია ადასტურებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის მიმართ საზოგადოების წინააღმდეგობის ხარისხი გაცილებით ნაკლებია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მქონე ქვეყნებში და ზოგადად, განვითარების მაღალი დონის ეკონომიკა გაცილებით ლიბერალიზებულ ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენს.

ნათელია, რომ საბაზრო ეკონომიკას თავისთავად არ ძალუძს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება. განვითარების საბაზრო მოდელი დაფუძნებულია კონკურენციის მაღალ ხარისხზე, რაც თავის მხრივ შორსაა სოციალური სამართლიანობის პრინციპისაგან. ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს არა ერთ-ერთ, არამედ ერთადერთ ინსტიტუტს, რომელსაც ძალუძს ეკონომიკური პოლიტიკის, კერძოდ სოციალური პოლიტიკის ინტენსიფიკაციის მეშვეობით ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის დონის ამაღლება.

ეკონომიკის ლიბერალიზაცია იმ ქვეყნებში, სადაც არ არის ჩამოყალიბებული თვითრეგულირების მაღალი ხარისხის მქონე საბაზრო მექანიზმები და ამავე დროს სახელმწიფოს როლი ისტორიულად მაღალი იყო (ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველო), უნდა განხორციელდეს გარკვეული, თანმიმდევრული, მიზანმიმართული ეკონომიკუ-

რი და სოციალური პოლიტიკის მეშვეობით. აღნიშნული გარკვეულწილად შეასუსტებს ეკონომიკის ლიბერალიზაციისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ფრაგმენტაციის ზრდას. ლიბერალური ხასიათის რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ეროვნული ეკონომიკის სრულყოფილი ინტეგრირებისათვის, დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ ობიექტური აუცილებლობით აყენებს ეკონომიკის სოციალიზაციის იმპერატიულ მოთხოვნას. ამავე დროს, ეკონომიკის სოციალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნდაა დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.

ეროვნული სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია ერთი მხრივ ხელი შეუწყოს კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ეროვნულ და გლობალურ ბაზრებზე, მეორე მხრივ მნიშვნელოვანწილად პასუხისმგებელია ეკონომიკის სოციალიზაციის ასპექტებზე, რაც თავის მხრივ განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში გარკვეულწილად კონკურენტუნარიანობის შემცირების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

გლობალიზაციის პირობებში ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკის რეგულირებაზე ხელის აღება ხშირ შემთხვევაში უკუეფექტის მომცემია, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის განვითარების ცალკეულ ეტაპზე.

საქართველოში ბოლო წლებში გატარებული ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვან მახასიათებელს მასობრივი პრივატიზაცია და შესაბამისად, "სტრატეგიული ობიექტის" არსებობის ეჭვქვეშ დაყენება წარმოადგენს. თუმცა, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს ასეთი ობიექტები

არსებობდნენ და იარსებებენ მომავალში. ზოგადად, სტრატეგიული ობიექტის არარსებობის შესახებ მოსაზრება ემყარება მცდარ შეხედულებას იმის თობაზე, რომ სახელმწიფოთაშორისის ურთიერთობებში უმთავრეს და გადამწყვეტ როლს ეკონომიკური მოგების მაქსიმიზაცია წარმოადგენს და პოლიტიკურ ფაქტორებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ ან საერთოდ არ ენიჭებათ არანაირი მნიშვნელობა. აღნიშნული შეხედულება ეწინააღმდეგება თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკის ეკონომიზაციისა და ეკონომიკის პოლიტიზაციის რთულ პროცესს. ეს ორმხრივი ურთიერთობებია და თანამედროვე მსოფლიოში ადგილი არა აქვს და არც ექნება პოლიტიკის სრულ ეკონომიზაციას, რაც უტოპიურად გამოიყურება და მნიშვნელობა მხოლოდ ულტრალიბერალებისთვის აქვს შენარჩუნებული.

ულტრალიბერალების მოსაზრებით საზოგადოებრივი ურთიერთობების სრული კომერციალიზაციაა შესაძლებელი, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოდის განვითარებული სახელმწიფოების სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებთან და საქართველოში მგავსი პრეცენდენტის შექმნის მცდელობა სრულიად შეუძლებელი და მიუღებელია, როგორც პოლიტიკური მიზანშეწონილობის, ისე ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ძირითად დეტერმინანტებს პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპების წინააღმდეგობრივი ურთიერთობები წარმოადგენს და მსოფლიო განვითარება ადასტურებს, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა ხშირ შემთხვევაში არაძირითად როლს თამაშობს. ეკონომიკური ეფქტიანობის პრინციპის ზეობის მაჩვენებელი იქნებოდა მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა, რომელიც თეორიული

თვალსაზრისით მრავალჯერაა დასაბუთებული და პრაქტიკაში, მისი სარგებლიანობა ნათლად ჩანს ევროკავშირის ფუნქციონირების მაგალითზე.

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მარტო ეკონომიკური ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყვანა საკმაოდ არაბუნებრივად გამოიყურება, როგორც თანამედროვე ეტაპზე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები მრავალმხრივი განზომილებაა და მრავალი ფაქტორის კომბინაციას მოითხოვს, რომელთაგან ეკონომიკური სარგებლიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და არა ერთადერთი.

ამრიგად, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგია ატარებდეს რაციონალური ლიბერალიზმის ხასიათს მსოფლიო განვითარების განმსაზღვრელი ტენდენციის გათვალისწინებით. თუმცა, "ჯადოსნურ ახალ მსოფლიოში შესვლისათვის აუცილებელია მივსდიოთ დევიზს, ცოდნა ყველაფერზე მაღლა დგას, მაგრამ იდეოლოგია ყველაზე მაღლაა"[1].

ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზმი შეზამებული სახელმწიფო კონსერვატიზმთან (სოციალური ფუნქცია) წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების ქვაკუთხედს, რომელმაც არ უნდა დაუშვას მკვეთრი სოციალური პოლარიზაცია და შექმნას პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირების აუცილებელი წანამძღვრები, "ეროვნული სახელმწიფო მოწოდებულია ყოველმხრივ დაიცვას ქვეყნის ინტერესები და არეგულიროს სიტუაცია არა გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ, არამედ ქვეყნის უფრო თავისუფალი, უფრო უკონფლიქტო ინტეგრაციისათვის ამ გლობალურ პროცესში. სწორედ ამის გამო, ეროვნული სახელმწიფოს როლი კიდევაც იზრდება, რათა მოქნილად მოახდინოს თავისი საზოგადოების, ეროვნული ტრადიციების, მთლიანად ქვეყნის ინტეგრირება მსოფლიოსთან"[1].

[1] Сборник статей Мегатренды мирового развития, М., Экономика, 2001, с. 112

საქართველოში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირება, რომელიც გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი მონაწილეობის საწინდარია, შეუძლებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლისა და ევროკავშირთან აქტიური პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე. ამრიგად, აუცილებელია მკვეთრი სოციალურ-ეკონომიკური ფრაგმენტაციის შესუსტება, საქართველოს უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტის - ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი წანამძღვრების შექმნა და საბოლოო ანგარიშით, საქართველოში ევროპული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ფორმირება.

[1] გოგოხია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, 38-39

დაბოლოს

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ვაჟა-ფშაველა

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით

მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღწვოდნენ, მაგრამ დღეს ისინი კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. "ჰამლეტით", "მეფე ლირით" ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებს. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება "ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქელად მისწრაფება, ერთმანეთის

რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განსხვავებული საუბრის კილოც კი მშვენივრად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერის სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბურშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს, ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათი ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოს, მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

SUMMARY

"Globalization and National Economy: Theory and Policy"

By Emir Eteria

Modern globalised economy, which is in process of formation, is an unification of complex interdependent economies. Mentioned complex interdependence changes the nature of world economy functioning and is gradually emerging as an entire global economic system. Globalised economy means formation of united, planet-scale economic system, which is based on economic relations of among national economies without boundaries and where national state is not an only major player any more.

While interpreting the globalization the attention is focused on justification that one or another component has primarily meaning. Separate sciences consider globalization as process or event characterizing research object of given science. Generaly, there are two radically different opinions about globalization the first: the globalization is a progressive process, which encourages the world economic development and the second, globalization treats separate national states (especially developing and transitional states) and at the same time, represents dangerous tendency for world economy development. Due to a comprehensive and contradiction nature of globalization, varied attitudes towards the globalization is quite logical.

The majority of scientists of developing and transitional countries extremely critically evaluate the globalization. They give primarily meaning to the independent development of national economies with state participation and regard globalization as impeding factor for national economic development. At the same, these scientists focus their attention on national traditions, values, negative influence of globalization on cultural originality and emphasize possible negative cultural-political consequences of globalization.

The main theme of concepts dealing with globalization in the field of economics is to underline the establishment of

qualitatively new economic relations and increasing of the interdependence among countries. The transformation of the role of national state and increasing of transparency of state border is the main political aspects of globalization that attract the attention.

Globalization, first of all, is associated with growing scales of scientific-technical processes, as well as increasing role of international organizations and transnational companies of developed countries, which in certain degree enhances controversial attitude of developing countries towards the objective process of globalization. Anti-globalization movement can be defined as social movement directing against the neo-liberal model of globalization executed by the western developed countries (primarily the USA) and international economic organizations (mostly IMF and WTO). Theoretical principles of anti-globalization movement are economic concepts of protectionism and neo-mercantilism. One of the main reasons of anti-globalization movement strengthening is controversial relations between openness of economy and protection of economy.

The representatives of anti-globalists focus their attention on unequal distribution of income among countries and among social groups within the countries that is the result of neoliberal model of globalization. They argue that the functioning of transnational companies is inefficient and they harm comparatively poor countries of the world. Anti-globalist movement underline the necessity of "human character" of the globalization meanwhile they regard that neoliberal globalization is the globalization of transnational companies with global scope of production and capital.

One of the arguments of anti-globalists is that world investment, namely foreign direct investment is limited to only developed countries. This situation results increasing of backwardness of developing and transitional countries. The representatives of anti-globalists also underline the negative role of transnational companies of developed countries in developing

and transitional countries as these companies have obvious possibilities to affect the policies of recipient states. One of the reasons that strengthen anti-globalist movement is the activity of large-scale corporations and international organizations, especially international economic organizations. Anti-globalists especially focus their attention on such international organizations as World Trade Organization and International Monetary Fund, which in most cases are regarded as main tool to expand the US political-economic policy over the globe.

Globalization process means globalization of all components simultaneously and not the separately one or another component. On the modern stage of world economic development economic and political processes are interdependent and it is even difficult to determine what a reason is and what a result is. So, it is necessary to study the process of globalization by means of interdisciplinary methods based primarily on economic-political approach.

Globalization is not a process that is governed by any institution, state, regional or social group. Globalization contains all state with deferent degree of integration. The first stage of analyzing the globalization is to understand that the process has objective nature.

While analyzing the globalization and the increasing of interdependence of countries it is extremely important to underline that globalization reduce bilateral relations between countries and increase multilateral interdependence of countries that was not characterizing for the world economy before the I World War.

Globalization as a process increases the degree of multilateral, deep and complex interdependence of countries. Generally, interdependence, among them so called "deep interdependence", is the strengthening the existing interdependence between different spheres of social relations resulted by the development of universal process of globalization. This interdependence, in its turn, intensifies globalization process and gives to it clearly defined complex character.

Internationalization is an objective basis of the development of globalization process. It represents the primarily stage of globalization in the process of world economic development. From this point, globalization can be defined as objective process and logical result of historical evolution of world economy.

Globalization is long-term historical process which was developing alongside the intensification of economic relations among countries and which gained clear feature in the end of 80th of XX century by the result of comparatively smooth synthesis of the complicated combination of the many political-economic, social-cultural or technical-technological factors. This made a foundation for the development of new processes and events.

When analyzing globalization, the impression that the globalization and liberalization are the same processes or globalization is the development of liberalism, is often created. Such opinion is wrong as it regardes that liberalization of economic relations is the foundation for the development of globalization process and underlines the primarily meaning of economic component of globalization.

The globalism is an ideology and not a process. It is a theoretical concept of intellectual support of the development of the objective process of globalization.

The rate of globalization could be slowed down as it was happened in the history several times. But that does not mean that the process of globalization will disappear.In general, policy of economic nationalism is quite short-term to stop the process of universal process of development of relations among countries and peoples that is known as globalization.

The evolution of inter-state economic relations clearly indicates that the main trend of such relations is liberalism. No doubt, that there were certain failures during world history, but this did not change main trend, it rather corrected by introducing and developing new directions in relations.

Globalization represents the result of development and consequently, it can not ignore the highly developed culture, national peculiarities of traditional countries. Globalization makes

possible to utilize positive experience and peculiarities of other countries and nations.

There is significant qualitative difference between globalization period before the World War I and the contemporary period of globalization from both international trade development and entire spectrum of foreign economic relation development view. The initial stage of economic globalization starts in 1948, when the USA and western European countries approved the General Agreement on Trade and Tariffs (GATT), the World Trade Organization (WTO) since 1995. Since 90th of XX century essential character of world economy has been primary significance of geo-economics in comparison with geopolitics and geo-strategic. Development of economic relations is foundation for political interdependence and political factor, which is conditioned by separate countries' internal and external political goals, influences the growth of economic interdependence. After the development level growth the degree of interdependence between developed and developing countries will increase, which creates circumstances for spreading the positive affects of globalization on these countries. The development of globalization encourages the growth of interdependence and visa-versa, which in its turn raises the necessity of paying the attention to the social aspects of globalization.

Globalization and liberalization by their essence are the different side of the same process. The contradiction between them means that there is an unavoidable inner contradiction within this process, where different economic, political and social forces, as well as various interests of industrial and financial groups, branches, countries and regions are clashing each other.

The globalization process is the process of adaptation of developing, sometimes developed and transitional countries as in existing condition economic autarchy is more harmful than totally open economy. Economic autarchy in condition of globalization treats not only national economy but also the initial basis of democracy existing in the country (of course in case if the country

experiences democracy). Neoconservative reforms taking place in the USA and the Grate Britain in 80th of XX century were spread by the effect of multiplication in almost every country (developed, developing, and transitional) primarily be means of international organizations.

The concept of economic liberalism is a theoretical basis for globalization development in the field of economics. In contemporary epoch theories named as globalization concepts, by their essences, are versions of modified concepts of economic liberalism and supplemented by theoretical-systematic analysis of events characterizing modern period. The economic linearization is different in domestic and foreign economic relations from point of view of implementation scale of liberalism policy, mechanisms, instruments, institutional aspects and real results. The deference between influence of foreign trade and capital flow on national economy is to be emphasized as well. Liberalism as policy is directed towards the increasing of general efficiency based on growing degree of freedom. Liberalism means diminishing of inefficient regulation and does not refuse in general the possibilities and often necessity for regulation of economy. The development of economic globalization in synthesis with relevant political and institutional globalization represents the main instrument and mean for socially oriented mega-economy formation.

If we use peculiarities of economic policy of separate countries, especially developing and transitional economies as indicator when we analyze globalization process development, the main meaning has acquired not the pursuing the deregulation, privatization and liberalization policy, but rather maintaining efficient successive between different aspects of mentioned process and liberalization policy. Rapid liberalization in separate spheres of economy may insure hastening the rate of economic growth, but rapid liberalization is not able to raise the level of economic development which is the result of complicated combination of reforms in economic, political, social and educational spheres.

In domestic economic relations the result of liberalization policy is the significant decrease of state's role in regulation of economic activities. In foreign economic relation sphere the result of liberalization policy is the transferring of the regulation functions of state to the super-national organs created by the national states. Though, if we take into consideration that the policy of ne-national organizations is primarily determined by the economic policy of national states (mainly the developed ones), the transformation of state's role in economic regulation sphere is especially vivid in case of mainly transitional and developing countries.

In short-term period the positive influence of globalization and liberalization policy results on economic development of low-developed countries is rather little.The correlation of two radically different directions of foreign economic policy (protectionism and liberalism)is dependent on economic goals of national economies of separate countries and main direction of world economy development.

Due to the diverse interest of separate countries, regional blocks and social groups and diverse instruments of their realization, liberalization, regional integration and globalization are the processes that are characterized variety of contradiction and at the same time, are developing in one direction.

The level of participation in the formation of global economic system is determined by the ability of the country to act actively in international relations: the relations among national countries, the relations of national countries with international institutions and transnational companies, relations among transnational companies. The participation in global economy is determined not only by participating in the movement of capital and by the technological development level, but also by the ability to use existing technologies, which in its turn, is depend on labor force qualification. Mentioned two criteria (participating in capital flows, namely in export of capital and using and developing of existing technologies and ability to create new technologies) are the determinants of participation in global economy. The

leadership in capital flows and in creation of new technologies determines separate country's weight in global economy.

Radical liberalization of international economic relations beginning after the II world war in world economic development processes within the framework of regional economic groupings, where the leading positions were gained by international economic organizations a, is the foundation of intensive development of globalization processes. During modern period one of the main factors of national economic development is foreign economic relations which are the main features of globalization process.

The analysis of contemporary trends of international trade points that intensification of globalization processes and targeted involvement of developing countries into this process encourages increasing of the share of developing countries in international trade. The mentioned consideration contradicts the opinion of anti-globalist that contemporary trends of international trade support to deepen the gap between developed and developing countries.

The foreign direct investment flows take intensive character among developed countries. Some developing counties participate in international industrial process which have been actively involved in capital export. The share of developing and transitional countries significantly increases in world export of capital. The companies of developing countries of South-East Asia and the Latin America are actively participating in capital export. Thus, when we are speaking about the t increasing role of transnational companies in world economy and about their role in globalization process, we should take into consideration that the important roles are played not only by the companies of developed countries, which often are the locomotives of globalization and the main factors of resulting negative aspects of globalization, but also the companies of developing and transitional countries. We should underline that motives of behaving of the companies of developing and transitional countries do not distinguish from the companies of developed

countries. If we take into consideration that number of transnational companies of developing and transitional counties is increasing, the area of their functioning is widening and the process irreversible, we can conclude that argument of anti-globalists that globalization process serves the interest of developed countries' transnational companies and the globalization is initiated by them, is baseless.

The stabilization of international financial market is demand of modern period as occurring speculative operations are able to shake the stability of functioning of any national economy. The oshoruli centers where the significant part of financial resources are circulating have to be under the certain control and regulation which is possible only in case of coordinated policies of developed countries.

Globalization straightly affects the degree of competitive ability of countries' economies. In modern global economy, competitive ability of each country significantly depends on level of integration of national economy into global economic space, which, in its turn, contains both certain possibilities for increasing the competitive ability and danger of loosing country's competitive ability in some spheres of economy. Globalization and increasing of country's competitive ability are closely interconnected processes that represent controversial relations of separate individuals, companies, branches and countries' interests. The main role in defining of country's competitive ability is given to the level of human capital development, scientific-technical potential of the country and level of globalization of scientific-technical links. Thus, competitive advantage based on high educational level of individual is the steadiest and most stable advantage. In gaining and maintaining of competitive advantage the active role is given to the economic policy of state.

It can be said that informational means reduce the world and encourage relations of diverse cultures. As a result each of them experiences certain deformation introducing positive and negative features of other civilizations. The differentiation of the society and its stratification according incomes increase social tension,

